კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ომარი ეფიმოვსკი

ერაყში პოლიტიკური ბრძოლის ფაქტორები და მათი გავლენა რეგიონულ უსაფრთხოებაზე (სუნიტებსა და შიიტებს შორის)

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: მაია კაპანაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2020

ანოტაცია

ერაყში ხელისუფულებისათვის ბრძოლა სუნიტებსა და შიიტებს შორის ამ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დაიწყო. რადგანაც ამ ქვეყანში მოსახლეობის უმრავლესობა შიიტები არიან, ხელისუფლებაში კი სადამ ჰუსეინის რეჟიმის დემონტაჟამდე ერაყს სუნიტი მთავრობები მართავდნენ.ერაყში ეთნოკონფესსიური დაპირისპირება გაძლიერდა 21 საუკუნის დასაწყისშიც.

სადამ ჰუსეინის შემდგომ თანდათანობით ქვეყნის ხელისუფლებაში შიიტები დამკვიდრედნენ, მაგრამ ეს არ იყო მარტივი პროცესი. შიიტებს ერაყში ძალაუფლების ასაღებად საკმაოდ, პოლიტიკური პროცესების გადატანა მოუხდათ.სუნიტურ-შიიტური დაპირისპირება ერაყში სერიოზულად აისახება ხოლმე არამარტო საკუთრივ ამ ქვეყნის პრობლემებზე, არამედ ის რეგიონულ უსაფრთხოებაზეც კი გარკვეულ გავლენას ახდენს. აღსანიშნავია, რომ ერაყელ სუნიტებსა და შიიტებს თავიანთი მომხრეები ჰყავთ რეგიონის ქვეყნებში. აქედან გამომდინარე, ხშირია „მხარდამჭერი ქვეყნებისაგან“ სერიოზული ჩარევა ერაყში დღემდე არსებულ ეთნოკონფესსიურ დაპირისპირებაში.

ფაქტია, რომ რაკიღა ერაყში ხელისუფლებისათვის ბრძოლაში უპირატესობა უკვე რამდენიმე წელია შიტებმა მოიპოვეს, ამიტომ ამ ქვეყანაში ირანის პოლიტიკური გავლენა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამას შესაბამისად ანტიირანული ძალების გააქტიურებაც მოჰყვა, როგორც ერაყში, ისე რეგიონში.

ბოლო პერიოდში განვითარებული რეგიონული კრიზისის ფონზე ერაყელი სუნიტები კვლავ ცდილობენ დაიბრუნონ ძალაუფლება ქვეყანაში, მაგრამ უკვე ამდენი წლის განმავლობაში, ბრძოლის შედეგად მოპოვებულ ძალაუფლებას, შიიტები არ უთმობენ მათ კონკურენტ სუნიტებს. ამის ნიადაგზე, პერიოდულად ბრძოლა ერაყში ძალაუფლებისათვის ზოგჯერ მწვავე ხასიათშაც იღებს ხოლმე.

Annotation

Factors of political struggle in Iraq their impact on regional security (Between Sunnis and Shiites)

The struggle for power in Iraq began between Sunnis and Shiites since Iraq gained independence. Because the majority of the population in this country is Shiite, the government was ruled by Sunni governments in Iraq before the fall of Saddam Hussein's regime. Ethno-confessional controversy in Iraq intensified in the early 21st century.

After Saddam Hussein, Shiites gradually came to power in the country, but this was not an easy process. The Shiites have had to move through political processes to seize power in Iraq. The Sunni-Shiite conflict in Iraq is having a serious impact not only on the country's own problems, but also on regional security. Iraqi Sunnis and Shiites have supporters in the region. Therefore, there is often a serious interference from "supporting countries" in the ethno-confessional confrontation in Iraq,

The fact is that Shiites have been gaining ground in Iraq for several years now, and Iran's political influence in that country has grown significantly. This has led to the intensification of anti-Iranian forces in both Iraq and the region.

Amid the recent regional crisis, Iraqi Sunnis are still trying to regain power in the country, but for so many years now, Shiites have not given up on their rival Sunnis. In this context, the periodic struggle for power in Iraq is sometimes fierce.

Omari Epimovski

სარჩევი

ანოტაცია **2**

Annotation **3**

შესავალი **5**

I თავი **11**

ერაყის პოლიტიკური განვითარება დამოუკიდებელ სახემლწიფოდ ჩამოყალიბებამდე **11**

1.1 ერაყის პოლიტიკური სისტემის მოკლე ისტორიული მიმოხილვა 11

1.2 ერაყის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება და სუნებსა და შიიტებს შორის დაპირისპირება ხელისუფლებისათვის 18

1.3 მონარქიული რეჟიმის დასასრული ერაყში და ხელისუფლებაში კვლავ სუნიტების მოსვლა 22

II თავი. ეთნოკონფესიური ფაქტორის მნიშვნელობა ერაყის პოლიტიკური ვითარების განსაზღვრისათვის **34**

2.1. ავტორიტარული მმართველობა ერაყში და მისი შედეგები შიიტებზე 34

2.2 ერაყის სუნიტური ხელისუფლებების ჩართულობა რეგიონალურ პრობლემებში 40

2.3. ირანში შიიტური თეოკრატიული მმართველობის გავლენა ერაყელ შიიტებზე ხელისუფლებისათვის ბრძოლაში 49

თავი III. კონფენსიური კონფლიქტების გაძლიერება ერაყში და მისი გავლენა რეგიონულ უსაფრთხოებაზე **58**

3.1 ერაყ-აშშ-ს ომის შედეგად სუნიტების პოზიციების შესუსტება ერაყის ხელისუფლებაში 58

3.3 თანამედროვე პერიოდში რეგიონული კრიზისისა და გარე ფაქტორების გავლენა ერაყის შიდაპოლიტიკურ ვითარებაზე 72

დასკვნა 80

გამოყენებული ლიტერატურა 83

შესავალი

თემის აქტუალობა - ერაყი, ის ერთ–ერთი რეგიონული ქვეყანაა სადაც ხელისუფლებისათვის დაპირისპირება სუნიტებსა და შიიტებს შორის დიდი ხანია მიმდინარეობს, რომელიც ქვეყნის ფარგლებს ხშირად ცდება და ზოგადად უფრო ფართო მასშტაბს იღებს. ის შესაბამისად რეგიონზეც ვრცელდება. ერაყში მოსახლეობის უმრავლესობა შიიტია. ხელისუფლებაში კი დიდი ხნის განმავლობაში სუნიტები იდგნენ და ერაყიც პროამერიკული ქვეყანა იყო. აშშ_სა და სადამ ჰუსეინს შორის ურთიერთობის დაძაბვას შედეგად მოჰყვა ამ უკანასკნელის ხელისუფლებიდან ჩამოშორება და ერაყში შიიტების გააქტიურება. ბოლო პერიოდში ეს პროცესი კვლავ მწვავედ აისახება ერაყის შიდა პოლიტიკაზე, რაც ბუნებრივია საკუთრივ მხოლოდ ამ ქვეყნის პრობლემას არ წარმაოდგენს, რადგანაც ის რეგიონული პოლიტიკური კრიზისის შემადგენელი ნაწილი გახდა და ახლო აღმოსავლეთში მშვიდობისათვის ერთ–ერთ საფრთხის შემცველ ფაქტორად იქცა, რადგანაც შიიტებს ერაყში მხარს ირანი და მისი მოკავშირეები უჭერენ, სუნიტებს კი საუდის არაბეთიდან და აშშ_დან აქვს მხარდაჭერა. ფაქტობრივად ესაა ბრძოლა არა რელიგიის ორ მიმდინარეობას შორის ერაყის ხელისუფლებისათვის, არამედ ბრძოლა პოლიტიკური გავლენისათვის სუნიტებისა და შიიტების მხარდამჭერ ქვეყანას შორის. შესაბამისად ერაყში დაპირისპირება სუნიტებსა და შიიტებს შორის სერიოზულად ცდება ამ ქვეყნის შიდა პრობლემას და ის უფრო რეგიონულ პრობლემად წარმოჩინდება. აქიდან გამომდინარე თემა აქტუალურია.

თემის მიზნები და ამოცანები

თემის მიზნები: ჩვენი კვლევის მიზანია შევისწავლოთ ერაყში სუნიტურ–შიიტური პრობლემატიკა, რაც გადაულახავ წინააღმდეგობად იქცა ამ ქვეყნისათვის, რომელიც ბევრად გასცდა რელიგიურ ჩარჩოებს და წმინდა პოლიტიკური ხასიათი მიიღო.

თემის ამოცანები: ჩვენი ამოცანაა გავერკვეთ იმაში, თუ ისლამის ამ ორი მიმართულების დაპირისპირება მხოლოდ საკუთრივ ერაყის შიდა პოლიტიკური პრობლემაა, თუ ეს პროცესი გარედანაცაა მართული.

საკვლევი კითხვები

- რა ფაქტორებმა განაპირობა ერაყში სუნიტების მიერ ხელისუფლების სადავეების ხელში აღება?
- რა შიდა და გარე გარემოებებმა შეუწყო ხელი შიიტების გააქტიურებას ერაყში?
- როგორია ქვეყნის შიგნით არსებული ორი რელიგიური სოციუმის, შიიტებისა და სუნიტების დაპირისპირების საგარეო ფაქტორები?

ჰიპოთეზა

რელიგიური ფაქტორი არაერთხელ ყოფილა გამოყენებული ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური გავლენის მოსაპოვლებლად როგორც საკუთრივ ამ რეგიონის ლიდერი ქვეყნების მხრიდან, ისე ახლო აღმოსავლეთში თავისი პოლიტიკური გავლენისათვის მებრძოლი ზესახელმწიფოებისაგანაც. ამის ერთ–ერთი გამოვლინებაა ერაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. კონკრეტულად კი დაპირისპირება ხელისუფლებისათვის სუნიტებსა და შიიიტებს შორის, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეგიონის უსაფრთხოებაზეც.

კვლევის საგანი და ობიეტქი

კვლევის საგანი: ჩვენი კვლევის საგანია შევისწავლოთ ერაყის შიდაპოლიტიკური ვექტორი, რომელიც მის საგარეო პოლიტიკაზე სერიოზულ გავლენას ახდენს. რელიგიურ ფონზე ქვეყანაში მიმდინარე შიდა დაპირისპირება იმ რთული პოლიტიკური პროცესების შემადგენელი ნაწილია, რომლებიც სხვა ქვეყნებს კარგ საფუძველს აძლევს აქტიურად ჩაერთონ მასში. აქედან

გამომდინარე, ამ ქვეყანაში არსებული პრობლემები რეგიონულ უსაფრთხოებაზეც ახდენს გავლენას.

კვლევის ობიექტი: ჩვენი კვლევის ობიექტია ერაყი, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვექტორები. ასევე რეგიონული უსაფრთხოების პრობლემები.

თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდოლოგია

მაქს ვებერი მოდერნიზაცია - მაქვს ვებერის თეორიაში მოდერნის მთავარ მახასიათებლად მიაჩნეულია კაპიტალისტური ეკონომიკა და, აქედან გამომდინარე, სოციალური კლასი.

სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორია - ამ თეორიის შესაბამისად მსოფლიო პოლიტიკური პროცესების განმსაზღვრელი საერთაშორისო საზოგადოების ნორმები და წესებია. რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილეთა ინტერესებს განაპირობებს. სოციალური კონსტრუქტივისმის მიხედვით, პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების არსში წვდომა სწორედ ამ ნორმებისა და წესების ანალიზის საფუძველზეა შესაძლებელი.

საერთაშორისო ურთიერთობების კრიტიკული თეორია - საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში კრიტიკული თეორიის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ თეორიული კვლევის საფუძველი უნდა იყოს არა საერთაშორისო პროცესების „ახსნა“ ან „გაგება“, არამედ მათი ცვლილებებისათვის ხელშეწყობა.

ადამიანის უფლებების დაცვის თეორია - კონკრეტული თეორიის წარმომადგენლები წინა პლანზე აყენებენ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებას, მისთვის დამახასიათებელი ყველა ნორმისა და პრინციპის გათვალისწინებით.

კვლევის მეთოდები

1. ინტერდისციპლინარული მეთოდი
2. ისტორიულ-აღწერილობითი მეთოდი
3. არსებული თეორიული მასალის განხილვა, ანალიზი და დასკვნების გამოტანა
4. ნარატიული ანალიზი
5. კონტენტ ანალიზი

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

ჩვენ მიერ შექმნილი აკადემიური ხასიათის ნაშრომი, რომელიც დააკმაყოფილებს სამაგისტრო თემის მოთხოვნებს გამოადგებათ ერაყის შიდა პოლიტიკური კვლევებით, კონკრეტულად კი შიიტური და სუნიტური დაპირისპირებით დაინტერესებულ მკვლევრებს. ის ასევე შესაძლოა გამოყენებულ იქნას უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებშიც.

კვლევის შედეგების განხილვა

ნაშრომში ძირითად აქცენტი გამახვილებულია ერაყში უკვე ათეული წლების განმავლობაში მიმდინარე დაპირისპირების რეალურ მიზეზებზე სუნიტებსა და შიიტებს შორის. გამოკვეთილი გვაქვს ის უმთავრესი გარე ფაქტორები, რაც ერაყში არსებულ პოლიტიკურ პროცესებს პერიოდულად ანელებს და პერიოდულად ამძაფრებს. ჩვენს კვლევაში ასევე აქცენტი გაკეთებულია იმაზეც, თუ რა გავლენას ახდენს საკუთრივ ერაყში მიმდინარე პრცესები რეგიონზე, რადგანაც ამის მაგალითები უკვე არსებობს. ნაშრომში ერთერთი უმთავრესი აქცენტი გადატანილია იმ გარემოებაზეც რომ ამ რელიგიურ დაპირისპირებაში უმთავრესი პოლიტიკაა და ის მხოლოდ საკუთრივ

ამ ქვეყნის პრობლემა არაა, ეს არის ბრძოლა გავლენისათვის ერაყში და ამავე დროს რეგიონში.

ძირითადი წყაროების მიმოხილვა:

კიკალიშვილი შ. „აშშ–ის პოლიტიკა ერაყის მიმართ სპარსეთის ყურის მეორე ომის შემდეგ“ (დისერტაცია) თბილისი, 2015

აღნიშნული დისერტაცია დაგვეხმარება აშშ_ს დამოკიდებულების გარკვევაში ერაყის მიმართ სპარსეთის ყურის ომები პერიოდში, რამაც მნიშვნელოვანი გარდატეხა შეიტანა აშშ_ს მხრიდან ერაყთან მიმართებაში.

გელოვანი ნ. „თანამედროვე არაბული ქვეყნები“, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი 2008

აღნიშნულ მონოგრაფიაში მოკლედ, მაგრამ საინტერესოდაა განხილული ერაყის როგორც შიდა ისე საგარეო პოლიტიკა, ავტორი ცალკეული ფაქტების მიმართ სერიოზულ და საინტერესო დასკვნებს აკეთებს, რაც ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანია.

Hiltermann,Joost R. A Poisonous Affair:America, Iraq and the Gassing of Halabja.Cambridge, UK,and New York: Cambridge University Press, 2007

სადამ ჰუსეინის მმართველობის დასრულების შემდეგ ერაყის საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსი საინტერესოდაა განხილული აღნიშნლ ნაშრომში. მასში ბევრი ისეთი მასალაა გამოყენებული, რომელიც ჩვენი კვლევისთვისაა მნიშვნელოვანი.

Iraq and the Politics of Oil: An Insider's Perspective Hardcover – November 9, 2017

ერაყის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რომელიც ასევე ენერგორესურსების საკითხსაც მოიცავს, საკმაოდ საინტერესოდ და სიღრმისეულად არის გაშუქებული აღნიშნულ ნაშრომში. ავტორის მიერ

გამოტანილი დასკვნები ცალკეულ პრობლემატურ საკითხებზე, რომელიც ეხება არა საკუთრივ ერაყს, არამედ რეგიონსაც, რათქმაუნდა ერაყთან მიმართებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია ჩვენი კვლევისათვის. ნაშრომში ასევე გამოყენებულია ბევრი ისეთი ფაქტოლოგიური მასალა რისი მეშვეობითაც ჩვენი თემის ცალკეულ მნიშვნელოვან პრობლემებს საკმაოდ სერიოზულად განვიხილავთ და გამოვიტანთ შესაბამის დასკვნებს.

The Sunni-Shia Conflict in Iraq Domenic Marbaniang (2014) ამ ნაშრომში განხილულია სუნიტების მცდელობა ახლო აღმოსავლეთში შექმნილი პოლიტიკური კრიზისის ფონზე ხელისფულებაში კვლავ დაბრუნებისა ერაყში. ავტორს აქვს სერიოზული კვლევა ჩატარებული იმასთან დაკავშირებით, თუ რა ხერხებით ცდილობენ სუნიტები ერაყში დაკარგული ძალაუფლების დაბრუნებას. შესაბამისად, აღნიშნული ნაშრომი ჩვენი კვლევისთვის საინტერესო მასალას შეიცავს.

Galbraith, Peter W.The end of Iraq :How American incompentence created a war without end.London :Simon & Schuster,2006 აღნიშნული ავტორის ამ ნაშრომში ხაზგასმულია ის მნიშვნელოვანი გარემოებები, რამაც ხელი შეუწყო აშშ-ს ინიციატივით სადამ ჰუსეინის მმართველობის დემონტაჟს და ამის შედეგად ერაყის ხელისუფლებაშ ბრძოლაშო შიიტების გააქტიურებას. რამაც ერაყის ახლო აღმოსავლეთის შიიტურ სამყაროსთან დაახლოება გამოიწვია.

I თავი

ერაყის პოლიტიკური განვითარება დამოუკიდებელ სახემლწიფოდ ჩამოყალიბებამდე

1.1 ერაყის პოლიტიკური სისტემის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

ერაყის სახელი მომდინარეობს ძველი სემიტური ურუქისაგან. ასე ერქვა შუმერულ-აქადურ ქალაქს, რომლის მნიშვნელობაც ასე ითარგმნება, როგორც „მდინარეთა შუა“. მისი ძველი სახელია მესოპოტამია, რაც ბერძნულად ასევე “შუამდინარეთს” ნიშნავს ძვ.წ. VI ს-ში მესოპოტამია შევიდა აქემენიანთა სპარსეთის შემადგენლობაში. ამ იმპერიის დაცემის შემდეგ ერაყის ტერიტორია, ძვ.წ. IV საუკუნიდან ალექსანდრე დიდის იმპერიის ნაწილი გახდა. მოგვიანებით კი ის რომის, მისი დაცემის შემდეგ კი-ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში იყო. ერაყის ტერიტორია ბიზანტიის გავლენის შემდეგ კვლავ სასანიანთა ირანის გავლენის სფერო გახდა, VII ს-ში (633-642) კი ეს ტერიტორია არაბებმა დაიმორჩილეს.762 წელს დღევანდელი ერაყის ტერიტორიაზე დაარსდა ბაღდადის სახალიფო - აბასიანთა დედაქალაქი. VIII-IX სს-ში ერაყი იყო მუსლიმური სამყაროს მნიშვნელოვანი ეკონომიკური,პოლიტიკური,კულტურული და რელიგიური ცენტრი.ამ ქვეყანაში მდებარეობს შიიტების წმინდა ქალაქები: ნაჯაფი და ქარბალა.ნაჯაფში დასაფლავებულია მეოთხე მართლომორწმუნე ხალიფა ალი,ხოლო ქარბალაში ალის შვილი ჰუსაინი. აქედან გამომდინარე, ეს ამ ქვეყანას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მთელი შიიტური სამყაროსათვის.1258 წელს დღევანდელი ერაყის ტერიტორია დაიპყრეს მონღოლებმა. ეს ქვეყანა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო 1534 წლიდან პირველი მსოფლიო ომის დასრულებამდე. XIX საუკუნიდან დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები - საფრანგეთი, ბრიტანეთი, გერმანია - დიდ ინტერესს იჩენდნენ ერაყისადმი,ისევე როგორც ახლო აღმოსავლეთის რეგიონის დანარჩენი ნაწილისამდი.

1920 წლის სან რემოს კონფერენციაზე მოკავშირეების მხარდაჭერითა და თანხმობით ინგლისმა ერთა ლიგისგან მიიღო მანდატი რომ, სამი ოსმალური ვილაიეთის (ბასრა, ბაღდადი და მოსული) ტერიტორიაზე შექმნილიყო ერაყის სახელმწიფო. ერაყის მოსახლეობის ნახევარზე მეტი შედგებოდა შიიტებისგან, 20%-ს - ქვეყნის ჩრდილოეთში მოსახლე ქურთები, 20%-ს - სუნიტები, 8%-ს კი - თურქმანები, იეზიდები, საბაელები, იუდეველები და ქრისტიანები.

ერაყში ინგლისელთა მიერ გატარებული პოლიტიკა ნამდვილად არ გამოირჩეოდა ლიბერალობით. ერაყის მოსახლეობის დიდი ნაწილი ინგლისის პოლიტიკით უკმაყოფილო იყო - ხელოსნები, მომთაბარეები, არაბები და ქურთები. ეროვნული ბურჟუაზია ინგლისის პოლიტიკისადმი საწინააღმდეგო პოზიციით გამოდიოდა; ასევე ტომთა შეიხებიც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ინგლისელთა მიერ ტომების წინამძღოლთა საქმეებში ჩარევის გამო. შიიტი ღვთისმეტყველები კი, იგივე მუჯთაჰიდები, უკმაყოფილონი იყვნენ წმინდა ქალაქებში - ნაჯაფსა და ქერბალაში ავტონომიის ლიკვიდაციის გამო.

ინგლისთან მუდმივად ზრდადი წინააღმდეგობის პერიოდში, 1918-1919 წლებში ჩამოყალიბდა სამი საიდუმლო საზოგადოება: მუსლიმური ეროვნული ლიგა, ისლამური გამოღვიძების ლიგა ნაჯაფში, 1919 წლის თებერვალში კი ბაღდადში შეიქმნა მესამე ორგანიზაცია - დამოუკიდებლობის მცველები, რომლებშიც გაერთიანებულნი იყვნენ სუნიტი მასწავლებლები, ერაყის შიიტი ვაჭრები, სუნიტი და შიიტი ულემები, სამოქალაქო მოსამსახურეები და ერაყის ოფიცრები, თუმცა საზოგადოების წევრების უმეტესი ნაწილი შიიტი იყო და მისი ხელმძღვანელი გახლდათ შიიტი მუჯთაჰიდი მუჰამად ას-სადრი. ქერბალაში, ნაჯაფსა და ჰილლაში საზოგადოებას ჰქონდა რამდენიმე ფილიალი. იმამ შირაზიმ, რომელიც იმ დროს ქერბალას ცნობილი მუჯთაჰიდი იყო გამოსცა ფათვა, სადაც ეწერა , რომ ყველა მუსლიმისთვის ისლამური კანონების საწინააღმდეგოა ფაქტს წარმოადგენდა სახელმწიფოს მართვა არამუსლიმების მიერ, ამიტომაც მან ყველას მოუწოდა ჯიჰადისკენ, რომელსაც მიმართავდნენ ბრიტანეთის წინააღმდეგ.

პირველი მსოფლიო ომის ბოლოს ერაყში აჯანყებები დაიწყო, კერძოდ 1918 წელს ნაჯაფში, 1919 წლის მაის-ივნისში კი ერაყის ჩრდილოეთში ქურთთა აჯანყება და სხვა.

ბრიტანეთის წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობას სან-რემოს კონფერენციაზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა უბიძგა მანდატის დაწესების თაობაზე. ამ პერიოდში, 1920 წლის 30 ივნისს, ქ. რუმესიაში აჯანყებული ტომები მალევე გახდნენ მიზეზი უფრო დიდი აჯანყებებისა. ერთ თვეში აჯანყებულები გამაგრდნენ ერაყის დაახლოებით მთელი არაბული ნაწილზე, ინგლისელთა მნიშვნელოვან პუნქტებზე ბასრასა და ბაღდადს შორის. აჯანყებულები სერიოზულად გაუსწორდნენ ინგლისელთა არმიას, თუმცა, დაპირისპირებები ქვეყნის სხვა რაიონებისგან მოშორებით, ამიტომ ამან ხელი შეუწყო მის სერიოზულ მარცხს. ინგლისელებმა 150 000 იანი არმიით და საგრძნობლად დიდი უპირატესობით დაამარცხეს აჯანყებულები 1920 იანი წლების შუა რიცხვებში.[1]

1920 წლის „დიდი ერაყული რევოლუცია“ იყო მნიშვნელოვანი მოვლენა თანამედროვე ერაყის ისტორიაში, რამაც ხელი შეუწყო სუნიტების და შიიტების, ასევე სხვადასხვა ტომებისა და ქალაქების გაერთიანებას ერთი მიზნის მისაღწევად.

1920 წლის ოქტომბერში არნოლდ უილსონმა, რომელიც იმ დროს ინგლისი უმაღლესი კომისარი იყო, ერაყში შექმნა დროებითი მთავრობა, ხოლო 1921 წლის 23 აგვისტოში ინგლისმა გამოაცხადა ერაყის სამეფო. ამ პერიოდში მოახდინეს მეფე ფაისალ იბნ ჰუსაინის (1921-1993) კორონაცია. ყველა სამთავრობო სტრუქტურაში ინგლისელი მრჩევლები ინიშნებოდნენ. 1922 წლის 10 ოქტომბერს ინგლის-ერაყის ხელშეკრულება 20 წლის ვადით დაიდო ქალაქ ბაღდადში რაც ინგლისის მანდატს ერაყზე ოფიციალურად აფორმებდა. მეფის

[1] William L. A History of The Modern Middle East, Cleveland, 2009: pp. 206

ხელისუფლება ვალდებული იყო მთელ რიგ საკითხებში ინგლისის კომისრის რჩევებით და მოწოდებებით ეხელმძღვანელა. მათ შორის შეიარაღებული ძალების, ფინანსების, ქვეყნის მთელი პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრება კონტროლდებოდა ინგლისის უმაღლესი კომისრის მიერ სრულიად. ინგლისს ერაყში თავისი არმია ჰყავდა განლაგებული. ხელშეკრულების პირობების თანახმად ერაყელები დიდ წინააღდეგობაში მოდიოდნენ ინგლისთან. იმართებოდა საპროტესტო გამოსვლები ერაყის ნაციონალური პარტიის თაოსნობით, რომლის ხელმძღვანელიც იყო შიიტი პოლიტიკოსი ჯაფარ აბუ ათ-თიმანი. ერაყის აღორძინების პარტია ას-სადრის მეთაურობით. დიდ საპროტესტო გამოსვლებს მართავდა, 1923 წლის შეთანხმების თანახმად კი ინგლისმა ძალაუნებურად 4 წლამდე შეემცირა ხელშეკრულების მოქმედების ვადა. ხოლო 1924 წელის 10 ივნისს, ინგლისმა მასობრივი საპროტესტო აქციები ჩაახშო და მხოლოდ მაშინ მოახდინა ხელშეკრულების რატიფიკაცია.[2]

1925 წელს მიღებულ იქნა ორგანული კანონი და ერაყი გამოაცხადეს კონსტუტუციურ მონარქიად, რომელსაც უკვე ორპალატიანი პარლამენტი ჰქონდა.

ორგანული კანონის თანახმად, ისლამი იყო სახელმწიფო რელიგია გახდა, მოქმედებდა შრიათის სასამართლოები (შიიტური და სუნიტური), შეიქმნა სახელმწიფო მმართველობის ინსტიტუციონალური სისტემა. ერაყის არმია, შეიქმნა 1921 წელს და გახდა ეროვნულობის სიმბოლო და სახელმწიფოს მთავარი დასაყრდენი ძალა. ინგლისელებმა არმია შეზღუდეს 7500 მებრძოლამდე, ხოლო დამოუკიდებლობა როცა მოიპოვეს არმია უკვე საკმაოდ მზარდი გახდა.[3]

1926 წლის 13 იანვარს გაფორმდა ინგლის-ერაყის ხელშეკრულება, რომელიც 1922 წლის ხელშეკრულების მოქმედების ვადას ზრდიდა 1950 წლამდე,

---

[2] Charles T. A History Of Iraq, Cambrige University Press 2007: pp. 55; Outline of Anglo-Iraq Treaty, 1927: pp. 5-6

[3] Liam A. & Gareth S. The Future of Iraq, New York, 2004: pp. 22

თუ ამ პერიოდამდე ერაყი ერთა ლიგაში არ შევიდოდა ერაყი ავტომატურად თავისუფლდებოდა ინგლისელთა მანდატისაგან.

1927 წელს ჩამოყალიბდა ერაყის სანავთობო კომპანია, რომელსაც წილში ედგნენ: ჰოლანდიური, ინგლისური, ფრანგული და ამერიკული კომპანიები. ასევე, ინგლისი მნიშვნელოვნად შეინარჩუნებდა ადგილს სანავთობო მრეწველობაში.[4]

1930 წლის 30 ივნისს ლონდონში ერაყის წარმომადგენელმა და ინგლისის მხარდამჭერმა ნური ას-საიდმა, რომელიც ადრე მთავრობის ხელმძღვანელი იყო, ხელი მოაწერა ახალ ინგლის-ერაყის ხელშეკრულებას, 25 წლის ვადით. ამ ხელშეკრულების თანახმად, ერაყი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდებოდა თუ იგი შევიდოდა ერთა ლიგაში და გაერთიანდებოდა ინგლისთან „მეგობრობისა და მოკავშირეობის ხელშეკრულებით“. ინგლისი კვნავინდებურად ისევ იტოვებდა უფლებას რჩევები მიეცა ერაყისათვის საგარეო პოლიტიკურ მთელ რიგ საკითხებში.

1931 წლის მარტში ჩამოყალიბდა ოპოზიციური ნაციონალური ძმობის პარტია, რომელშიც იყვნენ ნური ას-საიდის დაპირისპირებაში მყოფი ფეოდალური დაჯგუფებები, ინტელიგენცია, სტუდენტობა, ნაციონალისტურად განწყობილ ბურჟუაზია. პარტიაში გაერთიანდა, ასევე ერაყის ნაციონალური პარტია და ხალხის პარტია, რომლის ხელმძღვანელი გახლდათ იასინ ალ-ჰაშიმი. ახალ პარტიასთან საკმაოდ კარგი და ახლო ურთიერთობა ჰქონდა ერაყის ყველაზე მძლავრ სავაჭრო გაერთიანებას - ხელოსანთა საზოგადოებას. ნაციონალური ძმობის პარტია ითხოვდა 1930 წლის ხელშეკრულების გაუქმებას, მათ უნდოდათ პარლამენტის სხდომის ჩატარება და მთავრობის გადყენება.[5]

ნური ას-საიდის მთავრობამ ინგლისურ არმიასთან გაერთიანებით შეაჩერა განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი განვითარება და 1932 წელს წლის

---

[4] Outline of Anglo-Iraq Treaty, 1927: pp. 7-9; Liam A. & Gareth S. The Future of Iraq, New York 2004: pp. 19

[5] William V. The Iraq Treaty, London 1931: pp. 61-66

13 ოქტომბერს ერაყი გახდა ერთა ლიგის წევრი. ამასთან, ერაყმა მიიღო დამოუკიდებლობა ფორმალური სახით. ერაყი უკვე წარმოჩინდა, როგორც ოსმალეთის იმპერიის მემკვიდრედ წოდებული სახელმწიფო, რომელმას იმ პერიოდში მოიპოვა საერთაშორისო აღიარება.

1933 წელს მეფე ფაისალის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე მისი 21 წლის შვილი ღაზი I ავიდა, რომელსაც არ აინტერესებდა სახელმწიფო საქმეები და პოლიტიკა. 1933 წლის 20 მარტს შეიქმნა „ნაციონალური ძმობის“ მთავრობა, რომლის პრემიერ-მინისტრადაც დაინიშნა რაშიდ ალი ალ-ქაილანი. ხელისუფლების სადავეების ხელში აღების შემდგომ პარტიის ლიდერებმა დაივიწყეს პარტიის პოლიტიკური მიზნები და იმის მაგივრად რომ 1930 წლის ინგლის-ერაყის ხელშეკრულების მოწინააღმდეგენი გამხდარიყვნენ, ყველაფერი მოხდა პირიქით და ისინი უკვე გახდნენ ამ ხელშეკრულების დამცველები. ალ-ქაილანიმ მხარი დაუჭირა 1930 წლის ინგლის-ერაყის ხელშეკრულებას და დაიწყო შექმნილი ვითარებიდან თავის დაღწევის გზების ძიება. ერაყის ნაციონალურმა პარტიამ კი ურთიერთობა გაწყვიტა ნაციონალურ ძმობასთან.

პოსტსამანდატო პერიოდის განმავლობაში აქტიურ პოლიტიკურ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა ერთ-ერთი ძლიერი პარტია, რომელიც შეიქმნა გაზეთ „ალ-აჰალის (ხალხი) ბაზაზე. მასში გაერთიანებულნი იყვნენ ერაყის საზოგადო მოღვაწეები, რომელთაც რადიკალური ცვლილებების გატარებას უჭერდნენ მხარს. 1934 წლიდან „ალ-აჰალის“ მუშაობაში წამყვანი ადგილი ეკავათ ნაციონალური ძმობის ყოფილ წევრებს - ჰიქმათ ას-სულეიმანს, ადვოკატ ქამილ ალ-ჩადირჩის და ჯაფარ აბუ ათ-თიმანს.

1936 წლის 29 ოქტომბერს ბაქრ სიდკის მეთაურობით მოძრაობა დაიწყო არმიამ ბაღდადისაკენ მოთხოვნით, რომ მეფე ღაზი I_ს უნდა გადაეყენებინა ნაციონალური ძმობის მთავრობა. ამ დროს საჰაერო ძალებმა დაბომბეს მოქმედი პრემიერ-მინისტრის იასინ ალჰაშიმის რეზიდენციასთან მიმდებარე ტერიტორია, რის გამოც იგი იძულებული გახდა ქვეყანა დაეტოვებინა. მეფემ ულტიმატუმი მიიღო და მოუწოდა ჰიქმათ სულაიმანს მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბებისკენ. მთავრობას სათავეში ჩაუდგა ალ-აჰალის სამი

წარმომადგენელი. ესენი იყვნენ: ბაქრ სიდკი გენერალური შტაბის მეთაურად, ჯაფარ ალ-ასქარი - თავდაცვის მინისტრად. აბუ ათ-თიმანი კი ფინანსთა მინისტრად. 1936 წლის ნოემბერში „ალ-აჰალის“ მეთაურებმა შექმნეს „სახალხო რეფორმების საზოგადოება“.

1937 წლის 11 აგვისტოს ბაქრ სიდკი მკვლელობის შემდეგ 55 დღეში დაემხო სულაიმანის მთავრობა. ქვეყანაში კვლავ გაბატონდნენ ინგლისელთა მხარდამჭერი ძალები. სწორედ მაშინ, როცა 1938 წელის 25 დეკემბერს შეიქმნა ახალი მთავრობა ნური საიდის მეთაურობით. ახალი პრემიერი დაუპირისპირდა როგორც სახალხო მოძრაობას, ისე ყველა თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს. 1939 წლის მარტში გაითამაშა ანტისამთავრობო შეთქმულების ინსპირაცია, რითაც მოახერხა ოპოზიციის დიდი ნაწილის დაპატიმრება. 1939 წლის აპრილში ავტოკატასტროფამ იმსხვერპლა ღაზი I, რომელიც ნური საიდის მოწინააღმდეგე იყო მისი ინგლისთან კარგი ურთიერთობის გამო. ღაზი I_ის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა მისი 3 წლის ვაჟი ფაისალ II, რომელსაც რეგენტად ნური საიდის მომხრე პრინცი აბდ ალ-ილაჰი დაუნიშნეს.

1921 წელს ერაყი ჩამოყალიბდა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო - კონსტიტუციური მონარქია, თუმცა 1930 წლამდე იგი მაინც რჩებოდა ინგლისის სამანდატო ტერიტორიად. 1932 წელს კი დამოუკიდებელი ერაყი ერთა ლიგაში გაერთიანდა. XX ს-ის 20-30-იან წლებში ქვეყნის სათავეში იდგა კარგად დაკომპლექტებული ბაღდადის სუნიტური მაღალი ფენის წარმომადგენლები. ეს წლები ყველაზე მეტად გამოირჩეოდა პოლიტიკური არასტაბილური გარემოებებით, კერძოდ ამ პერიოდში იყო გლეხების აჯანყებები, ხელისუფლების მეთაურებისა და პარლამენტის ხშირი ცვლილებები და ასე შემდეგ.

40-იანი წლების ბოლოს II მსოფლიო ომის დროს ერაყში ძალიან დიდი პრობლემები იყო როგორც ეკონომიკაში ისე პოლიტიკაში. ომის დაწყების პირველ ხანებში ნური საიდნა ყველანაირი კავშირი გაწყვიტა გერმანიასთან. ერაყელი ლიდერები კმაყოფილი იყვნენ ინგლისისა და საფრანგეთის ომის

პერიოდში განვითარებული პრობლემური ვითარებით. ამ დროს რაშიდ ალი-კაილანი იყო ადვოკატი, მოსამართლე და მინისტრთა კაბინეტის წევრი, რომელიც საბოლოოდ პრემიერიც კი გახდა. თუ ყოფილი პრემიერი ნური საიდი „ზომიერებს“ მეთაური იყო, რაშიდ ალი ნაციონალისტების მხარდამჭერი გახდა, რომელიც დიდ იმდებს ამყარებდა, იმაზე რომ გამოიყენებდა გერმანელებისა დაიტალიელების ფულს და იარაღს ინგლისის წინააღმდეგ.

ერაყი დაუპირისპირდა ღერძის ქვეყნებს 1943 წლის იანვარში და პირველი ახლო აღმოსავლური ქვეყანა გახდა, რომელმაც მიიღო უფლება გამხდარიყო გაეროს წევრი.

ომის ბოლო წლებში ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში დაიწყო ქურთების, რომელთაც სათავეში ედგა მოლა მუსტაფა ბარზანი. ერაყმა მიუხედავად იმისა რომ ახალი რეჟიმი იყო, მაინც შეაჩერა აჯანყებები, მაგრამ, მაინც არსებობდნენ სხა ძალებიც რომლების არ იზიარებდნენ ხელისუფლების პოლიტიკას. 1945 წლისთვის, როცა საბოლოოს დასრულდა ინგლისელთა ოკუპაცია ხელოვნურად შექმნილი სახელმწიფოს მომავალი მაინც ბუნდოვანი რჩებოდა.

1.2 ერაყის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება და სუნებსა და შიიტებს შორის დაპირისპირება ხელისუფლებისათვის

ხანგრძლივმა ეთნოკომფესიურმა დაპირისპირებებმა ერაყში დიდი ყურადღება და ინტერესი დაიმსახურა დასავლეთის მხრიდან. ყველასთვის ცნობილი იყო რომ დაპირისპირება სუნიტებსა და შიიტებს შორის მიმდინარეობდა, რაც არ ითვლიდა რამდენიმე წელს, ეს იყო საუკუნოვანი კონფლიქტი. ეს კი თავისთავად აისახებოდა არამხოლოდ ერაყზე, არამედ მთელს ისლამურ სამყაროზე, მათ შორის კონფესიურ უმცირესობებზე. წინასწარმეტყველი მუჰამედის სიკვდილის შემდეგ გაჩნდა სუნიტებსა და შიიტებს შორის სხვაობა. ისტორიის თანახმად სუნიტებსა და შიიტებს შორის

კონფლიქტის წლები, შედარებით უფრო ნაკლები იყო, ვიდრე მათი მშვიდობიანი თანაცხოვრების პერიოდები. ლიბანსა და ერაყში ნაკლებად ხდებოდა სუნიტებსა და შიიტებს შორის დაოჯახება. უნდა ითქვას რომ, რაღაც სხვაობა მცირე დოზით მათ შორის ყოველთვის არსებობდა და არსებობს. ცოტა ხნის წინ კონფლიქტის ახალმა ტალღამ იფეთქა და საგრძნობლად იმოქმედა ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკურ მდგომარეობაზე.

ერაყ-ირანის ომმა დიდი გავლენა მოახდინა სუნიტებისა და შიიტების ურთიერთობებზე. სახელმწიფოების დაპირისპირებამ, ასევე შიიტების ცუდმა სოციალურმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ სუნიტური უმრავლესობის ქვეყნებში, ან იმ ქვეყნებში, რომლებშიც შიიტები უმრავლესობაში იყვნენ, მაგრამ ქვეყანას სუნიტი მმართველი მართავდა, როგორც ბაჰრეინსა და ერაყში ხდებოდა - ამ ყველაფერმა ბოლო წლებში იმოქმედა შიიტების პრეტენზიის გამოხატვაზე უფრო მაღალი ხარისხის ცხოვრების დონის მოპოვების კუთხით. 1960-იან წლებში აიათოლა მუსა ალ-სადრიმ დაიწყო შიიტური მოძრაობა ლიბანში, რაც მაგალითი გახდა შიიტების მიერ თანასწორობისკენ მიმავალი გზისა. ხშირ შემთხვევებში, კონფესიური კონფრონტაცია ისეთ გარემოში წარმოიშვება, სადაც ერთ ჯგუფს რაღაც სახის პრივილეგიები აქვს როგორც ხელისუფლებაში, ისე ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში, აგრეთვე თუ ეს ჯგუფი მატერიალურად მდიდარ ძალას წარმოადგენს.

ბაჰრეინში მაცხორებელი შიიტების დიდი ნაწილი მოითხოვენ თანაბარ უფლებებსა და პრივილეგიებს მთავრობაში დასაქმებისთვის, ისევე როგორც ის 15 სუნიტური მცხოვრებლების ნაწილი, რომლებიც თვლიან რომ შიიტების ხელისუფლების სათავეში ყოფნის პირობებში თავს გარიყულად და დაჩაგრულად გრძნობს. უნდა ითქვას რომ, ეს არსებული მდგომარეობის მხოლოდ აისბერგის ზედაპირზე არსებული მხარეა. შეიძლება ითქვას რომ, ისლამური სამყაროს შიგნით დიდი კონფესიური დაპირისპირებების მიზეზები სწორედ რომ პირდაპირმნიშვნელოვნადაა დაკავშირებული რეგიონულ დაპირისპირებასთან შიიტურ ირანსა და სუნიტური საუდის არაბეთს შორის,

სწორედ რომ რეგიონული მხარდაჭერისა და ერთიანობისთვის. არ-რიადი ხდება სუნიტური საზოგადოების დამცველი ძალა, თეირანი კი, ამ დროს ცდილობს მოკავშირეები გაჩენას ერაყსა და ლიბანში, ასევე სირიაში. ერაყს, საუდის არაბეთსა და ირანს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ჰეგემონობისთვის მუდმივი დაპირისპირება და კონკურენცია აერთიანებთ. თითოეული მათგანის უპირატესობები აღნიშნულ საქმეში, სხვადასხვა პოლიტიკური მოვლენებისა და ფაქტორების გამო პერიოდულად იცვლებოდა. ირან-ერაყის რვაწლიანი კონფლიქტის მთავარი მიზეზი ხომ, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში გავლენის მოპოვება იყო. ბოლო ხანებში კი ფორტუნა სწორედ რომ საუდის არაბეთის მხარეს იყო რომელმაც საკმაო ძლიერებას მიაღწია.

კონფლიქტური გარემოებების გამო ერაყში შიიტების რიცხვოვნობა 60-65%, ხოლო სუნიტების კი 32-37%_ია. ხელისუფლების სათავეში დგანან შიიტები, რაც პირდაპირ იწვევს სუნიტი არაბების უკმაყოფილებას, იმის გამო რომ, ისინი იყვნენ ერაყის ძველი ლიდერის სადამ ჰუსეინის მმართველობის პერიოდში და მანამდეც მმართველი ძალა და ახლაც აცხადებენ პრეტენზიას მმართველობაზე.

ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს რომ, შიიტების ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან საგრძნობლად გაფართოვდა ირანის გავლენა, რამაც ხელი შეუწყო ირანის გავლენის სფეროების გაზრდასა და გაძლიერებას ერაყსა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. აღნიშნული მოვლენები მიზეზი გახდასაუდის არაბეთთან ურთიერთობების გაუარესებისა, რომელიც ამ პერიოდში გვევლინება, როგორც სუნიტების დამცველ ძალად ახლო აღმოსავლეთში. შიიტების მოსვლის შემდეგ ხელისუფლებაში, რომლებიც ასევე უმრავლეს ნაწილს წარმოადგენდნენ ერაყის მოსახლეობის. სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ირან-ერაყის კარგი ურთიერთობა, რაც აღიზიანებდა როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებს, ისე საუდის არაბეთს, რომელთა ინტერესებში არ შედიოდა რეგიონში ირანის მიერ გავლენის მოპოვება. ამ მოვლენების შემდეგ შემდგომ ირანმა ერაყის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში უდიდესი ადგილი.

ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტსაც, რომ არა შიიტების მოსვლა ერაყის ხელისუფლების სათავეში, 1943 წლის კონსტიტუციაში ეწერა, რომ ქვეყნის პრეზიდენტი აუცილებლად სუნიტი მუსლიმანი უნდა ყოფილიყო და არავინ სხვა მის გარდა. ეს კი უმცირესობაში მყოფი სუნიტების წისქვილზე ასხამდა წყალს, რომლებიც 1921 წლის ხელისუფლების შენარჩუნებას უპრობლემოდ შეძლებდნენ.

რაც შეეხება 1950-იანი წლების დასაწყისს, ამ პერიოდში ერაყში მიმდინარეობდა ბრძოლა მონარქიული რეჟიმის საწინააღმდეგოდ. 1955 წელს ინგლისის თაოსნობითად ბაღდადში ჩამოყალიბდა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი - ბაღდადის პაქტი, რომელშიც გაერთიანდნენ თურქეთი,პაკისტანი, ირანი და ერაყი. 1955 წელს დაიდო ინგლის-ერაყის შეთანხმება, რომელმაც ჩაანაცვლა 1930 წლის ხელშეკრულება. ამ შეთანხმებით ინგლისი კვლავ რჩემოდა ერაყის მაკონტროლებელი ძალა, რაც მიზეზი იყო მოსახლეობის წინააღმდეგობისა. ერაყმა მოითხოვა ბაღდადის პაქტიდან გამოსვლა და ეს გახდა მიზეზი ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური ძალების გაერთიანებისკენ. 1956 წლის ნოემბერში დაიწყო ხალხის დიდი საპროტესტო გამოსვლები, რაც გადაიზარდა მძლავრ შეიარაღებულ აჯანყებაში სამ მნიშვნელოვან ქალაქებში - მოსულში, ბასრასა და ბაღდადში. მათთან ერთად გაერთიანდნენ შიიტური ქალაქებიც - ჰილა, ნაჯაფი და ქუფა. 1956 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში ხელისუფლებამ მოახერხა აჯანყებების აღკვეთა, ამ ყველაფერმა კი ქვეყნის ოპოზიციურ ძალებს უბიძგა ახალი პოლიტიკური მოქმედებებისკენ და ახალი აქციების დაგეგმვისკენ.[6]

1954 წელს ჩამოყალიბდა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტია - ბაასი, რომელმაც თავიდანვე დიდი პოპულარულობა მოიპოვა მოსახლეობის დიდ ნაწილში. 1956 წელს კი ერაყის არმიის შიგნით შეიქმნა იატაკქვეშა ორგანიზაცია „თავისუფალი ოფიცრები“, რომელსაც სათავეში სუნიტი არაბი

[6] Dawisha A. Iraq. A Political History from Independence of Occupation, Princeton University Perss, 2009: pp. 116-119

ოფიცრები ედგნენ და მათი ხელმძღვანელი იყო გენერალი აბდ ალ-ქარიმ კასიმი. მისი მოადგილე და თანამოაზრე კი იყო პოლკოვნიკი აბდულ სალამ არიფი. 1957 წლის თებერვალში ეროვნული ერთიანობის ფრონტში გაერთიანდნენ დამოუკიდებლობის პარტია, არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და ერაყის კომუნისტური პარტია. 1957 წელს სადამ ჰუსეინი ბაასის პარტიას შეუერთდა.[7]

1.3 მონარქიული რეჟიმის დასასრული ერაყში და ხელისუფლებაში კვლავ სუნიტების მოსვლა

1958 წლის 14 ივლისს ერაყის არმიის ოფიცრების დიდი ნაწილი, რომელსაც სათავეში ედგა აბდულ სალამ არიფი და აბდ ალ-ქარიმ კასიმი ქვეყნის მმართველ რეჟიმს წინ აღუდგა და დაუპირისპირდა. აჯანყებულებმა შევიდნენ მეფის სასახლეში და სამთავრობო დაწესებულებებში და იქ გამაგრდნენ. აჯანყებულ ძალას შეუერთდნენ ასევე მოსახლეობის ნაწილიც და საბოლოოდ მთელი ქვეყანა მათ კონტროლს დაუქვემდებარეს. მონარქია დაემხო, მეფე ფაისალ II, მისი მემკვიდრე და სამეფო ოჯახის ყველა წევრი ადგილზე მოკლეს. აჯანყებულები მთელს ელიტას გაუსწორდნენ ფიზიკურად მათ შორის პრემიერ-მინისტრ ნური ას-საიდსაც.[8]

ერაყში მონარქიის დამხობის შემდეგ ჩამოყალიბდა ერაყის რესპუბლიკა. მონარქიის დამხობის შემდეგ არცერთი ინსტიტუციონალური სისტემის სახე არ შექმნილა. პრემიერ მინისტრის პოსტი კი დაიკავა აბდ ალ-ქარიმ კასიმმა,

---

[7] Liam A. & Gareth S. The Future of Iraq, New York 2004: pp. 46; William L. A History of The Modern Middle East, Cleveland, 2009: pp. 410

[8] Dawisha A. Iraq. A Political History from Independence of Occupation, Princeton University Perss, 2009 pp. 173; Charles T. A History Of Iraq, Cambrige University Press 2007: pp. 147

რომელიც ასევე გახდა პრეზიდენტი, თავდაცვის მინისტრი და შეიარაღებული ძალების მეთაური. 1958 წლის 26 ივლისს ერაყის რესპუბლიკის დროებითი კონსტიტუცია შეიქმნა. კასიმის მმართველობის პერიოდში ერაყი გამოვიდა ერაყისა და იორდანიის არაბული ფედერაციიდან, ბაღდადის პაქტიდან, ამ პერიოდში ერაყმა ყველა კომუნისტურ ქვეყანასთან დაამყარა ურთიერთობა.[9]

1958 წლის ივლისში მიმდინარე მოვლენები ისტორიაში შევიდა, როგორც „ერაყის ეროვნული რევოლუციის“ სახელწოდებით. იმ დროს არსებული პოლიტიკურ ჯგუფებს შორის დაწყებული მემარცხენეებიდან და დამთავრებული მემარჯვენეებით, ყველგან მოიძებნებოდა პიროვნება, ვინც არსებულ რეჟიმს არ უჭერდა მხარს და სხვადასხვა სახით თუ საქმიანობით წარმოადგენდა ოპოზიციურ მხარეს. იყვნენ ისეთებიც, რომელთა მშვიდობიანი ცხოვრება და კეთილდღეობა გარანტირებული იყო რეჟიმის სიცოცხლისუნარიანობით. მაგრამ ერთი ძალიან დიდი პრობლემა წარმოიშვა, რაც მდგომარეობდა იმაში რომ, ახალი რეჟიმი მიზეზი გახდა ერაყის განვითარებისკენ მიმავალი გზის მოჭრისა და მისი ბნელ ქვესკნელში გადაშვების საბოლოოდ. ხელისუფლების მუდმივად შენარჩუნებისთვის მიმართავდნენ ძალისმიერ გზებს, იქნებოდა ეს დაშინება თუ ტერორი ყველა მოწინააღმდეგის მიმართ.

როცა ხელისუფლებაში მოვიდნენ სამხედროები, მათ დემოკრატიულობისა და დემოკრატიული ფასეულობების არცერთი ელემენტი არ გააჩნდათ. სამხედრო წარმომადგენლობა უფრო მეტად არადემოკრატიულობითა და კონსერვატიულობით გამოირჩეოდა და მათ შეხედულებებს არანაირი საერთო არ ჰქონდათ დემოკრატიასთან, რამაც საგრძნობლად უკან დახია ქვეყნა და იგი თანდათან შორდებოდა დემოკრატიზაციის მწვერვალებს. ძალიან მალე წარმოიშვა დაპირისპირებების ახალი ტალღა ოფიცრებს შორის, ვინაიდან ზოგმა მათგანმა ვერ მიიღო თანამდებობები, როგორც ისინი იმედოვნებდნენ, შესაბამისად ვერ იქნებოდნენ

[9] Liam A. & Gareth S. The Future of Iraq, New York 2004: pp. 39

ჩართულნი ქვეყნის მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებში. აზრთა სხვადასხვაობა და დაპირისპირება იყო ასევე არიფსა და კასიმს შორისაც, ამიტომაც 1958 წლის სექტემბერში იგი ელჩად წარგზავნეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. არიფს სხვა გზა არ დაუტოვეს, იგი აუცილებლად უნდა დათანხმებოდა ამ წინადადებას, ამის შემდეგ კი იგი ჩუმად დაბრუნდა ქვეყანაში ამავე წლის ოქტომბერში, რასაც მისი დაპატიმრება.[10]

კასიმის მმართველობის პერიოდში (1958-1963) ერთ-ერთ ყველაზე აქაქტიურ პარტიად გვევლინება ერაყის კონსტიტუციური პარტია, რომელმაც შეძლო წინააღმდეგობრივი ჯგუფების შექმნა. იმ დროს კომუნისტური პარტია ბაასისტებზე ძლიერი იყო და წარმოადგენდა კასიმის მოკავშირეს მათთან ბრძოლის საქმეში. მაგრამ, მალე კომუნისტური პარტია სხვა გზით წავიდა და აზრი შეიცვალა. პირველ რიგში, კომუნისტები დაუკავშირდნენ ქურთისტანის დემოკრატიულ პარტიას და დაიწყეს მთავრობის წინააღმდეგ საპროტესტო ტალღის აგორება. მათ ბაზას კი ერაყის ქურთისტანი წარმოადგენდა. 1958-1959 წწ. დაიწყო ახალი საპროტესტო გამოსვლები მთავრობის წინააღმდეგ კერძოდ, ქირქუკსა და მოსულში. ხელისუფლებამ მოახერხა გამოსვლების აღკვეთა და კომუნისტებს დაუპირისპირდა რეპრესიებით. კასიმის მმართველობა იმ დონეზე გაძლიერდა, რომ იგი ერთპიროვნულ ლიდერად გადაიქცა და მისი მმართველობა კი დიქტატურად. იგი იძულებული იყო ებრძოლა ყველა ოპოზიციურ ძალასთან და ყოფილიყო მუდმივ დაპირისპირებაში.

ქურთებთან ბრძოლის წაგებამ, ეკონომიკურმა პრობლემებმა, ოპოზიციასთან დაპირისპირებამ, საგარეო პოლიტიკურმა კრახმა ხელი შეუწყო იზოლაციონიზმს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ. 1959 წელის ოქტომბერში ბაასისტები თავს დაესხნენ კასიმს, თუმცა თუმცა კრახი განიცადეს, თავდასხმაში

[10] Dawisha A. Iraq. A Political History from Independence of Occupation, Princeton University Perss, 2009: pp. 177; Uriel D. Iraq Under Qassem, New York 1969: pp. 80

მონაწილეობდა 22 წლის სადამ ჰუსეინი, რომელიც დაპატიმრებას გადაურჩა და კაიროში გადასახლდა.[11]

1960 წლის იანვარში ხელისუფლებამ შეიმუშავა კანონი, რომლის საფუძველზე ლეგალური გახდა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და პოლიტიკური პარტიები. შემდეგი 6 თვის ვადაში რვა პარტიამ განაცხადით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, მაგრამ 4 პარტია აღმოჩნდა ისეთი ვინც მიიღო ლიცენზია, ხოლო კომუნისტურმა პარტიამ ვერ მოახერხა 4 პარტიას შორის მოხვედრა. კასიმის ერთპიროვნული დიქტატურა არ მოსწონდათ არაბ ნაციონალისტებს, ერაყელ ნასერისტებსა და ბაასისტებს.

1962 წელს კასიმის წინააღმდეგ ჩამოყალიბდა შეთქმულთა ჯგუფი, რომლის სათავეშიც იდგნენ არიფის და ბაასის მხარდამჭერები. ბაასის პარტია მზადყოფნას გამოთქვამდა მოწინააღმდეგეებთან საბრძოლველად, დარტყმა უნდა განხორციელებულიყო, როგორც რეჟიმის, ისე კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. შეიქმნა ეროვნული გვარდიის შეიარაღებული ძალები. შეადგინეს ქალაქში არსებული ყველა კომუნისტის სია და დაიწყეს მათი დაპატიმრება. 1962 წელს დაარსდა ბაასის სამხედრო ბიურო, მისი შემქმნელი კი იყო აკი სალიჰ ას-საიდი, რომელიც იმ დროს პარტიის გენერალური მდივანი გახლდათ.

1963 წლის 8 თებერვალს შეთქმულთა ჯარები თავს დაესხნენ ბაღდადს და თავდაცვის სამინისტრო დაიკავეს, ასევე იქ დააკავეს კასიმი. 9 თებერვალს კი იგი მოკლეს, სკამზე დააბეს და ეროვნული ტელევიზიის საშუალებით აჩვენეს ხალხს. 1963 წლის კასიმის დიქტარურა საბოლოოდ დაემხო გადატრიალების მსშვეობით, პრეზიდენტის პოსტი კი სალამ არიფმა ჩაიგდო ხელთ(1963-1966), რომელიც არ წარმოადგენდა ბაასის მომხრე პიროვნებას. ამ პერიოდში შეიქმნა ხელისუფლების ახალი ორგანოები - რევოლუციური ხელმძღვანელობის ეროვნული საბჭო და მთავრობა. თანამდებობები, კერძოდ ვიცე-პრეზიდენტისა

[11] Dawisha A. Iraq. A Political History from Independence of Occupation, Princeton University Perss, 2009: pp. 177-186

და პრემიერ მინისტრის მიიღო ბაასისტმა ლიდერმა ჰასან ალ-ბაქრმა, დანარჩენი თანამდებობები კი დაიკავეს ბაასის სხვა წევრებმა.[12]

ახალმა რეჟიმი საფუძველი გახდა ქვეყანაში ტერორის ახალი ტალღის აგორებისა, რომელსაც სათავეში ედგა ბაასის ლიდერი ას-სადი, რომელიც იყო შინაგან საქმეთა მინისტრი და მთავრობის თავმჯდომარე. ბაასისტები, იმისთვის რომ ხელისუფლებისთვის მუდმივი ძლიერება შეენარჩუნებინათ, ოპოზიციას მუდმივად ებრძოდნენ ეროვნული გვარდიის მეშვეობით, რომელიც იმ პერიოდში 54 000 მებრძოლს მაინც ითვლიდა. ეროვნული გვარდია გახდა მთელი ქვეყნის საზოგადოების მაკონტროლებელი ძალა. თავიდან ისინი ებრძოდნენ კომუნისტებს, შემდეგ კი დაიწყეს საზოგადოების დემოკრატიული ნაწილისა და იუნიონისტების ტერორი. 1963 წლის ზაფხულში ბაასისტებმა გაანადგურეს 10 000_ამდე ქურთი ადამიანი, მათ 10 თვის განმავლობაში ებრძოდნენ, 100 000_მდე ადამიანი კი დააპატიმრეს და უმეტესობა საკონცენტრაციო ბანაკებში გაუშვეს. 1963 წელი ისტორიაში შევიდა სისხლიანი ტერორისა და ეროვნული ტრაგედიის სახელწოდებით ერაყის ისტორიაში.[13]

1963 წლის 18 ნოემბერს კიდევ ერთი სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, რის შედეგადაც არიფმა სამხედროების დახმარებით მოახერხა ბაასის პარტიის ჩამოშორება, სახელმწიფოს სადავეებიდან. ამ დროს მიიღეს ახალი კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც ერაყის უკლებლივ ყველა მოქალაქე იწოდებოდა თანასწორად. ასევე, აიკრძალა ყველა პოლიტიკური პარტიის არსებობა ქვეყანაში და მათ შეცვლიდა სამთავრობო ორგანიზაცია, სახელწოდებით არაბული სოციალისტური კავშირი, რომლის მიზანიც იქნებოდა საშინაო და საგარეო პოლიტიკის გამტარებელი ყველა პარტიის გაერთიანება ქვეყანაში. თუმცა, ერაყში დამყარებული პოლიტიკური სტაბილურობა სულაც არ იყო მყარი.

---

[12] Charles T. A History Of Iraq, Cambrige University Press 2007: pp. 166-167

[13] Charles T. A History Of Iraq, Cambrige University Press 2007: pp. 167-172; Liam A. & Gareth S. The Future of Iraq, New York 2004: pp. 39-41

ყველაფერს ცვლიდა ქურთებისა და ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა. 1964 წელს რჟიმმა თავიდან დაიწყო რეპრესიები იუნიონისტებისა და ბაასისტების წინააღმდეგ. ამ დროს დააპატიმრეს სადამ ჰუსეინი და ჰასან ალ ბაქრი, რომლებიც 1966 წლამდე ისხლდნენ ციხეში. არიფის რეჟიმი შეიცვალა სამხედრო-ბიუროკრატიული დიქტატურით. ქვეყანაში გაძლიერდა მემარჯვენე ძალების პოზიციები.[14]

1966 აპრილში ავიაკატასტროფის შედეგად გარდაიცვალა სალამ არიფი. როცა რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭო ჩაანაცვლა ეროვნული თავდაცვის საბჭომ, სწორედ თავდაცვის საბჭომ აირჩია შემდგომ ახალი პრეზიდენტი არიფის ძმა აბდულ რაჰმანი (1966-1968). აბდულ რაჰმან არიფი თავიდანვე ცდილობდა ლიბერალული პოლიტიკის გატარებას. მან შესთავაზა ქურთებს 12 პუნქტიანი გეგმა რომელიც იქნებოდა მშვიდობის მომტანი და ჩრდილოეთში ომის დასრულებას ემსახურებოდა. თუმცა, ჯარის ოფიცრებმა მოახერხეს ქურთებზე ზეწოლით მოლაპარაკებების შეწყვეტა. ამ პერიოდში ციხიდან გამოვიდა ყველა ბაასის წევრი, რომელმა ფაქტმაც განაპირობა ხელისუფლებისთვის სავალალო შედეგების.[15]

ამ დროს ერაყში პოლიტიკური პრობლემები მრავლად იყო, ამიტომ ბაასის ლიდერებმა, რომელთა მომხრეებიც იყვნენ სამხედრო მაღალჩინოსნები, 1968 წლის ივლისს მოახერხეს სახელმწიფო გადატრიალება. მათ შტურმით აიღეს ბაღდადის ტელევიზია, დააკავეს თავდაცვის მინისტრი და რესპუბლიკური არმიის ყველა მეთაური. იმ დროს ბაასის სამხედრო ნაწილს ხელმძღვანელობდა გენერალი ჰარდან ალ-თიქრითიმი, რომელმაც პრეზიდენტს მოუწოდა დაეტოვებინა პოსტი და წასულიყო ლონდონში, სადაც მას ცოლი ჰყავდა, მაგრამ პრეზიდენტმა არ გაითვალისწინა მისი მოწოდება. დაიწყო დაპირისპირება ბაასისტებისა და სამხედრო ჯგუფებს შორის. ამის შემდგომ, ბაასისტებმა 30

[14] Charles T. A History Of Iraq, Cambrige University Press 2007: pp. 186

[15] Liam A. & Gareth S. The Future of Iraq, New York 2004: pp. 48

ივლისს ყველა თანამდებობის პირი ჩამოაგდეს პოსტებიდან, პრეზიდენტი არიფი დააკავეს და ქვეყნიდან გააგდეს. ხელისუფლების სადავეები ახლა უკვე ბაასმა ჩაიგდო ხელთ.[16]

ხელისუფლების უმაღლესი ორგანო გახდა რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭო. საბჭოს თავმჯდომარეობა აჰმედ ჰასან ალ-ბაქრის უბოძეს (1968-1979), იგი პარალელურად იყო ერაყის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი. ამ დროს სადამ ჰუსეინი 31 წლის იყო, რომელმაც მოახერხა და სახელისუფლებო შტოებში რიგით მეორე პირი გახდა. 1969 წელს იგი გახდა რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. ჰუსეინი ასევე გახდა ბაასის უსაფრთხოების ბიუროს, ასევე ბაასის საორგანიზაციო და იდეოლოგიური სამუშოების განყოფილების უფროსი. სადამ ჰუსაინს უნდოდა ალ-ბაქრის ნდობა დაემსახურებინა, ამიტომ იგი მას „მამა-ლიდერს“ ეძახდა.[17]

1964 წელს სადამ ჰუსაინმა ჩამოაყალიბა პარტიის სპეციალური უსაფრთხოების ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ბაასის მცირე წრეებში იყო ცნობილი, რომელ ორგანოსაც კოდური სახელწოდება ჰქონდა „ჯიჰაზ ჰანინ“. ამ ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქვეყანაში. ორგანოს სტრუქტურაც კონსპირაციული იყო. ორგანიზაცია დაკომპექტებული იყო ყველაზე ერთგული პირებით, რომლებიც პარარელურად აგენტები იყვნენ პარტიასა და ქვეყნის ყველა წერტილში. სადამ ჰუსეინი ყველას ანადგურებდა ვინც ბაასს საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის შიგნით და გარეთ. ყველა თანამდებობის მნიშვნელოვან პოსტებზე - ჯარში, პარტიასა და სახელმწიფო სტრუქტურაში - იყვნენ სადამ ჰუსაინთან უახლოესი სანათესაოს თუ ნდობით აღჭურვილი პირები.

---

[16] Liam A. & Gareth S. The Future of Iraq, New York 2004: pp. 39-41, 51

[17] Dawisha A. Iraq. A Political History from Independence of Occupation, Princeton University Perss, 2009: pp. 209-212; William L. A History of The Modern Middle East, Cleveland, 2009: pp. 409-410

ბაასმა 1963 წლის დამარცხების მიზეზები შეისწავლეს და დაიწყეს ხელისუფლების უსისხლოდ გადატრიალების დაგეგმვა. ბაასმა გადაწყვიტა ჩამოეყალიბებინათ „პროგრესულ ძლთა ფართო ფრონტი“, ციხეებიდან გაათავისუფლეს 1000-მდე დემოკრატი და კომუნისტი. ბაასის მეთაურებმა კავშირი დაამყარეს ერაყის კომუნისტურ პარტიასთან. ხელისუფლებამ გაათავისუფლა ქურთთა აჯანყებების მონაწილენი. მაგრამ, ახალი ხელისუფლების ლიბერალური ნაბიჯები უფრო მოჩვენებით ხასიათის იყო ვიდრე რეალური, ამიტომ არსებული რეჟიმის მიმართ ყველა სხვა პოლიტიკური ძალის მხრიდან უნდობლობის ტალღა აგორდა.[18]

ბაასისტები მთავრობას არადემოკრატიული ქმედებებით დაეუფლნენ, მათ პოლიტიკას კი მოსახლეობის დიდი ნაწილი უნდობლობას უცხადებდა. 1968 წლის მაისში პარტია შედგებოდა 5000 წევრისგან მაინც. ბაასის წევრების უმეტესი ნაწილი სუნიტები იყვნენ. აგრეთვე, არსებული რეჟიმის სოციალური ბაზა მცირე იყო.

1968 წლის ოქტომბერში შეიქმნა საგანგებო რევოლუციური სასამართლო, აგენტებისა, ჯაშუშებისა და „ხალხის მტრების“ გასასამართლებლად. დანაშაულის კვალიფიკაცია ფასდებოდა შემდეგნაირად: თუ „შეთქმულება მიმართული იყო ხელისუფლების გადატრიალებისკენ“, თუ პირი იყო „აშშ_ს აგენტი“, ასევე თუ „პირს კავშირი ჰქონდა ისრაელთან და ირანთან და მოქმედებდა მათ საკეთილდღეოდ“. ამ დროს ხშირად ხდებოდ ხალხის გატაცება დაკავება, რომელსაც ხშირად სასამართლო განხილვაც კიარ მოჰყვებოდა. სადამ ჰუსეინი ყოველდღე გეგმების დასახვას უნდებოდა, იგი ფიქრობდა რომ პირველს უნდა მიეყენებინა თავისი მტრებისთვის დარტყმა, სანამ მტერი დაასწრებდა მას.[19]

---

[18] Dawisha A. Iraq. A Political History from Independence of Occupation, Princeton University Perss, 2009: pp. 212; William L. A History of The Modern Middle East, Cleveland, 2009: pp. 410-413

[19] Dawisha A. Iraq. A Political History from Independence of Occupation, Princeton University Perss, 2009: pp. 229

ახალი რეჟიმის ღონისძიებები მიმართული იყო მომხრეთა უფრო მეტი ნაწილის შემოერთებისკენ, მათ სურდათ მშრომელთა მხარდაჭერა. ამის გამო, პირველ რიგში მათ ფასები დაწიეს საწვავზე და საგრძნობლად შეამცირეს გადასახადები, ასევე მოხსნეს უამრავი შეზღუდვა საღოფაცხოვრებო თუ ჰიგიენის მრავალ საგანზე და მათ იმპორტირებაზე.

1970 წლის 16 ივლისს მიიღეს ახალი კონსტიტუცია, რომლის თანახმადაც ერაყი უკვე „სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა“ ხდებოდა. მთავრობის უმაღლესი ორგანო რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭო იყო. 1971 წლის ნოემბერში გამოიცა „ეროვნული მოქმედების ქარტია“, რომელიც გააერთიანებდა ქვეყანაში არსებულ ყველა პოლიტიკურ ძალას და ხელს შეუწყობდა „ეროვნული ფრონტის“ შექმნას. ბაასმა კომუნისტურ პარტიას მოუწოდა „ერთიან ფრონტში“ გაერთიანებისკენ, მაგრამ ერთი პირობით, თუ კომუნისტები თავიანთ პარტიას უწოდებდნენ სოციალისტურ, დემოკრატიულსა და იუნიონისტურს. 1968 წლის რევოლუციის პროგრესულ სახეს იღებდა, ბაასის ხელმძღვანელის მოევლინა ერაყს ხელისუფლებაში, ყველა ორგანიზაციასა თუ ფრონტზე, ასევე მხოლოდ ბაასს უნდა ჰქონოდა არმიის შიგნით პოლიტიკური საქმიანობის წარმართვის შესაძლებლობა. 1973 წლის ივლისში კომუნისტებმა უარი ვერ თქვეს აღნიშნულ შეთავაზებაზე და შეუერთდნენ ბაასისა პარტიას, კერძოდ ხელი მოაწერეს „ეროვნული მოქმედების ქარტიას“, რომლის მიხედვითაც შეიქმნა „პროგრესული ეროვნულ-პატრიოტული ფრონტი“. მასში გაერთიანდა 3 ქურთი, 3 კომუნისტი, 8 ბაასისტი და 2 დამოუკიდებელი.[20]

მხოლოდ შირმა წარმოადგენდა გაერთიანებაზე დამყარებულ პოლიტიკურ სისტემას და ეროვნულ პატრიოტულ ფრონტს, რომელიც ხელს უწყობდა მთავრობის ერთიანობას. ხელისუფლებას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიაჩნდა ქურთთა აჯანყებების აღკვეთა. რეალურად კი, ბაასის ლიდერებს სურდათ ერთპარტიული სისტემის ჩამოყალიბება. პარალელურად, სადამ

[20] Dawisha A. Iraq. A Political History from Independence of Occupation, Princeton University Perss, 2009: pp. 235

ჰუსეინი ზეწოლას ახორციელებდა კომუნისტური პარტიაზე და მას სურდა ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარება, ასევე ქურთებისა და შიიტების მხარდაჭერის მოპოვება. 1970-იანი წლების ბოლოს, ბაასისტები სასტიკად დაუპირისპირდნენ შიიტებსა და ქურთებს, ნათელი გახდა რომ მისთვის კომუნისტური პარტია უკვე აღარაფერს წარმოადგენდა, და იგი ხელს ვერ შეუშლიდა მას ქვეყანაში ბაასის სრული გაბატონების საქმეში. ბაასმა დაიწყო კომუნისტების დევნა, მათ აუკრძალეს ყველანაირი საქმიანობა. 1978-1979 წწ. კომუნისტური პარტიის 1000 ამდე მომხრე რეპრესიების მსხვერპლი გახდა. ბაასმა მათი დახვრეტები დაიწყო ქუჩებში, ხშირად იტაცებდნენ და წამებით კლავდნენ მათ. სადამ ჰუსაინმა კომუნისტებს უცხო ქვეყნების ჯაშუშები უწოდა და გაანადგურა მათი ყველა ბეჭდვითი ორგანოები. შესაბამისად, ერაყი უკვე გახდა ისეთი ქვეყანა, რომელშიც ბაასმა სრულიად აიღო ხელში ხელისუფლების სადავეები და შექმნა ტოტალიტარული რეჟიმი.

1968 წლის ივლისის პერიოდში ბაასის ხელმძღვანელობამ თავის ხელში აიღო პოლიტიკური, იდეოლოგიური და ადმინისტრაციული კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე „ბაასიზაციის“ მეშვეობით. ბაასმა უნდოდა ჩამოეყალიბებინა იდეოლოგიური არმია, რომელიც ხელისუფლების მცველის როლს ითამაშებდა. ის ვინც რეჟიმის მხარს არ უჭერდა, იქნებოდა ეს ოფიცერი თუ სხვა, ყველა მათგანს ათავისუფლებდნენ და უშვებდნენ ქურთისტანში მუშის სახით. სამხედრო-სასწავლო დაწესებულებებში მარტო ბაასის მხარდამჭერები და წევრები იყვნენ, რომლებიც ვალდებულნი და იძულებულნი ხდებოდნენ - დაეცვათ პარტიის ინტერესები, მისი დარღვევის შემთხვევაში კი მათ წინააღმდეგ გარდაუვალი იქნებოდა რეპრესიები. დისკრიმინაცია სუფევდა რელიგიური და ეთნიკური ნიშნით, რომლის მიხედვითაც აწინაურებდნენ თანამდებობებზე პირებს, კერძოდ მათ ვინც ახლო კავშირში იყვნენ სადამ ჰუსეინთან.

1976 წლის ბოლოს ჯარში დამთავრდა ბაასისტი პოლიტიკური კომისრებით დაკომპლექტება, რომლებიც შედიოდნენ სადამი ჰუსეინის უსაფრთხოების აპარატის დაქვემდებარებაში. 1976 წელს ალ-ბაქრმა სადამ

ჰუსაინს, მიუხედავად იმისა რომ მას არანაირი განათლება არ ჰქონდა სამხედრო კუთხით, გენერობა უბოძა. სადამ ჰუსაინის აღზევებამ სამხედრო იერარქიაში დააკნინა ალ-ბაქრის როლი. 1977 წელს თავდაცვის მინისტრად სადამ ჰუსაინის ბიძაშვილი - გენერალ ადნან ხაირალა დანიშნეს, რაც პირდაპირ მიუთითებდა რომ იგი სადამის დაქვემდებარებაში იქნებოდა. 1977 წელსვე მოხდა დიდი ცვლილებები - ბაასის პარტიის მმართველი საბჭოს წევრები უკვე რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭოს წევრები გახდნენ, ეს კი პირდაპირ მანიშნებელი იყო იმსა რომ, პარტია და სახელმწიფო ერთ მთლიანობას წარმოადგენდა და მათ შორის არანაირი სხვაობა აღარ იქნებოდა. 1978 წელს გამოიცა დეკრეტი, რომლის თანახმად ბაასის პარტიის გარდა არავის ექნებოდა უფლება არმიაში პოლიტიკური საქმიანობის წარმოებისა. ამ პერიოდში, მმართველობიდან გაათავისუფლეს სამხედრო ჯგუფის 77 პირი, რომელთაგან ბაქრის მომხრე 22 პირი სიკვდილით დასაჯეს, დანარჩენი 55 წევრი კი ციხეში ჩასვეს.[21]

სადამ ჰუსაინს სურდა ბაასი სამაგალითო და კარგად ორგანიზებულ ძალა გამხდარიყო, რომელიც მოახერხებდა ხელისუფლების დასაკუთრებასა და შემდგომ მის შენარჩუნებას. ამიტომ, სადამ ჰუსეინი მაგალითს იღებდა ბოლშევიკური რუსეთისა და ფაშისტური გერმანიისაგან, სწორედ იმიტომ რომ ორივეგან ერთპარტიული სისტემა იყო. ჰუსეინმა კარგად შესწავლა კომუნისტური კავშირის გამოცდილება. მას ძალიან აინტერესებდა პარტიის ორგანიზაციული სტრუქტურა, იგი იყენებდა სტალინურ მეთოდებს. სადამ ჰუსაინი ყველაზე ერთგულ და მნიშვნელოვან პირებს ირჩევდა მათი სახით აკომპლექტებდა პარტიას. დაინერგა ახალი იდეოლოგიები სკოლებში და მთლიანად განათლების სისტემაში.[22]

---

[21] Dawisha A. Iraq. A Political History from Independence of Occupation, Princeton University Perss, 2009: pp. 213-216; Liam A. & Gareth S. The Future of Iraq, New York 2004: pp. 63

[22] Dawisha A. Iraq. A Political History from Independence of Occupation, Princeton University Perss, 2009: pp. 217

მკაცრი სასჯელით ისჯებოდნენ ბაასის წევრები: სადამ ჰუსეინის მიერ შემუშვებული კანონებით, იგი სიკვდილით სჯიდა მათ თუ ისინი წავიდოდნენ პარტიიდან და სხვა პარტიაში შევიდოდნენ, ან პარალელურად სხვა პარტიასთან კავშირის შემთხვევაში. 1975-1978 წწ. შექმნეს ანტიდემოკრატიული კანონები. მაგალითად: #35 კანონით, ერაყის მოქალაქეობას ართმევდნენ რევოლუციის მხარდამჭერებს და ყველა ოპოზიციონერს.

1977 წლიდან პარტიის ორგანიზაციების მეთაურები, უსაფრთხოების სტრუქტურები, ჯარის მაღალჩინოსნები და მინისტრები ანგარიშს აბარებდნენ პრეზიდენტ ბაქრი ნაცვლად, პირდაპირ სადამ ჰუსეინს.

1979 წლის 17 ივლისს ბაქრი ჩამოაგდეს ყველა თანამდებობიდან და შინა პატიმრობით დასაჯეს. ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ბაქრმა "ავადმყოფობის გამო" დატოვა თანამდებობა. სახელმწიფოსა და აპრტიის მმართველი გახდა სადამ ჰუსეინი. ბაქრი 16 ივლისს ტელევიზიით გამოვიდა ხელისუფლება სადამ ჰუსეინს უბოძა. სადამ ჰუსეინმა მიაღწია მიზანს, როგორც გეგმავდა და მოახერხა „სახელმწიფო გადატრიალება უსისხლოდ".[23]

[23] Kamrava M. The Modern Middle East, Georgetown University 2005: pp. 180; Dawisha A. Iraq. A Political History from Independence of Occupation, Princeton University Perss, 2009: pp. 214-216

II თავი

ეთნოკონფესიური ფაქტორის მნიშვნელობა ერაყის პოლიტიკური ვითარების განსაზღვრისათვის

2.1 ავტორიტარული მმართველობა ერაყში და მისი შედეგები შიიტებზე

ერაყში 50-იანი წლების დასაწყისში ბრძოლა მონარქიული რეჟიმის წინააღმდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა. ბაღდათში შეიქმნა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი - ბაღდათის პაქტი.უნდა აღინიშნის რომ ამ ყოველივეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ინგლისმა. ბაღდათის პაქტში გაერთიანდა რამდენიმე ქვეყანა- პაკისტანი, თურქეთი, ირანი და ერაყი. 1955 წელს დაიდო ინგლისსა და ერაყს შორის შეთანხმება.ამ შეთანხმების შესაბამისად, ინგლისმა შეინარჩუნა სამხედრო - პოლიტიკური კონტროლი ერაყზე.ამ ფაქტმმა კი ერაყის მოსახლეობის ნაწილი აღაშფოთა.მოსახლეობას სურდა ერაყის გამოსვლა ბაღდათის პაქტიდან. შესაბამისად შეიქმნა პოლიტიკური გაერთიანებები.ამ ყოველივეს კი შედეგად მოჰყვა შეიარაღებულ აჯანყება 1956 წელს.ძირითადად მსგავსი ფაქტები ბიქსირდებოდა ერაყის სამ ქალაქში - მოსულსა , ბაღდათში და ბარსაში. მათ მალე შეუერთდა შიიტური ქალაქებიც ქუფა, ჰალი და ნაჯაფი.

ამის შემდეგ 1954 წელს შეიქმნა ბაასი-არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტია. ორ წელში კი 1956 წელს ერაყის არმიაში ჩამოყალიბდა ორგანიზაცია „თავისუფალი ოფიცრები“. 1957 წლის თებერვალში ეროვნული ერთიანობის ფრონტში გაერთიანდნენ ეროვნულ - დამოუკიდებლობის პარტია ისთიკლალი, დემოკრატიული პარტია, ერაყის კომუნისტური პარტიადა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტია ბაასი. 1957 წელს სადამ ჰუსაინი შეუერთა ბაასის პარტიის წევრებს.[24]

---

[24] Liam A. & Gareth S. The Future of Iraq, New York 2004: pp. 45; William L. A History of The Modern Middle East, Cleveland, 2009: pp. 415

მას შემდეგ რაც ერაყის სამხედო შეიარაღებული ძალები გამოვიდა ქვეყნის მმართველი რეჟიმის წინააღმდეგ, აჯანყებულმა მხარემ დაიკავა მეფის სასახლე და ამ ჟესტის შემდეგ ქვეყანაში დაეხმო მონარქია მეფე კი მოკლეს (ფაისალ II) დაემხო მონარქია და გამოცხადდა ერაყის რესპუბლიკის შექმნა. ამის შემდეგ კი ქვეყნის ხელისუფებამ მიიღო ერაყის რესპუბლიკის 1958 წლის დროებითი კონსტიტუცია. ქვეყნის პრეზიდენტი კი გახდა აბდ ალ - ქარიმ კასიმი რომელმაც პოსტი 1958-დან 1963-მდე შეინარჩუნა. სწორედ მისი პრეზიდენტობის პერიოდში დატოვა ერაყმა ბაღდათის პაქტი და გამოვიდა ერაყისა და იორდანიის არაბული ფედერაციიდან.გარდა ამისა ამავე პერიდოში დაამყარა ერაყმა დიპლომატიური ურთიერთობა თითქმის ყველა კომუნისტურ ქვეყანასთან.[25]

1963 წელს ადგილი ჰქონდა სახელმწიფო გადატრიალებას.გადატრიალების შემდეგ დაემხო კასმის მმართველობა და პრეზიდენთი გახდა აბდულ სალამ არიფი. ახალი რეჟიმი მიმართავდა ტერორის მეთოდებს. ამ ყოველივეს მეთაურობდა ერაყის ბაასის ლიდერი ას-სიდი, რომელიც იმ შინაგან საქმეთა მინისტრი იყო. ამით სახელმწიფო გადატრიალებების ციკლი არ დასრულებულა ერაყში. 1963 წელს ადგილი ჰქონდა კიდევ ერთ გადატრიალებას რომლის შემდეგად სამხედროებმა, შეძლეს ხელისუფლებიდან ბაასის პარტიის ლიდერების გადაყენება.ამ ყოველივეს კი ხელმძღვანელობდა აბდულ სალამ-არიფის. ახალმა ხელისუფლებამ მიიღო ახალი დროებითი კონსტიტუცია, რომლის შესაბამისადაც ერაყის ყველა მოქალაქე თანასწორად გამოაცხდდა. გარდა ამისა იკრძალებოდა პოლიტიკური პარტიის ფუნქციონირება. მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერაყში დამყარებული პოლიტიკური სტაბილურობა დროებითი და ამავდროულად მოჩვენებითი იყო. ბრძოლა ხელისუფლების სათავეში მოსასვლელად სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის კვლავ გრძელდებოდა.

[25] Liam A. & Gareth S. The Future of Iraq, New York 2004: pp. 39

1963 წელს, როდესაც კასიმის მთავრობა დამხობილ იქნა ე.წ. რამადანის რევოლუციის დროს, სადამი დაბრუნდა ერაყში, მაგრამ იგი დააპატიმრეს შემდეგ წელს ბაასის პარტიაში მიმდინარე ბრძოლების გამო.ციხეში ყოფნის მიუხედავად, იგი პოლიტიკაში ჩაერთო და 1966 წელს დაინიშნა რეგიონალური სარდლობის მდივნის მოადგილედ.

1964 წელს რიფის რეჟიმი გადაიქცა სამხედრო--ბიუროკრატიულ დიქტატურად. [26]

ბაასის ხელმძღვანელობამ, 1968 წელს მოახდინა ხელახალი სახელმწიფო გადატრიალება. პრეზიდენტი აბდულ რაჰმან არიფი დააპატიმრეს და ქვეყნიდან გააძევეს[27]. რაც შეეხება ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს, უმაღლეს ორგანოდ რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭო დასახელდა, რომელსაც ხელმძღვანელობდა აჰმედ ჰასან ალ-ბაქრი, მას ერთდროულად ეჭირა პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრს პოსტები .[28]

მალევე 1970 წელს მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, რომლის შესაბამისადაც ერაყი გამოცხადდა „სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკად“. სახელმწიო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო კი გახდა რევოლუციონერი ხელმძღვანელობის საბჭო.[29] ბაასისტებს სურდათ იდეოლოგიური არმიის ჩამოყალიბება. ზემოხსენებულ არმიას უნდა დაეცვა ქვეყნის ხელისუფლების ინტერესები. 1976 წლის ბოლოსკი არმიაში ჩამოყალიბდა ბაასის პოლიტიკური კომისრების გაერთიანება, რომლებიც განეკუთვნებიდა სადამის უსაფრთხოების აპარატს. 1976 წელს სადამ ჰუასინს არმიის გენერლის წოდება მიენიჭა. მაგრამ ისიც უნდა ითვქს რომ მას არ ქონია რაიმე სახის სამხედრო განათლება. მალევე, ერთ წელიწადში 1977 წელს თავდაცვის მინისტრად

---

[26] Charles T. A History Of Iraq, Cambrige University Press 2007: pp. 188

[27] Liam A. & Gareth S. The Future of Iraq, New York 2004: 41-42, pp. 53

[28] Dawisha A. Iraq. A Political History from Independence of Occupation, Princeton University Perss, 2009: pp. 215; William L. A History of The Modern Middle East, Cleveland, 2009: pp. 410-411

[29] Dawisha A. Iraq. A Political History from Independence of Occupation, Princeton University Perss, 2009: pp. 231

სადამ ჰუსაინის ბიძაშვილი დაინიშნა - გენერალი ადნან ხაირალა.ეს ყოველივე კი გულიხსმობდა სადამის კონტროლისათვის დაქვემდეარებას.

მას შემდეგ, რაც ბაქრი გადააყენეს პოსტიდან სახელმწიფოს (ასევე პარტიის) სათავეში სადამ ჰუსაინი ჩაუდგა.ეს მოხდა 1979 წელს. ბაქრის გადადგომა მოგვიანებით შეფასდა, როგორც უსისხლო გადატრიალება.[30] მას შემდეგ რაც სადამ ჰუსაინი პრეზიდენტი გახდა, მან პარალელურად დაიკავა პრემიერ- მინისტრის, რევოლუციური ხელმძღვანელი საბჭოს თავმჯდომარის, შეიარაღებული ძალის მთავარსარდლის და ბაასის გენერალური მდივნის პოზიციები. ქვეყანაში დამყარდა მისი აბსოლუტური მმართველობა.[31]

იმავე წელს, როდესაც სადამი პრეზიდენტი გახდა ათოლა ხომინიმ წარმატებული ისლამური რევოლუცია ჩაატარა ერაყის მეზობელლად, ირანში.სადამს, რომლის პოლიტიკური ძალაუფლება ნაწილობრივ ეყრდნობოდა ერაყის უმცირესობის სუნიტური მოსახლეობის მხარდაჭერას, აღშფოთდა, რომ ირანში შიიტითა უმრავლესობაში განვითარებულ მოვლენებს შესაძლოა გამოეწვია მსგავსი აჯანყება ერაყში.

რაც შეეხება მის მიზნებს, მას სურდა სრული პოლიტიკური, ეკონომიკური იდეოლოგიური და ადმინისტრაციული კონტროლის დამყარება.ამიტომ იგი შეუდგა რეალური და პოტენციური მოწინააღმდეგეების განადგურებას. ჯერ კიდევ მაშინ როდესაც ჰუსეინი შეხვდა ბაასის წარმომადგენლებს, შეხვედრის დროს სია ხმამაღლა წაიკითხა, სადაც ჩამოთვლილი იყო 68 ადამინის სახელი. ხოლო ჩამონათვალის თითოეული ადამიანი დაუყოვნებლივ დააპატიმრეს და ოთახიდან გამოიყვანეს. ამ 68 ადამიანიდან ყველა გაასამართლეს და მოღალატად სცნეს, ხოლო 22-ს მიესაჯა სიკვდილით დასჯა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ რეჟიმი იყენებდა წამების 107 მეთოდს“.[32]

---

[30] Kamrava M. The Modern Middle East, Georgetown University 2005: pp. 178; Dawisha A. Iraq. A Political History from Independence of Occupation, Princeton University Perss, 2009: pp. 215-216

[31] Liam A. & Gareth S. The Future of Iraq, New York 2004: pp. 61

[32] Dawisha A. Iraq. A Political History from Independence of Occupation, Princeton University Perss, 2009: pp. 219; Liam A. & Gareth S. The Future of Iraq, New York 2004: pp. 58

1980 წლის თებერვალში ჰუსაინმა განაცხადა, რომ ერაყი დარჩებოდა „არაბთა მიწის“ საიმედო დამცველად. გარდა ამისა ის აღნიშნავდა, რომ ბაასის პარტიას შეეძლო ერაყელი ხალხისა და არაბი ერის ღირსების აღდგენა და შენარჩუნება.

1992 წელს სალაჰ ად-დინში (ქურთისტანი) მოხდა დაახლოებით 31 ოპოზიციური პარტიის და დაჯგუფების შეხვედრა. ისინი ფუნქციონირებდნენ როგორც ერაყში ისე მის საზღვარგარეთ.

ნიუ იორკში 1999 წელს შედგა ერაყელი ოპოზიცურ პარტიათა კიდევ ერთი შეხვედრა, რომელზეც შეიმუშავეს ის ძირითადი პრინციპები, რომლის ირგვლივაც ისინი იმოქმედებდნენ და რომელთა გამოყენებითაც გაანადგურებდნენ დაპირისპირებულ მხარეს. ისიც უნდა აღინიშნის, რომ შიიტური დაჯგუფებების ნაწილმა უარი განაცხადა თათბირში მონაწილეობაზე და უარყოფითად აფასებდნენ კონკრეტულ შეხვედრას. ისინი იცავდნენ შეუცვლელად თავიანთ პოზიციას, და უარს ამბობდნენ აშშ-ისთაოსნობით ჩატარებულ მოლაპარაკებებში მონაწილეობის მიღებაზე. მათ არ სურდათ ამერიკის შეერთებული შტარების ნებისმიერი სახის დახმარების გამოყენება, თუნდაც სადამის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1999 წელს სადამ ჰუსაინმა სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე დანიშნა კუსაი,მისი უმცროსი ვაჟი. 2001 წლის აპრილში ის აირჩიეს თავდაცვის პოლიტიკის დარგში ბაასის გენერალური მდივნის მოადგილედ. ამ ყოველივეთი კი ოფიციალურად განმტკიცდა მისი, როგორც ერაყის მეორე პირის, მდგომარეობა. კუსაი ხელმძღვანელობდა რესპუბლიკურ გვადრიას, გვარდია კი უშუალოდ ემორჩილებოდა სადამ ჰუსაინს რაც რა თამ აუნდა მნიშვნელოვან შესაძლებლობებს აძლევდა მას.[33]

ბრიტანეთის და აშშ-ის სამხედრო ძალებმა, 2003 წლის 20 მარტს ერაყში სამხედრო მოქმედება დაიწყეს. მათ რიგებს მალე შეუართდნენ სხვა სახელმწიფოებიც თავიანთი სამხედრო ქვედანაყოფებით. ამავე წელს აპილში

[33] Liam A. & Gareth S. The Future of Iraq, New York 2004: pp. 151-152

გაერთიანებულმა კოალიციის ჯარებმა ბაღდადი დაიკავეს. ეს ყოველივე გრძელდებოდა 43 დღე და დასრულდა 1 მაისს. საბოლოოდ კი, სადამ ჰუსაინის რეჟიმი დაემხოდა დაწესდა სამხედრო კონტროლი.გარდა ამისა ქვეყანაში დროებით ხელისუფლება გადაეცა „გამარჯვებულ“ კოალიციურ ადმინისტრაციას. საინტერესო შეფასებები მოჰყვა ამ მოვლენას. ეს პროცესები აშშ-მ შეაფასა, როგორც „მეწამული რევოლუცია“. ქვეყანაში დაიწყო „დებაასიზაციის“ პროცესი, ეს ყოველივე კი პირველ რიგში გულისხმობდა ბაასის პარტიის სრულ განადგურებას და შესაბამისად ლიკვიდაციას. მათ აუცილებლად უნდა მოეხდინათ ჰუსაინის მომხრეთა ჩამოცილებ სახელმწიფო აპარატებიდა, რათა ქონოდათ მეტი შესაძლებლობები. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც გამოიწვია „სამკვირიანმა ომმა“, იყო სუნიტების ერთპიროვნული მმართველობის დამთავრება. რაც საუკუნეები განმავლობაში ხდებოდა.

სადამ ჰუსაინი ქვეყანას მართავდა 35 წლის განმავლობაში, რაც შეეხება მისი მმართველობის შეფასებას, მას სხვადასხვაგვარად აფასებდნენ. ზოგიერთი მათგანი ჰუსეინში ხედავდა ჰუსაინის დიქტატურას და ამავე დროს პიროვნების კულტს, სხვები კი ყურადღებას ამახვილებენ თიქრითის კლანის დიქტატურაზე, რაც შეეხება დანარჩენების მოსაზრებას - ისინი ყურადღებას ამახვილებდნენ ბაასის პარტიის როლზე. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზოგადად სადამ ჰუსაინის მმართველობა იყო ზუსტი ხელისუფლების გადაჭარბებული პერსონალიზაცია. 1977 წელს სადამ ჰუსაინმა განაცხადა: „არაბი ლიდერები ხელისუფლებაში ლიბერალურ-დემოკრატიული საშუალებით არ მოდიან. სწორედ ამიტომ ისინი აუცილებლად უნდა იყვნენ მზად იმისათვის, რომ შეიძლება სახელმწიფო ხელისუფლების მმართველობის დატოვება მოუწიოთ მაგრამ არადემოკრატიული გზით“.

2.2 ერაყის სუნიტური ხელისუფლებების ჩართულობა რეგიონალურ პრობლემებში

სპარსეთის ყურის პირველი ომი იყო სასაზღვრო ომი ირანსა და ერაყს შორის, იგი 1980 წლის 22 სექტემბერს დაიწყო და გრძელდებოდა 8 წელი. ეს ომი ცნობილია როგორც "ირან-ერაყის ომი". ომი საკმაოდ უშედეგოდ დასრულდა თუ გავითვალისწინებთ იმ მსხვერპლს, რაც მოჰყვა ამ დაპირისპირებას.

თავდაპირველად ალჟირის ხელშეკრულების თანახმად 1975 წლის მარტში ირანსა და ერაყს შორის საზღვარი შატ-ელ-არაბის შუაგულში გადიოდა. ეს გახდა ომის მიზეზი. ერაყის ხელისუფლების მმართველის სადამ ჰუსეინის უპირველლესი მიზანი იყო "ალჟირის ხელშეკრულების" გაუქმება და ამავდროულად სურდა შატ-ელ-არაბზე მთლიანი კონტროლის დამყარება, ამის მიზეზი კი იყო ის, რომ ეს მდინარე ერაყის ნავთობის საზღვარგარეთ ტრანსპორტირების მთავარ საშუალეაბს წარმოადგენდა. ასევე ისიც უნდა ვღნიშნოთ, რომ ერაყი და სპარსეთის ყურის სხვა არაბული ქვეყნები 1979 წელს ირანში რევოლუციის და იქ აიათოლათა რეჟიმის დამყარების შემდეგ რეგიონში შიიტური ისლამის გაძლიერების მნიშვნელოვან საფრთხეს ხედავდნენ.

ირან-ერაყის ურთიერთობაში ქურთების პრობლემა იყო ძალიან აქტუალური. აქ იგულისხმება ის, რომ ერაყი ადანაშაულებდა ირანს ქურთი აჯანყებულების მხარდაჭერაში. ირანს სურდა ერაყს დაეთმო კონკრეტული საკითზები საზღვართან დაკავშირებით. ამის შემდეგ 1975 წელს არსებული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ხელი მოეწერა ირანსა და ერაყს შორის საზღვრებისა და კეთილმეზობლური დამოკიდებულების შესახებ ხელშეკრულებას. ამ ყოცელივეს ინიციატორი კი იყო ალჟირის პრეზიდენტი ჰუარი ჰუმედიანი. ალჟირის შეთანხმებას განსაზღვრა საზღვარი ორ ქვეყანას შორის.

ისლამურ რევოლუციას შემდეგ 1979 წლის შემდეგ მოჰყვა ერაყსა და ირანს შორის ურთიერთობის გაუარესება. თეირანმა გაამყარა ურთიერთობები ერაყელ შიიტებთან და მათ უბიძგებდა მმართველი ბაასის ხელისუფლების დამხობისკენ. მსგავსი ქმედებები კი ძალიან დიდი საფრთხის შემცველი იყო

ერაყისათვის. ჰუსაინს არ მოსწონდა 1975 წლის ხელშეკრულების პირობები. აღნიშნავდა რომ ამ ხელშეკრულების გარკვეულ პირობებზე ერაყი პრაქტიკულად იძულებით დათანხმდა. ამიტომაც მან მოითხოვა 1975 წლის ალჟირის შეთანხმების გაუქმება. ასევე ჰუსაინი იმასაც უსვამდა ხაზს, რომ ირანმა ამ ხელშეკრულების პირობები დაარღვია. ხელშეკრულებით ირანს ერაყისთვის უნდა გადაეცა 508კვ.კმ.ტერიტორია, მაგრამ ეს ტერიტორია კვლავ ირანის იურისდიქციის ქვეშ იყო.

სადამ ჰუსეინმა გამოაცხადა დამპყობლური ომი, რომელის ძირითად მიზანსაც წარმოადგენდა ირანის პროვინციის ხუზისტანის ხელში ჩაგდებას. ერაყის ხელისუფლებას იმედი ჰქონდა რეგიონის სხვა არაბული ქვეყნების დახმარების, რადგან მათ კარგი ურთიერთობა ჰქონდა სხვა არაბულ ქვეყნებთან. ერაყს ასევე სამხედრო, დიპლომატიურ და ეკონომიუკურ დახმარებას უწევდა სსრკ. ამ მხრივ გამოირჩეოდა ქუვეითი და საუდის არაბეთიც, რომლებმაც ერაყს უზარმაზარი ფინანსური კრედიტები მისცეს.

ომის დაწყებისთანავე ევროპამ და აშშ-მა დაიჭირეს ერაყის მხარე და ეხმარებოდნენ სადამ ჰუსაინს იარაღით უზრუნველყოფაში ასევე მომწამლავი გაზით, ეკონომიური უზრუნველყოფით და სადაზვერვო ინფორმაციებით. 1986 წლიდან აშშ ერაყს იარაღითაც საიდუმლოდ ამარაგებდა.

ომის დასაწყისშივე ისრაელის ორმა სამხედრო თვითმფრინავმა (ფ-16) დაბომბა იმ დროისთვის მზადებაში მყოფი ერაყული ატომური რეაქტორი "ოსირაკი". ამ ინციდენტს ემსხვერპლა ერთი ტექნიკოსი, რომელიც იქ მუშაობდა. ისრაელი ამ შემთხევასთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ თავდასხმის მიზანი იყო ხელი შეეშალა ერაყისათვის ატომური ბომბის წარმოებაში.

სპარსეთის ყურეში 1984 წელს დაიწყო ე.წ. ტანკერული ომი, რომელმაც მაქსიმუმს მიაღწია 1987. ამ ომს 500-მდე ტანკერი ემსხვერპლა. 1985 წელს ერაყმა დაიწყო ე.წ. "საქალაქო ომი". რომლის ძირითად მიზანსაც წარმოადგენდა ირანის ქალაქების დაბომბვა სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით. სამწუხაროდ ამ ოპერაციას ემსხვერპლა დაახლოებით 100.000 ირანელი მოქალაქის სიცოცხლე.

ერაყი მიმართავდა საკმაოდ სასტიკ საშუალებებს. სადამ ჰუსეინმა 1984 წელს გამოიყენა ქიმიური იარაღი. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მან ეს იარაღი შემდგომში ქურთების, საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგაც გამოიყენა. ქიმიურ იარაღს ერაყში ამზადებდდნენ გერმანიიდან შემოტანილი საშუალებებით და ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდნენ რომ ეს იყო პესტიციდების მოპოვებისათვის საჭირო დანადგარები. ამ დროისთვის ირანი საერთაშორისო არენაზე არასასურველი რეპუტაციით სარგებლობდა სწორედ ამ მიზეზის გამო ერაყის ამ ცუდ ჟესტებს მსოფლიოში დიდი გამოხმაურება და საპროტესტო აქციები არ მოჰყოლია. დაპირისპირება მიაგავდა ტაქტიკურად პირველ მსოფლიო ომს. მას შემდეგ, რაც ირანმა 1982 წლის ივნისში განახორციელა შეტევა და დაიბრუნა მანამდე დაკარგული ტერიტორიები ერაყი შეშინდა და დაიწყო საზავო მოლაპარაკებები, მაგრამ ირანი მოითხოვდა სადამ ჰუსაინის რეჟიმის შეცვლას.

სპარსეთის ყურეს დასავლეთის ქვეყნები იცავდნენ საზღვაო ძალებით. ერაყიდან გასროლილი რაკეტა მოხვდა ამერიკულ ფრაგატა "უსს სტარკს" ამ ყოველივემ კი 37 მეზღვაურის სიცოცხლე იმსხვერპლა. ეს ინციდენტი მოხდა 1987 წლის 17 მაისს. 1 წლის შემდეგ უკვე 1988 წლის 3 ივლისს "უსს ვინსენესმა" (ამერიკული კრეისერი)ირანულ სამგზავრო თვითმფრინავს შეცდომით ცეცხლი გაუხსნა.მათ აღნიშნეს, რომ ეს სამხედრო თვითმფრინავი იყო.ცეცხლის გახსნის შემდეგ თვითმფრინავი ჩამოვარდა და 290 მგზავრი დაიღუპა. ომის შედეგები ორივე მეომარი მხარისათვის უარყოფითი იყო.

ამანში 1988 წლის მარტში გაიმართა ისლამური კონფერენცია. კონფერენციაზე განიხილეს ირან-ერაყის კონფლიქტი, მისი შედეგები.კონფერენციაზე მიღებული რეზოლუციის მიხედვით უშიშროების საბჭოს უნდა მიეღო მნიშვნელოვანი ზომები ირანთან მიმართებაში,რომელმაც უარყო შემდეგ უკვე საბჭოს რეზოლუცია - მშვიდობიანი გზით კონფლიქტის მოგვარება.

ირანის საერთაშორისო იზოლაციით ერაყმა გარკვეული სარგებელი ნახა და ამიტომ 1988 წლის აპრილ-ივნისში თავს დაესხა, ირანის არმიისაგან

გაათავისუფლა თავისი ტერიტორიები და შეიჭრა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე.

ომმა, რომელიც 8 წელი გაგრძელდა არც ერთ მხარეს არ მოუტანა პოლიტიკური და სამხედრო საეგებლობა.მათ ვერ შეძლეს დასახული მიზნის მიღწევა.შეიძლება ითქვას, რომ მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი შეიარაღებული კონფლიქტი სწორედ ირან-ერაყის ომი იყო.

საზღვების საკითხი ირანსა და ერაყს შორის დღემდე პრობლემურ საკითხად რჩება. თეირანში 2008 წლის თებერვალში ირანისა და ერაყის მინისტრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ეხებოდა სასაზღვრო პოსტების.შეთანხმებაში საუბარი იყო სახმელეთო და საზღვაო საზღვრების აღდგენაზე ორ ქვეყანას შორის - სასაზღვრო ხაზზე - შატ ელ-არაბზე

სპარსეთის ყურის მეორე მნიშვნელოვანი ომი დაიწყო 1990 წელს-ერაყის მიერ ქუვეითზე თავდასხმით. ეს კონფლიქტი კი დასრულდა ერაყის დამარცხებით 1991 წელს, მას შემდეგ რაც 34-მა ქვეყანამ კოალიცია შექმნა აშშ-ში. ეს ოპერაციები ცნობილია როგორც "ოპერაცია უდაბნოს ფარს" და "ოპერაცია უდაბნოს ქარიშხალს".

ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე ქუვეითი შედიოდა ბასრას პროვინციის შემადგენლობაში.თავის მხრივ კი ბასრას პროვინცია ოტომანთა იმპერიის ადმინისტრაციული ერთეული იყო. ქუვეითი თვითონ ერაყს არასდროს არ ეკუთვნოდა. რეგიონი დაყვეს ხელახლა მსოფლიო ომის შემდეგ.ბრიტანეთის იმპერიის ბრძანებით ქუვეითი ბასრას პროვინციისაგან გამოყოფილ იქნა. იგი კიდევ რჩებოდა ბრიტანეთის კოლონიად და შემდეგ გახდა ოფიციალურად დამოუკიდებელი მონარქია.

ერაყს არ მოსწონდა ბრიტანეთის ეს გადაწყვეტილება და შესაბამისად იგი ქუვეითის დამოუკიდებლობის ლეგიტიმურობას არ ცნობდა. მაგრამ 1990 წლამდე მას კონკრეტული ღონისძიებისათვის არ მიუმართავს. მთელი ამ დროის განმავლობაში ერაყ-ქუვეითის საზღვარი ზუსტად გარკვეული არ ყოფილა.

ირან-ერაყის ომის შემდეგ ერაყის ფინანსური მდგომარეობა ძალიან სუსტი იყო და შესაბამისად მალევე ეკონემოკური კოლაფსის წინაშე დადგა. მას ჰქონდა, რამოდენიმე არაბული ქვეყნის ვალი. აქ ქვეყნების რიგებში იყო ქუვეითიც და ვალი დაახლოებით 80 მილიარდს აშშ-დოლარს შეადგენდა. ამ ვალის გასტუმრებას ერაყი აპირებდა ნავთობზე ხელოვნურად ფასების გაზრდით. ეს ყოველივე კი იმ დროისთვის შესაძლებელი იყო სპარსეთის ყურეში ნავთობის მოპოვების შემცირებით. თუმცა ამ იდეის საპირისპიროდ ქუვეითმა დაიწყო ნავთობის მოპოვების გაზრდა. ამ ყოველივეს კი მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის ვარდნა მოჰყვა. შესაბამისად, ერაყის ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. რაც შეეხება ქუვეითის მიზნების თავის მხრივ იგი იმედოვნებდა რომ ერაყსიგან მისი მოთხოვნების ასრულების საპასუხოდ იგი სადავო საზაზღვრო ტერიტორიასმიიღებდა.

ამას გარდა ერაყი ქუვეითს ბრალს დებდა კონკრეტულ ქმედებებში: ირან-ერაყის ომის დროს ქუვეითი სარგებელს ნახულობდა არალეგალური გაყიდვებით. და ასევე ის ბრალს სდებდა ქუვეითს ერაყსა და ქუვეითს შორის სადავო სასაზღვრო ზონაში სამხედრო პოსტების აშენებაში, რომელიც რა თქმა უნდა უკანონო იყო. სადამ ჰუსეინი ფიქრობდა, რომ ირანთან ომის მთელი სიმძიმე ერაყმა თავის თავზე აიღო და შესაბამისად არაბული ქვეყნებისათვის იმუშავა ერთგვარი ბუფერული ზონის როლი.

ერაყის ქვეითთა და სატანკო ჯარები 1990 წლის 2 აგვისტოს შეიჭრნენ ქუვეითში. ამ დროს მათ დაიპყრეს ქვეყნის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტები, მათ შორის უმნიშვნელოვანესი ამირას სასახლეც. გარდა ამისა ერაყმა, ქუვეიში ჩამოსული უცხოელი ტურისტები ტყვედ აიყვანა. ერაყი აპირებდა მათ გამოყენებას საზავო მოლაპარაკებებისთვის. სადამ ჰუსეინის ბრძანებით ქუვეითში დაინიშნა მარიონეტული მთავრობა. მაგრამ მალე მან ეს მთავრობა გადააყენა და ქუვეითი ერაყს შეუერთა:უფრო კონკრეტულად კი ქუვეითის გარკვეული ნაწილი ბასრას პროვინციას შეუერთდა, ნაწილი კი მე-19 ერაყულ პროვინციად გადაკეთდა.

გაეროს უშიშროების საბჭომ მალევე მიიღო "რეზოლუცია 660", რომელიც ინვაზიას გმობდა და მოითხოვდა ჯარების ქუვეითიდან გაყვანას. 6 აგვისტოს მიღებული "რეზოლუცია 661" შეეხებოდა უშიშროების საბჭოს მიერ ერაყის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების გატარებას. 29 ნოემბერს "რეზოლუცია 678"-ის მიხედვით უშიშროების საბჭომ ერაყს საბოლოოდ წაუყენა ულტიმატუმი, მათ 1991 წლის 15 იანვრამდე ჯარები უნდა გაეყვანა ქუვეითიდან.

ამ დროს აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა "დაცვითი სახის სამხედრო აქციების" აუცილებლობა და შესაბამისად დაწყება. სწორედ ასე იქნებოდა შესაძლებელი ერაყისათვის ხელის შეშლა, რომ არ შეჭრილიყვნენ საუდის არაბეთის ტერიტორიაზე. ეს ოპერაცა ცნობილია, როგორც "დიზერტ შილდი" .

„რეზოლუცია 678“ მიღებიდან ერთი დღის შემდეგ მოკავშირეებმა დაიწყეს თავდასხმები და შესაბამისად საჰაერო ომი. 17 იანვარს უკვე დაიწყო ოპერაცია "უდაბნოს ქარიშხალი". მოკავშირეთა საჰაერო ძალები დღის განმავლობაში 1000-ზე მეტ საბრძოლო გაფრენას ასრულებდნენ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეს გაერთიანება 10-ჯერ მეტ იარაღს იყენებდა ვიდრე მეოერ მსოფლიო ომის დროს. მათ არც ბომბი დაიშურეს და გამოყენებეს შემდეგი სახის ბომბები: დეიზი-ქატერი სმარტ-ბომბი და ქლასტერ-ბომბი. საჰაერო ომი ძირითადად მიმართული იყო რესპუბლიკური გვარდიისაკენ, რომელიც ქუვეითში იყო, საშპიონაჟე სისტემებისა და სამხედრო საზღვაო ძალებისკენ, ასევე ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებისაკენ, სამხედრო თვითმფრინავებისა და აეროპორტებისაკენ. ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტების გარდა იბომბებოდა პორტები, ელექტროსადგურები, ნავთობგადამამუშავებელი ფაბრიკები, ნავთობსადენები რადიო-ტელევიზიის შენობები, რკინიგზები და ხიდები. სწორედ ამიტომ დაბომბვის შედეგად განადგურდა ერაყის ენერგომომარაგების სისტემა.

დაბომბვის შემდეგ დაზიანდა მრავალი წყალსაცავი, გამწმენდი სადგური და წყლის საქაჩი. ამ ყოველივეს შედეგად კი დაბინძურებული და

გამოსაყენებლად უარგისი წყალი მდ.ტიგროსში ჩავიდა.ამის შემდეგ კი ეპიდემიური დაავადებები გავრცელდა ქვეყანაში. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მშვიდობიან მოსახლეობას მოკავშირეები არ ბომბავდნენ, მაგრამ ზოგიერთ უბედურ შემთხვევას ადგილი მაინც ჰქონდა. სამწუხაროდ ერთ-ერთი დაბომბვის შედეგად დაახლოებით 300 მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა.

ერაყის მხარე საუდის არაბეთში განლაგებული ბაზებს ბომბავდა ძირითადად. იბომბებოდა აგრეთვე ისრაელი, თუმცა ეს იმიტომ რომ ეს უკანასკნელი ომში ჩაბმულიყო და საბოლოოდ ამით არაბული ქვეყნები მოკავშირეთა რიგებს დატოვებდნენ. თუმცა ისრალი მყარად იდგა, არ ჩაერია ომში და არაბული ქვეყნებიც მოკავშირეთა რიგებში დარჩნენ. გარდა იორდანიისა-მან სრული ნეიტრალიტეტი გამოაცხადა.

ერაყი 1991 წლის 22 თებერვალს სსრკ-ის მიერ შემოთავაზებულ ცეცხლის შეწყვეტის პირობას დათანხმდა. კონკრეტული შეთანხმების მიხედვით ერაყს თავისი ჯარები უნდა გაეყვანა ქუვეითიდან.მხოლოდ ამ ნაბიჯის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი მოკავშირეთა მხრიდანაც ცეცხლის შეწყვეტა. აშშ ამ შემოთავაზებას არ დათანხმდა, მაგრამ პირობა დადო რომ ერაყს, რომელიც უკან დაიხევდა თავს არ დაესხმოდა.

ამის შემდეგ, 24 თებერვალს აშშ-ის ჯარებმა სახმელეთო ომი დაიწყეს. არმიის სატანკო შენაერთებმა წინააღმდეგობის გარეშე გადათელეს ერაყელთა ჯარები და მათში ჩასაფრებული ერაყელი მეომრები ცოცხლად ჩამარხეს. რაც შეეხება მეორე ტალღას, შეტევის მეორე ტალღას ამ შემთხვევაში შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითები წარმოადგენდნენ.

ამერიკელებს ქონდათ ეჭვი, რომ ერაყი იყენებდა ქიმიურ იარაღს. მათი ჯარების თავდასხმა განხორციელდა იმაზე სწრაფად ვიდრე ამას გენერლები ელოდნენ. 26 თებერვალს კი ერაყის არმიამ მიხვდა თუ რა რთულ მდგომარეობაში იყო ის და უკანდახევა დაიწყო. ამასთან ერთად ერაყელებმა ცეცხლი წაუკიდეს ქუვეითის ნავთობის ველებს, დააზიანეს ნავთობის ტერმინალები, ამის შედეგად კი დიდი რაოდენობის ნავთობი სპარსეთის ყურეში ჩადინდა და შესაბამისად ეკოლოგიური კატასტროფა გამოიწვია.

პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა სახმელეთო ომის დაწყებიდან 100 საათის შემდეგ გასცა ცეცხლის შეწყვეტის ბრძანება. საინტერესოა ის ფაქტი რომ სასამართლოში სარჩელი შეიტანა ჟურნალისტმა სეიმურ ჰერშმა. სეიმურ ჰერშში ამტკიცებდა, რომ ბარი მაკქეფრის ქვედანაყოფი ცეცხლის შეწყვეტიდან 2 დღის შემდეგ უკანდახეულ ერაყელ მებრძოლების დაესხა თავდა და ის ასევე საუბრობდა მშვიდობიანი მოსახლეობის სისტემატიურ ჟლეტაზე. თუმცა მაკქეფრიმ ბრალდება უარყო და შესაბამისად იგი დამნაშავედ სამხედრო სასამრთლომ არ ცნო.

დაიწყო საზავო მოლაპარაკებები და შეხვედრა ერაყის სამხრეთ ნაწილში, ერთ პატარა სოფელში შედგა. მოლაპარაკებების შედეგად ერაყმა უფლება მიიღო რომ სამხედრო ვერტმფრენები გამოეყენებინა, მხოლოდ თავის საზღვრებს შიგნით. თუმცა ამ ყოველივეს სულ მალე შიიტური მოსახლეობის (სამხრ. ერაყი) და ქურთების (ჩრდ. ერაყი) დაბომბვა მოჰყვა. ამ გაუმართლებელი ქმედებების თავიდან აცილების მიზნით ერაყის ავიაციას აუკრძალეს გარკვეულ ზონებში ფრენა.

ქუვეითში ამ დროიდან აღსდგა ამირას ხელისუფლება და მთავრობამ დაიწყო ერის კოლაბორატორების დევნა.

იმ პერიოდისათვის ერაყი ძირითადად იყენებდა საბჭოთა წარმოების "სკუდი"-ს ტიპის რაკეტებს. მათი გამოყენებით იგი ბომბავდა ისრაელს და საუდის არაბეთს. ძლიან ბევრი ადამინი ფოქტობდა იმას, რომ ერაყს შეეძლო ამ რაკეტებზე მიემაგრებინა მისი მიზნების მისაღწევად ქიმიური ან ბიოლოგიური ბომბები. მაგრამ შემდეგ ეს ეჭვი არ გამართლებულა. ერაყს შეეშინდა ისრაელის მხრიდან საპასუხო ატომური დარყმის. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოკავშირეების მხრიდან "სკუდი"-ს ტიპის რაკეტების "პეტრიოტი"-ს ტიპის რაკეტებით ჰაერში განადგურების მცდელობებს არ მოჰყოლია, ისეთი შედეგი როგორსაც სამხედრო ექსპერტები ვარაუდობდნენ.

რა მიიღეს აკრძალული საჰაერო ზონების შემოღებით აშშ-მა დიდმა ბრიტანეთმა? მათ ამის საშუალებით კონტროლი დაამყარეს ერაყის საჰაერო სივრცეზე. ეს ყოველივე კი მათ სამხედრო ოპერაციების "უდაბნოს შეტევის"

(1996 წლის სექტემბერი) და "უდაბნოს მელას" (1998 წლის დეკემბერი) განხორციელებისათვის გამოიყენეს. ამ ოპერაციების დროს ისინი ბომბავდნენ ერაყის სამხედრო ობიექტებს.

ერაყში გაეროს ინსპექტორთა რამდენიმე ჯგუფი გაიგზავნა, მათ მიზანს კი წარმოადგენდა ბალისტიკური იარაღის შეემოწმება და განადგურება.

შესაბამისად ერაყის ბიოლოგიური პროგრამის შესწავლისა და ბიოლოგიური იარაღის აღმოჩენის მიზნით ერაყში გაგზავნეს დამკვირვებელთა და ექსპერტთა ჯგუფები.

როგორც ზევით ავღნიშნთ ერაყზე დააწესეს ეკონომიკური სანქციები, რამაც ქვეყანაში შიმშილის დონის ზრდა გამოიწვია. საბოლოოდ კი ამას შედეგად მოჰყვა ყოველწლიურად დამატებით 90.000-მდე ადამიანის შიმშილით სიკვდილი.

ერაყიდან შინ დაბრუნებული ამერიკელი მებრძოლი დაავადდა ე.წ. "სპარსეთის ყურის ომის სინდრომით". ამ სინდრომის გამომწვევ მიზეზად კი სახელდება ურანი, ნავთობის წვა და ანთრაქსი. ჩინეთი გაოცდა იმით რომ მოკავშირეები სამხედრო ოპერაციებს დიდი სიჩქარით და ეფექტურობით ანხორციელებდნენ და მიიღო პროგრამა, რომლის მიხედვითაც უნდა შეცვლილიყო და გადახალისებულიყო არმიის შეიარაღება და ტაქტიკა.

ერაყზე დაკისრებული სანქციები და ამერიკელთა არმიის ბაზების განლაგება საუდის-არაბეთში იწვევდა არაბული სამყაროს უკმაყოფილებას,შემდეგ კი ეს გახდა მიზეზი რომ აშშ-ში განხორციელებული 9/11 ის ტერაქტი .

ირანი და ერაყი რომელებსაც 1980-88 წლებში ჰქონდათ ომი, შეეცადნენ დაევიწებინათ წარსული და გამოესწორებინათ ურთიერთობები.

ამ მიზნით ირანს, 2002 წლის დასაწყისში ეწვია ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრი ნაჯი საბრი. მან განაცხადა“ დადგა დრო რომ ჩვენმა სახელმწიფოებმა, რომელთაც აქვთ 1300 კილმეტრიანი საერთო საზღვარი, მშვიდობიან და საქმიან თანამშრომლობაზე იფიქრონ“. ირანის პრეზიდენტმა მოჰამად ხათამიმ კი

ტელევიზიით გამოსვლისას თქვა - როგორც თვითონ უწოდა - უცხო სახელმწიოებს, არ უნდა შეეძლოს ხელყონ ერაყის ტერიტორიული მთლიანობა.[34]

იმ მომენტისათვის ხათამის არ განუმარტავს, რომელ უცხოელ სახელმწიფოებს გულისხმობდა, თუმცა ნათელი იყო, ის შეერთებული შტატების, როგორც ერაყის ძველი მტრის მუქარაზე ლაპარაკობდა. ერაყი, იმ დროისთვის უკვე მიიჩნეოდა დაუმორჩილებელ სახელმწიფოდ, რომელიც ტერორიზმს უჭერს მხარს.[35]

ირანსა და ერაყს შორის ურთიერთობას კიდევ უფრო ართულებდა ტყვეების საკითხი. ირან-ერაყის ომის შემდეგ, ორივე მხარეს დარჩა ტყვე, ასევე საუბარია ძალიან ბევრ უგზო-უკვლოდ დაკარგულ ჯარისკაცზე. ირანმა საბრის ვიზიტის წინ დაახლოებით 697 ერაყელი ჯარისკაცი გაათავისუფლა და ერაყში გაუშვა. ერაყმა განაცხადა რომ მანაც თავის მხრივ, 50 ირანელი ტყვე გაუშვა. თეირანი კი ამტკიცებდა რომ ერაყს დაკავებული ჰყავდა კიდევ 2806 ტყვე, თუმცა ერაყი ამ ყოველივეს უარყოფს. ტყეების გარდა აქ არსებობს კიდევ ერთი პრობლემა. ამ ორ ქვეყანას შორის სადაო და გადაუჭრელ საკითხად რჩება ასევე ორმხრივი ბრალდება, რომ ორივე ქვეყანა ერთმანეთის ოპოზიციურ ძალებს ეხმარება და აძლევენ თავშესაფარს. ირანის პრეზიდენტის აცხადებს, რომ ამ ორ ქვეყანას შორის მშვიდობიანი ურთიერთობა შესაძლოა დამყარდეს მათ შორის 1975 წელს დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულებაზე.[36]

2.3 ირანში შიიტური თეოკრატიული მმართველობის გავლენა ერაყელ შიიტებზე ხელისუფლებისათვის ბრძოლაში

ერაყი არის ქვეყანა, სადაც ეთნოკონფენსიური ფაქტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკაში. მტრობა ერთი მხრივ, არაბ-სუნიტებსა და მეორე მხივ შიიტებსა და ქურთებს შორის მუდმივად რჩებოდა ქვეყნის

[34] Role of Kuwaiti Armed Forces in the Persian Gulf War. 1993 pp. 135

[35] Saudi Arabia – Persian Gulf War, 1991. pp. 279-285

[36] The Role of the United Arab Emirates in the Iran-Iraq War and the Persian Gulf War. 1993 pg. 171

შიდაპოლიტიკური ვითარების ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად.1932 წელს, ერაყის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ხელისუფლება ქვეყანაში აღმოჩნდა არაბი სუნიტების ხელში და აქ გაგრძელდა 2003 წმადე, აშშ-ის მიერ ერაყში საომარი მოქმედებების დაწყებამდე.თავის დროზე, ერაყის სუნიტმა მეფე ფასილ I-მა განაცხადა: "შიიტ ულებეს არანაირი კავშირი არა აქვთ ხელისუფლებასთან და ამჟამად ჩამოშორებულნი არიან მას". ერაყში შიიტები ცხოვრობდნენ ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, რომელიც ეკონომიკური მაჩვენებლით და ინფრასტრუქტურით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ცენტრალურ რეგიონს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყო სოფლის მოსახლეობა - ე.წ „ჭაობის არაბები". იყო წინააღმდეგობები სუნიტ და შიიტ სასულიერო მეთაურებსა და მაზჰაბებს შორის არათანაბარი სოციალური სტატუსის გამო. შიიტები ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილი ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში. ხელისუფლებასა და შიიტებს შორის კონფლიქტმა განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო ირანის ისლამური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. აიათოლა ხომეინიმ, რომელიც ბაასის რეჟიმმა ირანის შაჰის მოთხოვნით გააძევა ერაყიდა 1987 წელს, დაიწყო ხელისუფლების ღია კრიტიკა ირანიდან. 1979 წლის ივლისსში აჯანყებები მოხდა ქერბალასა და ნაჯაფში, რადგანაც ერაყის ხელისუფლებბამ არ დართო ნება შიიტების სასულიერო ლიდერს - აიათოლა მუჰამად ბაკირ ას-სადრს (1935-1980) ეხელმძღვანელა დელეგაციისათვის ირანში და მიელოცა აიათოლა ხომეინისათვის. ამ ვითარებაში ასსადრმა მისალოცი დეპეშა გაუგზავნა აიათოლა ხომეინის, რის გამოც ის შინაპაიმრობაში აიყვანეს ნაჯაფში, ხოლო შემდეგ ბაღდათში გადაიყვანეს. ამას მოჰყვა საპროტესტო დემონსტრაციები ქვეყნის სამხრეთში და ქალაქ ბაღდათში. ხელისუფლებამ არმია გამოიყვანა დემონსტრაციების წინააღმდეგ, მრავალი დახოცეს და თასობით შიიტი დააპატიმრეს. ამან კიდევ უფრო დაძაბა ურთიერთობა ხელისუფლებასა და შიიტებს შორის. 1980 წლის 30 მარტს რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭოს ბრძანებით პარტიის ისლამური ად-და ვა საქმიანობა აიკრძადა და მისი წევრობა სიკვდილით ისჯებოდა. პარტიის მებრძოლებმა, თავიანთი

თანაპარტიელების მიმართ გატარებული დამსჯელი ღონისძიებების გამო 1980 წლის აპრილს განახორციელეს ბათდათში წარუმატებელი თავდასხმა ერაყის პრემიერ-მინისტრზე-ტარიკ აზიიზე. ამის საპასუხოდ პრეზიდენტმა სადმა ჰუსაინმა ბრძანა ერაყში მცხოვრები ათასობით ირანელის და ასევე ირანული წარმოშობის ერაყელი შიიტების დეპორტაცია სამხრეთ ერაყიდან ირანში. ირანის ისლამური რესპუბლიკის მოთხოვნა შეეცვალა ერაყელი შიიტების სოციალური მდგომარეობა და პოლიტიკური სტატუსი, გახდა ერაყის მიერ ირანზე თავდასხმისა ერთ-ერთი მიზეზი. 1980-1088 წლების ირან -ერაყის ომის დაწყებას ხელი შეუწყო აგრეთვე ამ ორი ქვეყნის პოლიტიკურმა ამბიციებმა, რომლებიც ეფუძვნებოდა ურთიერთგამომრიცხავ იდეოლოგიურ0პოლიტიკურ და სამხედრო დოქტრინებს. ომის წლებში შიიტთა მრავალი რელიგიური ლიდერი გადავიდა ირანში. 1982 წლის ნოემბერში ირანში ემიგრირებული შიიტების ჯგუფმა დაარსა „ისლამური რევოლუციის უმაღლესი საბჭო ერაყში“აიათოლა მუჰამად ბაკირ ალ-ჰაქიმის ხელმძღვანელობიღ.თუმცა უნდა აღინიშნოს, ის ფაქტიც, რომ ირან-ერაყის ომის დროს შიიტები ლოიალური იყვნენ ბაღდათის რეჟიმისადმი.

1990 წლის 2 აგვისტოს ბაღდათმა განახორციელა ქუვეითის ანექსია, როგორც ერაყის ისტორიულად კუთვნილი მე-19 პროვინციისა“. საერთაშორისო კოალიციამ აშშ-ის ხელმძღვანელობიღ წარმატებით ჩაატარა ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია კოდური სახელწოდებით „უდაბნოს ქარიშხალი“.

1991 წლის 1 მარტს შიიტებმა აჯანყება დაიწყეს ქ. ბასრში და დაიმორჩილეს დიდი ტერიტორია ჰილამდე. ეს იყო ბრძოლა სადამ ჰუსაუნის რეჟიმის წინააღმდეგ. არის მოსაზრება, რომ აჯანყებულების საბაბი გახდა ამერიკის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მოწოდება ერაყელი ხალხისადმი დაემხოთ ჰუსაინის რეჟიმი. ამერიკის ადმინისტრაციას იმედი ჰქონდა, რომ ქვეყნის სათავეში მონიდოდნენ „დემოკრატიულო ძალები“ მაგრამ რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა. სამხრეთ ერაყში შეიქმნა ისლამური რესპუბლიკის“ დაარსების საფრთხე. ვაშინგტონი არ ჩაერია და ერაყის არმიამ დაბომბა ქვეყნის

სამხრეთ რაიონები. აჯანყებები რამდენიმე დღეში ჩაახშეს. ყველა ეჭვმიტანილის ოჯახთან ერთად ხოცავდნენ და ანადგურებდნენ შიიტთა ყველაზე აქტიურ ლიდერებს. ამავე პერიოდში ერაყში აჯანყდნენ ქურთები, 1991 წლის პირველ ნახევარში მათი ძალაუფლების ქვეშ გადავიდა „ქურთთა ავტონომიური რაიონის“ მთიანი და სასოფლო-სამეურნეო რეგიონები და მთელი რიგი ქალაქები. მაგრამ 1991 წლის ოქტომბერში ბაღდათმა გამოაცხადა ქურტისათანის სამხედრო და ეკონომიკური ბლოკადა. ხელისუფლება სასტიკად გაუსწორდა არა ამრტო აჯანყებულებს არამედ მშვიდობიან მოსახლეობასაც. ამას მოყვა აშშ-ს არმიის შესვლა ჩრდილოეთ ერაყში და იქ „უსაფრთხოების ზონის“ შექმნა. 1994 წელს ერაყმა ცნო ქუვეითის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. 1995-1998 წლებში კი ამერიკამ და დიდმა ბრიტანეთმა სარაკეტო თავდასხმები განახროციელეს ერაყზე გაეროს რეზოლუციის დარღვევის გამო.

1992 წლიდან ხელისუფლებამ გააგრძელა ბრძოლა შიიტების წინააღმდეგ: ქვეყნის სამხრეთ ნაწილში განხორციელდა სამელიორაციო სამუშაოების მთელი პროგრამა იმ რაიონებში, სადაც იყო განლაგებული აჯანყებული რაზმები. ხელისუფლებამ ტიგროსისა და ევფრატის წყლების მიმართულების შეცვლით ამოაშრო ჭაობიანი ტერიტორია და ამით აიძულა მოსახლეობა გადასულიყვნენ ამ ადგილებიდან. 1996 წელს კოეწყო შიიტების კიდევ ერთი დამსჯელი ექსპედიცია, რომლის დროსაც ხელისუფლებამ გამოიყენა არტილერია და ასაფეთქებელი საუალებები. 1999 წლის თებერვალში კვკავ იფეთქა შიიტების აჯანყებამ ერაყის სამხრეთში, რაც გამოწვეული იყო 1978 წლის აგვისტოში შიიტთა სულიერი ლიდერის - მუჰამად სადრისა და მისი ორი ვაჟის მკვლელობით. შიიტი პარტიანების საბრძოლო აქტივობა თვალსაჩინო იყო 1999 წლის აპრილისა და აგვისტოში. ხელისუფლება რეაგირებდა ყველა ამ გამოსვლაზე ადალი დამსჯელი ღონისძიებებით. შიიტების წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციის სათავეში ჩაუდგა ალი ჰასან ალ-მაჯიდი, რომელიც იმ პერიოდში დაინიშნა სამხრეთის სამხედრო-ადმინისტრაციულო ოლქის მეთაურად.

2003 წელს აშშ-ის მიერ ერაყის ოკუპაციის შემდეგ, დაიწყო სუნიტურ-შიიტური კონფრონტაციის ახალი ტალღა. ამ სამხედრო ოპერაცის შემდეგ ერაყელებმა, რომლებსაც პრაქტიკულად წინააღმდეგობა არ გაუწევიათ მოკავშირე რეგულარული არმისათვის დაიწყეს მათ წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი პარტიზანული მოძრაობა, სადამის მომხრეები ამერიკელებს შეხვდნენ როგორც აგრესორებს.მით უმეტეს, რომ ქვეყანაში ვერ აღმოაჩინეს აკრძალული იარაღის საიდუმლო საწყობი. სახელისუფლებო ვაკუუმით ისარგებეს სხვადასხვა კონფენსიების რელიგიურმა ლიდერებმა.

2003 წლის 29 აგვისტოს ნაჯაფში, ტერაქტის დროს მოკლეს ერაყში ისლამური რევოლუციის უმაღლესი საბჭოს ლიდერი აიათოლა მუჰამად ბაკირ ალ-ჰაქიმი და მასთან ერტად დაიღუპა 125 ადამიანი. ამან სეიოზული ზეგავლენა მოახდინა ერაყში შინაპოლიტიკური ვითარების დარეგულირების პროცესზე. 20 წელზე მეტი ხანი ხელმძღვანელობდა ალ-ჰაქიმი სადამის წინააღმდეგ დაჯგუფებას, რომელიც დაარსდა 1982 წელს, ირანში ყოფნის დროს.

ერაყში ექსტრემალურ შიიტუე დაჯგუფებად ითვლება „მაჰდის არმია“, რომელიც ითვლის 10.000 მებრძოლს და მას მეთაურობს მუკთადა ას-სადრი. მაჰდისტები, მოითხოვენ ქვეყნიდან კოალიციის არმიის გაყვანას და ტერორისტულ აქტებს აწყობენ სუნიტების წინააღმდეგ. მუკთადა ას-სადრმა აიძულა კოალიციის ძალები ხელი მოეწრათ შეთანხმებაზე. ამის შემდეგ „მაჰდის არმიის“ კონტროლის ქვეშ გადავიდა მთელი რიგი რაიონები, მათ შორის ნაჯიფი და დედაქალაქის შიიტური რაიონები. მათ სურდათ ერაყი გადააქციონ თეოკრატიულ სახელმწიფოდ ირანული მოდელით. “მააჰდის არმია“ ეყრდნობა შიიტ ახალგაზრდობას.

2006 წლის 15 ოქტომბერს მიიღეს ერაყის მუდმივი კონსტიტუცია მას ხმა არ მისცეს მხოლოდ არაბი სუნიტების ნაწილმა. კონსტიტუციით ერაყი გამოცხადდა დამოუკიდებელ, სუვერენულ სახემწიფოდ,მმართველობის საპარლამენტო რესპუბლიკის ფორმით. ისლამი გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად და კანონმდებლობის ძირითად წყაროდ. კონსტიტუციაში ერაყი

დახასიათებულია მრავალეთნიკურ და მრავალეროვნულ სახელმწიფოდ, რომელიც არის ისლამური სამყაროს ნაწილი, ხოლო მისი ხალხი-არაბი ერის ნაწილი. ოფიციალური ენა არაბული და ქურთული. მთავარ აკრძალულ პარტიად გამოცხადდა ბაასის პარტია. საგანეგობდაა მითიტბული რომ ამ პარტიის ლიდერებს არ შეუძლიათ ადგილი დაიკავონ საკანონმდებლო აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებაში.

ერაყში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა 2005 წლის 30 იანვარს.შიიტებმა უპირატესობა მოიპოვეს პარლამენტში. 2005 წლის 6 აპრილიდამ ერაყის მეექვსე პრეზიდენტი გახდა ქურთი ჯალალ ტალაბანი, სუნიტი მუსლიმი, ორი ვიცე-პრეზიდენტიდან ერთ-ერთი შიიტია ხოლო მეორე სუნიტი.

შიიტები და ქურთები მხარს უჭერდნენ ქვეყნის ფერედალურ მოწყობას, რადგან ფედერალიზმის პრინციპი მიაჩნიათ, იმის გარანტიად, როა აღარ მოხდება წარსულის რეციდივების განმეორება..ფედერიზაციის მოწინააღმდეგედ გამოდიან სუნიტები, რომელთაც არ სურთ საბოლოოდ დაკარგონ თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიკური პოზიციები და დარიკალი შიიტი პოლიტიკოსის მუკთადა ას-სადრის მომხრეები, რომლებიც ცხვრობდა იმ რეგიონში სადაც არ არის ნავთობსაბადოები. სუნიტი წინააღდეგი არიან აგრეთვე ქურთთა ავტონომიის ტერიტორიის გაფართოების და მისი დამოუკიდებლობის გაზლიერების.

დასავლეთის ზოგიერთი პოლიტიკური მიმოხილველის აზრით, ერაყის დეზინტეგრაციის შემთხვევაში ქურთულ, სუნიტურ და შიიტურ ნაწინლად, ირანი შეიშლება გახდეს დომინანტი ძალა რეგიონში. თეირანი პოიცია კი ასეთია: „ირანი არ დაუშვებ სმოვლენების ისეთ განვითარებას“, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს საზღვრების ცვლილება და დაიცავს რეგიონულ მთლიანობას.

პარლამენტში სიიტურ პარტიების ბლოკს ხელმძღვანელობდა აბდ ალ-აზიზ ალ-ჰაქიმი, ზომიერი შიიტების აზრით ამერიკელებს საშუალება უნდა ქონოდათ ჩაეხშოთ შეიარაღებული წინააღმდეგობა.

2006 წლის 22 თებერვალს ქ. სამარაში შიიტთა სიწმინდის - „ოქროს მეჩეთის“ აფეთქებამ განსაკუთრებით დაძაბა ურთიერთობა სუნიტებსა და შიიტებს შორის და დაიწყო მსაობირივ არეულობები, თავდასხმები სუნიტურ და შიიტურ მეჩეთებზე. ორივე თემის რელიგიური და პოლიტიკური მოღვაწეებისა და რიგითი მოქალაეების მკვლელობები. შეიარაღებული შეტაკებები არ-სუნიტებსა და შიიტებს შორის. ყველზე უფრო მასობრივ საპროტესტო აქციებს ადგილი ქონდა ბაღდათში, სამარაში, ნაჯაფში, ქერბალასა და ბასრაში. 2006 წლის ივლისში კონფენსიათაშორისო ძალადობამ ერაყში მიიღო სახელწოდება „მეჩეთების ომი“, რომლის დროსაც შიიტურმა ექსტრემისტულმა დაჯგუფებამ „მაჰდის არმიამ“ გააადგურა 90 სუნიტური მეჩეთი.ამის სემდეგ შიიტურმა დაჯგუფებებმა უპირატეოსბა მოიპოვეს სუნიტურ შეიარაღებულ დაჯგუფებებზე. შიიტებსაც და სინიტებსაც ჰყავდათ თავიანთი “სიკვდილის ესკადრონები“, რომლებიც ანხორციელებდნე ადამიანთა მკვლელობებს რელიგიური ნიშნით. 2007 წლის აპრილში ისრალის მსგავსად, ბაღდათსი სუნიტური რაიონის ალ-აზამიას გარშემო ააგეს 5 კმ-იანი და 4 მ სიმაღლის ბეტონი.

2006 წლის 20 ოქტომბერს მექაში ისლამური კონფრონტაციის ორგანიზაციის ეგიდით ერაყის სუნიტმა და შიიტმა რელიგიურმა ლიდერებმა ხელი მოაწერეს მექის დოკუმენტს, რომელიც ითვალისწინებდა კონფესიათოშორისო სისხლიანი კონფლიქტის შექყვეტას ქვეყანაში. ამ დოკუმენტის შედგენაის ინიციტივა ეკუთვნის საუდის არაბეთს, რომელიც დიდი ხანი თამაშობდა შუამავლის როლს. ეს დოკუმენტი შეიცავს 10 პუნქტს და ხაზს უსვამს სუნიტებისა და შიიტების ერთიანობას. ამ ორი მიმართულების გამაერთიანებელი ნიშნები უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე განმასხვავებელი და მათი მიზეზები. დოკუმენტში საუაბრია, რომ აუცილებელია უარის თქმა „რელიგიური, ეთნიკური, ენობრივი და რეგიონალური წინააღმდეგობების გამომწვევ ქმედებებზე. დოკუმენტი მოითხოვს შეწყდეს ძალადობა, მოხდეს ყველა გატაცებული მუსლიმისა თუ არამუსლიმის გათავისუფლება და დაბრუნება მშობლიურ ადგილებში.

სუნიტემა და შიიტმა ღვთისმეტყველება ხაზი გაუსვეს, რომ ერაყის მთავრობის ვალია უზრუნველყოს ყველა ერაყელის უსაფრთხოება, მათი რელიგიური და ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად.

2008 წლის 24 მარტს ერაყის სამთავრობო ძალებმა დაიწყეს სამხედრო ოპერაცია ბასრაში შიიტი მებრძოლების ჭინააღმდეგ რაც გადაიზარდა ფართომასშტაბიან დაპირისპირებაში და მოიცვა ერაყის სამხრეტ ნაწილი და ბაღდათის შიიტური რაიონები. მას ბარსაში პირადად ხელმძღვანელობდა ქვეყნის მრემიერ-მისნისტრი ნური ალ-მალიქი და მონაწილეობდა 15 ათასი სამხედრო მოსამსახურე. 30 მარტს ას-სადრმა მოუწოდა თამის მომხრეებს შეეწყვიტათ შეიარაღემული მოქმედებები, ხელისუფლებისგან კი მოეთხოვა საყოველთაო ამნისტია, "მაჰდის არმიის დაპატიმრებული მომხრეების გათავისუფლება და „უკანონო მოქმედებების" შეწყვეტა მისი მოძრაობის წინააღმდეგ.შერიგება ხრლისუფლებასა და შიიტურ მოძრაობას შორის მოხდა 2008 წლის აპრილში. თუმცა ეს შერიგება დროებითი აღმოჩნდა და ხელისუფლებამ გააგრძელა ას-სადრის მომხრეთა დაპატიმრება.

2008 წლის ოქტომბერში დასრულდა მუშაობა ხელშეკრულების პროექტზე ერაყსა და ამერიკას შორის, სადაც დეტალურად არის გაწერილი ამერიკის არმიის შესაძლო გაყვანის ვადები ერაყიდან. 2009 წლის 31 იანვარს ერაყის 14 პროვინციაში ჩატარდა არჩენები პროვინციათა საბჭოებში.ბაღდათში და ბასრაში ყველაზე მეტი ხმა მიითო კოალიციამ „სახელმწიფო და კანონი",რომელსაც ხელმძღვანელობდა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ნური ალ-მაქილი.ბარსაში მეორე ადგილი დაიკავა შიიტთა პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ერაყის უმაღლესი ისლამური საბჭო". ას-სადრის მომხრეებმა კი მეორე ადგილი დაიკავეს. 2010 წლის 7 მარტს ჩატარადა ერაყში საპარლამენტო არჩევნები. ყველაზე მეტი ხმები მიიღო ბლოკმა ალ-ირაკაიია. 80 ადგილი კი მოიპოვა ქვეყნის პრემიერ-მინისტრის კოალიციამ.

ერაყის მთავრობის მეთაური ნური ალ-მალიქი თვლის, რომ „გართო პოლიტიკური უსაფრთხოებბა" შიიტებსა და ქურთებს შორის უნდა გადაწყდეს დიალოგით.

2010 წლის 11 ნოემბერს პარლამენტა წარმომადგენლობით საბჭოს სპიკერად აირჩია ბლოკ არ-ირაკითას წარმოადგენელი, სუნიტი ან-ნჯაფი. მისი მოადგილეები გახდნენ ქურთული და შიიტური ბლოკის წარმომადგენლები, იმავე დღეს დეპუტატებმა ხმების 2/3-ით ქურთი ჯალალ ტალაბანი აირჩიეს მეორე ვადით ერაყის პრეზიდენტად, რომელმაც ნური ალ-მალიქს დაავალა ახალი მთავრობის ჩამოყალიბება.

მრავალი ექსპერტი თვლის, რომ შეთანხმება ხელისუფლების უფლებამოსილებით დანაწილებაზე გამოიწვევს ერაყის ლიბერალიზაციას, ძირითადი სახელმწიფოს პოსტები კი გადააწილდება განსაზღვრული რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების წამომადგენლებზე. ეს კი საბოლოოდ გამოიწვევს ერაყის საზოგადოების დაყოფას ეთნიკური და კონფენსიური ნიშნით.არსებობს მოსაზრება ერაყის პოლიტიკური ელიტი სამ ძირითად ჯგუფად დაყოფაზე, რომლებიც ორიენტირებული იქნება შესაბამისად აშშ-ზე, ირნაზე და საუდის არაბეთზე.

კონფენსიური კონფლიქტი სუნიტებსა და შიიტებს შორის კვლავ რჩება ერაყში დესტაბილიზაციის ძირითად წყაროდ.ერაყში სუნიტურ-შიიტური კონფრონტაცია შეიძლება დავყოთ ორ ძირითად ეტაპად: 1. 1932-2003წწ.- ხასიათდება სუნიტების დომინანტური როლით ქვეყნის პოლიტიკაში, რასაც მოჰყვა შიიტების დისრიმინაცია და მრავალი ათასი შიიტის პოლიტიკური ემიგრაცია ირანში სადამ ჰუსაინის მმართველობის პრწეიოდში და 2. 2003-2010წწ. - პოსტსადამური ერაყის თანამედროვე პოლიტიკურ პრაქტიკაში ნათლად გამოჩნდა ეთნიკური და კონფენსიური დაპირისპირებები.ქეყანაში ჩამოყალიბებული ახალი პოლიტიკური სისიტემების საფუძველზე, რომელიც დაფუძვნებდა დასავლური დემოკრატიის პრინციპებს. შიიტურ-სუნიტური დაპირისპირების დარეგულირებაზე დიდად არის დამოკიდებული ერაყის სტაბილურობა და უსაფრთხოება, რასაც ხელს უწყობს კომპრომისი ქვეყნის პოლიტიკურ ძალებს შორის ხელისუფლების დანაწილების პრინციპების დამკვიდრება.

III თავი

კონფენსიური კონფლიქტების გაძლიერება ერაყში და მისი გავლენა რეგიონულ უსაფრთხოებაზე

3.1 ერაყ-აშშ-ს ომის შედეგად სუნიტების პოზიციების შესუსტება ერაყის ხელისუფლებაში

11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ერაყი კიდევ ერთ მთავარ სამიზნედ მიიჩნია. აშშ–მ წამოიწყო აგრესიული პოლიტიკა ერაყთან მიმართებაში და აშშ აგრესიულ პოლიტიკაზე გადავიდა ერაყის მიმართ, რის შემდეგაც აშშ–მ მალევე დაიწყო ერაყის დაპყრობის გამართლება სამართლებრივი გზებით, რამაც გასაკვირი არ არის, რომ გავლენა იქონია ძალის გამოყენების ზოგადად აკრძალვის აუცილებლობაზე.

ამგვარი სიტუაციიდან გამომდინარე, უკვე ნათელი გახდა, რომ ომი გარდაუვალი იქნებოდა. მწვავე შეიარაღებული კონფლიქტის ახალი კერის შექმნა ერაყში არ ყოფილა მოულოდნელი, აქვე გასათვალისწინებელია აშშ-ის გადაწყვეტილება, გაეჩაღებინა მასშტაბური ომი ტერორიზმის წინააღმდეგ. შეგვიძლია ერაყის ომი მივიჩნიოთ გაგრძელებად, ავღანეთში დაწყებული ომისა, შესაბამისად, ანტისაომარი მოქმედების კამპანია, მთელი მსოფლიოს გარშემო, დაიწყო 2003 წელს.

მაშინ როდესაც, იმავე წლის, 17 მარტს ბუშმა საჯარო გამოსვლისას პირდაპირ განაცხადა, რომ: „სადამ ჰუსეინმა თავის ვაჟებთან ერთად აუცილებლად უნდა დაოვონ და ჩამოშორდნენ ერაყს, არაუგვიანეს, 48 საათისა, ხოლო თუ ისინი უარს იტყვიან ამ წინადადებაზე, შედეგს მივიღებთ იმას, რომ გზას გავუკვალავთ სამხედრო შეიარაღების დაწყებას“. ამავე წლის, 19 მარტს, აშშ–

ს სამხედრო შენაერთი შეიჭრა ერაყში და მალევე, რამდენიმე დღეში, სრულიად დაიკავეს ერაყი.

ამ მოვლენების ფონზე, უნდა დაწყებულიყო სრულიად ახალი ეპოქა ერაყის ისტორიაშ, რომ შექმნილიყო დემოკრატიული არაბული სახელმწიფო, სხვადასხვა, სუნიტი, შიიტი თუ ქურთი მოსახლეობის მონაწილეობით. ბრალდება, რომელიც ომის წამოსაწყებად მნიშვნელოვანი იყო და ეს ბრალდება უკავშირდებოდა ერაყს, მასობრივი განადგურების იარაღის არსებობაზე, არ მიიღეს მაშინაც კი, როდესაც ომი თითქმის უკვე დასრულებული იყო. რამდენიმეკვირიანი ბრძოლისა და ბაღდადის დაკავების შემდეგ, აშშ-ს სამხედრო კამპანიის წარმატება საპირისპირო მხარეს წარიმართა. ამერიკის სამხედრო შენაერთი სრულიად მოუმზადებელი შეხვდა ამგვარ მოვლენებს, ომის დასრულების შემდეგაც.

ერაყი ქაოსმა მოიცვა, ამის მიზეზი იყო ის, რომ ამერიკის მხრიდან საჭირო რაოდენობის სამხედროთა მობილიზება ვერ განხორციელდა. ერაყის შეიარაღებული ძალები დაითხოვეს და ისინი ჩვეულებრივ მოქალაქეებში გაერივნენ, რამაც გამოიწვია დამატებითი საშიშროების არსებობის შექმნა. სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის მომსწრენი შეიქნა ერაყელი ხალხი, მაგრამ ამერიკამ ვერ შეძლო ჩამოეყალიბებინა რაიმე სახის დახმარება, თუნდაც სამთავრობო სწორედ ამ ვითარებაში, დაიწყო ფუნდამენტური ისლამისტი ლიდერების შემოსვლა ერაყში, რამაც შექმნა წინაპირობა არაერთი ტერორისტული მიმდინარეობის ჩამოყალიბებისა.

ერაყში სიტუაცია სულ უფრო და უფრო დამძიმდა, რაც გამოიხატა არაერთი სამოქალაქო შენობის, თუ მაღაზიის არ მუშაობდა საავადმყოფოები. აუცილებელი საჭირობა შეიქნა დროებითი მთავრობის ჩამოყალიბებისა, რაზეც აქტუირი ქმედებები გარნერმა დაიწყო.

ერაყში მორიგი კრიზისული ფაზა დაიწყო 2002 წლის 8 ნოემბერს, როდესაც გაეროს უშიშროების საბჭომ დაადგინა 1441 რეზოლუცია, რომელზე შეთანხმებაც მიმდინარეობდა ორი კვირის განმავლობაში. ერაყის მთავრობას,

უშიშროების საბჭოს მოთხოვნით უნდა ეთანამშრომლა „გაერო-ს დაკვირვების, კონტროლისა და ინსპექციის კომისიასა“ და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან. მათ უნდა შეემოწმებინათ ყველა ის ობიექტი, სადაც არსებობდა საეჭვო ვითარება, რომ ინახებოდა ან იქმნებოდა მასობრივი განადგურების იარაღი. როგორც გაერო–ს გენერალური მდივანი აცხადებდა, ამ რეზოლუციაში მკვეთრად იყო აღნიშნული, რომ არსებული მოთხოვნები აუცილებლად უნდა შესრულებულიყო. არსებული და აწ უკვე მიღებული რეზოლუციის თანახმად, ერაყი ვალდებული იყო საერთაშორისო ინსპექტირების დაუბრკოლებელი დაშვება განეხორციელებინა ყველა არსებულ ობიექტზე, ხოლო თუ ერაყი არ შეასრულებდა ამ ვალდებულებას, ძალის გამოყენებაც იქნებოდა დასაშვები, სწორედ გარეროს უშიშროების საბჭოს მხრიდან. რაც შეეხება ერაყს, მას აუცილებლად უნდა მოეწონებინა რეზოლუციის ტექსტი გამოქვეყნებიდან ერთი კვირის განმავლობაში, რადგანაც საერთაშორისო მუშაკებს მუშაობა უნდა დაეწყოთ 2003 წლის 23 დეკემბრამდე.

2008 წელი, თუ გადავხედავთ საწყის პერიოდს, უნდა აღვნიშნოთ, რომ შედარებით სტაბილური სიტუაცია იყო ერაყში. სწორედ ამ დროიდან მოყოლებული დაიწყო, ალ მალაკმა საუბარი ამერიკელების გასვლაზე. მას სჯეროდა, რომ მაშინ, როდესაც სამოქალაქო ომი დასრულდებოდა, შეეძლო მთელი ერაყის მართვის სადავეები ხელში აეღო და კონტროლი მართლაც 2008 წლის ბოლოს, 14 დეკემბერს ჯორჯ ბუში საბოლოოდ ჩავიდა ბაღდადში და ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომელიც უკავშირდებოდა ამერიკული სამხედრო შენაერთების გასვლას და ეს გასვლა, შეთანხმებიდან, არაუგვიანეს, 2009 წლის, კონკრეტულად 30 ივნისისთვის უნდა დამთავრებულიყო. ხოლო მათი სრული და საბოლოო გაყვანა ერაყიდან უნდა მომხდარიყო 2011 წლის ბოლომდე.

შეთანხმება ერაყსა და აშშ–ს შორის ოფიციალურად ძალაში შევიდა 2008 წლის დასასრულს, რომელშიც დაწვრილებით იყო განხილული ამერიკის სამხედრო ძალების გაყვანის შესაძლო ვადები ერაყიდან. ამ შეთანხმებით, ამერიკის სამხედრო შენაერთები უნდა გასულიყვნენ 2011 წლის ბოლომდე. 2010 წლის 1 აპრილის მდგომარეობით კი, ერაყის ტერიტორიაზე იმყოფებოდა

დაახლოებით 96 ათასი ამერიკელი სამხედრო. აშშ–ს აწ უკვე ყოფილი სამხედრო ბაზები, რომელიც იმყოფებოდა ერაყის ტერიტორიაზე გადაეცა ადგილობრივ ძალოვან სტრუქტურებს.

2011 წლის ბოლოს, საბოლოოდ, აშშ–ის თითქმის 9-წლიანი თავგადასავალი, რომელიც ხორციელდებოდა ერაყში დასრულდა და დეკემბერში უკანასკნელმა ამერიკელმა ჯარისკაცმაც ქვეყანა დატოვა.

ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის არქივში, რომელიც ცნობილია ეროვნული უსაფრთხოების არქივის სახელით, შემონახულია დოკუმენტი, დათარიღებული 2003 წლის, 20 აპრილით, აღნიშნულია, რომ ომის შემდგომი პერიოდისთვის დამახასიათებელი, სამი მოდელი იყო წარმოდგენილი:

1. გადაჯგუფება, ნახევრად პრივატიზება და კონტროლის მოპოვება

2. გადაჯგუფება, პარტნიორების გაჩენა და კონტროლის მოპოვება

3. დემონოპოლიზაცია.

ამერიკის მხრიდან, ერაყიდან მეტი ნავთობის „ამოსაქაჩად“, მას დასაწყისში, აუცილებლად უნდა განეხორციელებინა ის, რომ ქვეყანა ყოფილიყო პირველ რიგში, სტაბილური. რამსფელდის გეგმა მხედველობაში არ იღებდა, უზრუნველყო საკმარისი რაოდენობის სამხედრო ძალები, რათა მომხდარიყო არაერთი უკვე არსებული ნავთობსადენის კონტროლი და დაცვა. ეს მოვლენი თავის მხრივ, ხელს უშლიდა ნავთობის მოპოვების გაზრდის შესაძლებლობას, მაშინაც კი, როდესაც მეამბოხეები თავს ესხმოდნენ ნავთობსადენებს, რამსფელდი უარყოფდა სამხედრო შენაერთების გაგზავნას.

2005 წელის დეკემბერში ჩატარდა მორიგი სხდომა, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ორგანიზებით, რამაც რამსფელდი ძალიან გააბრაზა კონდოლიზა რაისის შეხედულებამ, რომ აშშ–ს უნდა უზრუნველყო არსებული ნავთობსადენების დაცვა და ეს მათი მხრიდან სერიოზული სტრატეგია იქნებოდა. ჩეინი, ბუში და რაისი ნავთობს უფრო მეტ ყურადღებას უთმობდნენ და სწორედ ამიტომ ამერიკის პირველობის გეგმაში ნავთობი ერთ–ერთი

უმნიშვნელოვანესი ადგილის პატრონი იყო, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, იგი ერთადერთი არ იყო არსებული მრავალხმრივი გეგმიდან გამომდინარე. არსებობს ვარაუდი, რომ ამერიკა შეიჭრა ერაყში, იმ მიზნით, რომ მას შესძლებოდა დაპატრონება იმ არსებულ, უხვ ნავთობზე, რომელიც მოიპოვებოდა არაბეთში და ეს თავის მხრივ, გზას გაუკვალავდა მსოფლიო ეკონომიკაზე.

ამ შეხედულების შემდგომ, ამერიკა უკვე ხედავდა მზარდ მოთხოვნას იქ არსებულ ნავთობზე, სწორედ იმ დროს, როდესაც არსებული წარმოება ვერ იყო თანხვედრაში მოთხოვნასა და ფასების ცვალებადობაზე. დეფიციტი სადამს უფრო „აძლიერებდა“. მას უკვე დესტაბილიზაცია შეჰქონდა ნავთობის სამყაროში. 90-იან წლების ბოლოს სადამმა აიძულა ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია (Organization of the Petroleum Exporting Countries – ე.წ. „ოპეკი“), მოეხდინა შემცირება პროდუქციის შესყიდვაზე. სადამმა მალევე დაიწყო ევროში გაყიდვა არსებული ნავთობისა, ნაცვლად იმისა, რომ მას იგი დოლარში გაეყიდა. მისი ეს ნაბიჯი კი იქნებოდა გაეროს სანქციების დარღვევა. ამ ყოველივეს მერე, ჰუსეინმა ხელშეკრულებები დადო რუსეთთან, ჩინეთთან და საფრანგეთთან. ამავე დროს, საუდის არაბეთი უკმაყოფილებას გამოთქვამდა აშშ-ს ბაზების გამო და აიძულებდა ამერიკელებს ახალი ადგილები მოენახათ დისლოცირებისათვის. სწორედ ამ ყველაფრის ფონზე, რომ აღდგენილიყო რეგიონში არსებული ბალანსი და სტაბილურობა, აუცილებელი იყო რომ გადაწყვეტილიყო ომი ერათან. სადამის მხრიდან არსებული საშიშროება საბოლოოდ უნდა გამქრალიყო. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია აუცილებლად გააგრძელებდა საკმარისი რესურსის მიწოდება, რათა მოთხოვნები სრულიად დაკმაყოფილებულიყო. დამატებით კი ამერიკას ნავთობის წარმოებაზე კონტროლი ექნებოდა. ეს მას საშუალებას მისცემდა კონტრაქტორები მუდმივად დაკავებული ჰყოლოდა რათა მათ ნავთობი დაეცვათ. ეს კი მას საშუალებას მისცმებდა, ყოფილიყო მსოფლიო ჰეგემონის პოზიციაზე.

არსებობს მოსაზრება, რომ ამერიკა შეიძლებოდა დაეფრთხო იმას, რომ ნავთობუი საგრძნობლად შემცირდა და სწორედ ეს იყო მიზეზი, იმისა, რომ იგი

შეიჭრა ერაყში. 1990-იან წლებში ზოგიერთი გეოლოგი ამტკიცებდა, რომ მალე მსოფლიო მიაღწევდა ნავთობწარმოების მაქსიმუმს და ამის გამო სიტუაცია ბაზარზე გაუარესდებოდა, ეს კი არაბეთის ყურის ირგვლივ გაამძაფრებდა ინტერესს. არაბეთის ყურის რეგიონი მსოფლიო ნავთობის თითქმის ორ მესამედს ფლობდა. ჩეინიმ, ბუშმა და რაისმა იგრძნეს მოსალოდნელი კრიზისი და იმოქმედეს ამერიკისათვის სხვა კონკურენტების ჩამოსაშორებლად. უმთავრეს მიზანს რეგიონში დომინანტური პოზიციის შენარჩუნება წარმოადგენდა. ერაყში სასურველი რეჟიმის დამყარებით აშშ-ს ასევე ჰქონდა შესაძლებლობა, რომ ამერიკული კომპანიებისათვის ნავთობი ხელმისაწვდომი გაეხადა და შესაბამისად, წვდომაც გაეზარდა.

გარდა ამისა, აუცილებელი იყო, რომ ბაზარზე არ გამოჩენილიყო ერაყული ნავთობი და ამერიკულ კომპანიებს ფასის ვარდნის გამო არ მიყენებოდათ მძიმე ზარალი. ამ დროისათვის ნავთობკომპანიები დარვინისეულ ბრძოლაში იყვნენ ჩაბმულნი. ისეთი დიდი ნავთობკომპანიები, როგორებიცაა ექსონი და შევრონი, მთელი ძალებით ახდენენ პატარ–პატარა ბიზნესებზე ზეგავლენას და ცდილობენ მათ მიერთებას.

ძალიან რთული იყო შეენარჩუნებინათ არსებული რეზერვები და მოეძიებინათ ახალი წყაროები ნავთობისა, რაც აუცილებელ ელემენტს შეადგენდა ნავთობის ფასის შესანარჩუნებლად. არსებული ნავთობის თითქმის 90%-ს ერაყის, ქუვეითის, საუდის არაბეთისა და ირანის სახელმწიფო კომპანიები აკონტროლებდნენ.

1999 წელს, როგორც ჩეინიმ აღნიშნა, „მსოფლიოს არაერთ ნაწილში შეიძლება მოეპოვებინათ ნავთობი, მაგრამ ერაყი იქნებოდა საუკეთესო მონაპოვარი მათთვის. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკული კომპანიებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია არსებული რეგიონის ნავთობწარმოებაზე კონტროლის დამყარება და ამ მიზანს, ისინი სულმოუთქმელად ელოდნენ“

ერთ-ერთი ყველაზე უფრო სანდო და დამაჯერებელი კვლევა ჯონ (ხუან) კოულის „მიმზიდველ აღმოსავლეთშია“ მოცემული. 90–იან წლებში, გვიან

ეტაპზე, ჩეინი მუშაობდა კომპანიებთან, რომლებიც იყო ნავთობის ლობისტი კომპანიებიდა ერთ–ერთი ასეთი კომპანია იყო „USA Engage“. ჩეინს დიდი სურვილი ჰქონდა, რომ გაეტარებინა გარკვეული სანქციები ირანისა და ლიბიის მიმართ, მაგრამ კლინტონის ადმინისტრაციის დროს ჩეინის გეგმებმა ვერ გაამართლა და გეგმა ჩაიშალა, რადგან ამერიკის მთავრობას არ სურდა არანაირ კომპრომისებზე წასვლა. მას შემდეგ, რაც ჩეინი მიხვდა, რომ ამაოდ ელოდა აშშ-ს ხელისშემშლელი რეჟიმების წინააღმდეგ მოქმედებას, იგი შეეცადა გარკვეულწილად შეეცვალა სტრატეგია, რაც ითვალისწინებდა იმას, რომ უფრო მეტად გადახრილიყო ომის შესაძლო წარმოების განხილვაზე.

ის მკვლევარები, რომლებიც ერაყის თემატიკაზე მუშაობენ, მიიჩნევენ, რომ ჩეინისა და რამსფელდს უმთავრესი როლი ეკისრებოდათ ერაყთან ომის წამოწყებაში, მაგრამ მუდმივ პოლემიკაში იყვნენ იმასთან დაკავშირებით, თუ რა იყო მოტივი ამ გადაწყვეტილების მიღებისას და რას ემსახურებოდა იგი. გარდა იმისა, რომ მათ ბევრი საერთო შეხედულება და იდეა ჰქონდათ, აქ იკვეთებოდა არაერთი განსხვავებული ხედვა, რაც უწყობდა ერთიანი საერთო და მრავალმხრივი სურათის შექმნას. ნაწილი მკვლევარების შეხედულებით, არსებობს ჰიპოთეზას, რომელიც მხოლოდ ერთ ან ორ მიზანს ასახელებს ომის წამოწყების მოტივად, თუმცა ამას გარდა, გასათვალისწინებელია კიდევ რამდენიმე დეტალი, რომელიც საჭიროებს განხილვას და გაანალიზებას რეალობასთან, ერაყთან მიმართებაში, როგორც მისი მაგალითის გამოყენება ამერიკის ერთობლივი სამხედრო სიძლიერის დემონსტრირებისათვის.

3.2 შიიტურ-სუნიტური კონფრონტაციის ახალი ტალღა

ომი, რომელიც დაიწყო 2003 წელს, მუდმივად ქაოტურ და პარტიზანულ მოქმედებებში გადაიზარდა, რის შედეგადაც ასი ათასზე მეტი ერაყელი დაიღუპა. დაიღუპა 4,5 ათასამდე ამერიკელიც, რამაც ამერიკელ ხალხში, არსებული ომი ერაყში, საკმაოდ არაპოპულარული გახადა და 2008 წელს

ხელისუფლების სათავეში მოსული ბარაკ ობამას სამთავრობო ხაზი აიძულა, რომ აუცილებლად გაეცათ თანხმობა ჯარების გამოყვანაზე ერაყიდან.

არსებული პროცესი 2011 წელს უნდა დასრულებულიყო, თუმცა, ნათელია, რომ აშშ ყველანაირად ცდილობდა ეს პროცესი მეტად უფრო გახანგრძლივებულიყო და ერაყში, მათი სამხედრო კონტიგენტის ნაწილი მაინც დაეტოვებინა 2011 წლის შემდეგაც. ერაყის მოსახლეობის უმეტესი ნაწლი, მნიშვნელოვნად მოითხოვდა, რომ ხელშეკრულება არ შეცვლილიყო და არსებული ვალდებულებები პირნათლად შეესრულებინა ამერიკას, რომ სამხედრო ძალებს ერაყი, დათქმულ ვადებში დაეტოვებინათ. დღეისათვის, აშშ-ს ადმინისტრაცია არ ფლობს არავითარ მისთვის სასარგებლო და ხელჩასაჭიდ მიზეზს, ან თუნდაც საბაბს, რაც მას დაეხმარება იმაში, რომ არ იკისროს პასუხისმგებლობა არსებული ვალდებულებების შესრულებაზე.

ოკუპაციის შედეგად, ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა ერაყი.დაინგრა ქვეყნის ინფრასტრუქტურული ნაწილი, რომლის აღდგენაზეც მუშაობაც ახლაც მიმდინარეობს. ძალიან ბევრმა ერაყელმა დატოვა ქვეყანა , მათ შორის არაერთმა სოციალურმა მუშაკმა თუ კვალიფიციურმა თანამშრომლებმა. აუცილებელი საჭიროება შეიქმანება მათი დაბრუნებისა და არამარტო, რადგან ამასთან ერთად ახალი კადრების შერჩევის და გადამზადების პროცესის გამართულობა, რაც ასე თუ ისე, საშუალებას მისცემს ერაყს, რომ გახდეს თანამედროვე სახელმწიფო და მყარად გასცეს პასუხი იმ აგრესიას, რომელიც შეიძლება წამოვიდეს დასავლეთის ქვეყნებიდან, თუმცა სამწუხაროდ, ამ პროცესს დიდი დრო და ძალები დასჭირდება...

ბევრ ქვეყანასდა მათ შორის, უპირველესად, ამერიკის შეერთებულ შტატებს, არ აწყობთ ერაყში სრული სტაბილურობის აღდგენა, რადგან ეს ერაყს აუცილებლად საშუალებას იმის საშუალებას მისცემს, რომ მან განავითაროს მჭიდრო პოლიტიკური თუ დიპლომატიური სახის ურთიერთობები მის მეზობელ ქვეყნებთან.

მას შემდეგ, რაც ბოლო მოეღო სადამ ჰუსეინის რეჟიმს, „სახალხო მოჯაჰედები“ „გადაიბარეს“ ამერიკელებმა და დღემდე მფარველობენ მათ ბაზას ირანის საზღვრებთან ახლოს. ერაყის ცენტრალურ ნაწილში. თავის მხრივ, ერაყისგან ირანი ნათლად მოითხოვდა, რომ ბაზა დაშლილიყო და ტურისტებს არსებული ტერიტორია დაეტოვებინათ რაზეც ბაღდადის ხელისუფლება თანახმა იყო.

მიუხედავად ამისა, აშშ ყველანაირად ცდილობს რომ იმ ბაზების გაქუმებას შეუშალოს ხელი რომელიც არასტაბილურ სიტუაციას ქმნის ერაყში და ხელს უშლის ორ მეზობელ ქვეყანას შორის არსებულ ურთიერთობებს.მსგავსი ხერხებით, ამერიკელი ხალხი ფიქრობს, რომ მათ უნდა შეინარჩუნონ გავლენა ერაყში მიდმინარე და არსებულ პროცესებზე და იმ ვითარებაზე, რამაც მკვეთრად შეუშალა ხელი ერაყსა და ირანს ურთიერთობის დარეგულირებას.

როგორც ვიცით, ერაყს გააჩნია უდიდესი ბუნებრივი რესურსები, გამორჩეულად კი ნავთობი და ბუნებრივი გაზი, რომლის გამოყენება საშუალებას მისცემს ამ ქვეყანას მძლავრ და დამოუკიდებელ მოთამაშედ გამოგვეცხადოს რეგიონში. ერაყის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს შეადგენენ შიიტი მუსლიმები, აქედან დაახლოებით მეხუთედს ქურთები, რომლებიც ძირითადად სუნიტები არიან, ხოლო სუნიტი არაბები დანარჩენ ნაწილს. თუმცა არის დაახლოებით მილიონამდე სხვადასხვა მიმართულების ქრისტიანიც. სადამ ჰუსეინის მმართველობის პირობებში, შიიტური მოსახლეობის უფლებები საკმაოდ შეზღუდული იყო , მიუხედავად იმისა ,რომ ერაყის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, ქვეყანაში არის შიიტი, ამ ქვეყანაში ძირითადი პრივილეგიები მაინც სუნიტების ხელში იყო. სწორედ ერაყში არის წარმოდგენილი ის წმინდა ადგილები, რომლებიც შიიტებს ეკუთვნის და აქვე მათ შორის, აღსანიშნავია იმამ ალის საფლავი ქალაქ ნაჯაფის მეჩეთში. სწორედ ამავე ქალაქშია წარმოდგენილი შიიტების ერთ-ერთი მთავარი თეოლოგიური სკოლა მსოფლიოში.

მიუხედავად იმისა, რომ შიიტები მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენენ, ისინი ჯერ არ არიან იმდენად აქტიურები პოლიტიკურ პროცესებში,

როგორც ქურთები და სუნიტი არაბები. ეს ყველაფერი გამოწვეულია, იმით რომ უმრავლესობა ასე ვთქვათ უფრთხილდება უმცირესობის შეხედულებებს და ცდილობს არ გააღიზიანოს ისინი. სწორედ შიიტური მიმართულების ძალებმა აიღეს თავიანთ თავზე იმ ინიციატივის აღება, რომ ერაყი დაძრულიყო თანამედროვე განვითარების გზაზე და მისი ნებისმიერი სფერო ყოფილიყო პროგრესული. ერაყის პოლიტიკურ სექტორში უკვე გამოჩნდნენ საკმაოდ ახალგაზრდა და ენერგიული პოლიტიკოსები, როგორებიცაა მოქთადა ალ-სადრი და ამმარ ალ-ჰაქიმი. თუ ისინი შმოახერხებენ მომდევნო წლებში უფრო აქტიური პოზიციების დაკავებას პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაშინ გვექნება იმ ვარაუდის შექმნის საფუძველი, რომ ერაყის განვითარება უფრო და უფრო დაჩქარებულ სახეს მიიღებს. ასევე ამ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობენ ისლამის რელიგიაში განსწავლული პირები, როგორებიც არიან აიათოლები და სხვა სწავლულები, რადგან ერაყის სწორი მიმართულებით განვითარება მათ გარეშე წარმოუდგენელი იქნება.

ანტიერაყული ძალები დიდხანს ემზადებოდა ომისათვის. თეთრი სახლისა და პენტაგონის ექსპერტები ცდილობდნენ ყველა შესაძლო მოვლენის განვითარებაზე დაეწყოთ განხილვა, მაგრამ აღმოსავლეთის საკითხი მეტად რთული და უმართავი იყო და გეგმა ერაყის შესაძლო განვითარებასა და მოწყობაზე, მათზე პროგნოზირება ან თუნდაც რაციონალურ ჭრილში მსჯელობა საკმაოდ რთული და უმართავი იყო, არა მარტო ერაყში, არამედ ავღანეთშიც.

ყურადღების მიღმა დარჩა ის, რომ ლაიცისტური (საერო) რეჟიმის არსებობა ერაყში უდავო მიღწევა იყო. სადამ ჰუსეინი არ წარმოადგენდა და ვერც იქნებოდა ისლამური ფუნდამენტალიზმის გამოკვეთილი მოკავშირე. ისლამური რევოლუციის დროს, ირანის მიერ განცხადებული აზრი, რომ მსოფლიო სამუსლიმანო იქნებოდა ერაყში ლიდერი, არც ერაყმა და არც ბევრმა ისლამურმა ქვეყანამ არ მიიღო. ირან-ერაყის ომში (1980-88) ამერიკელები სადამ ჰუსეინის მოკავშირეებად გვევლინებოდნენ, ამარაგებდნენ მას იარაღითაც, რათა მას შეძლებოდა რომ დაემხო ირანის ისლამური და ანტიამერიკული მთავრობა. საუდის არაბეთი ამ მოვლენებში ერაყის მოკავშირედ იყო წარმოდგენილი,

ვინაიდან დიდი სიძულვილი ირანსა და ალ-საუდების მონარქიას შორის კვლავ ისე მძვინვარებს. აიათოლას რევოლუციის წინააღმდეგ მებრძოლ სადამ ჰუსეინთან ომის დროს, 80-იან წლებში ჩავიდა აშშ-ის ახლანდელი თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი.

ამერიკელების მიერ განხორციელებულმა არაერთმა ქმედებამ, გამოიწვია ის, რომ ერაყი მივიდა სრულ დემოდერნიზაციამდე. ამ დროს მიიჩნიეს, რომ დემოკრატია წარმოადგენდა ჭეშმარიტებას, რაც არსებულ სიტუაციაში სრულიად აზრს მოკლებული იყო. სადამ ჰუსეინის პარტია იყო ბაასი და ის ავტორიტეტული პოლიტიკური ძალა, რომელიც ისლამურ ექსტრემიზმს ერაყში ძალების გაშლის საშუალებას არ აძლევდა და მისთვის იგი ყველა ღონეს ხმარობდა. არსებული პარტია უკან იტოვებდა მუსლიმ ფუნდამენტალისტთა მიერ განხორციელებულ ქმედებებსა თუ წამოწყებებს და მათ საერო ისლამიზმისა და პანარაბიზმის ფარგლებში აქცევდა. ბაასი კვლავ ცდილობდა შეენარჩუნებინა ერაყში ევროპეიზმისა და მოდერნიზმის ხელჩასაჭიდი ქმედებები, რაც ძალიან ბევრს ნიშნავდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ბაასის გაუქმებით რელიგიურ ექსტრემიზმს გაეხსნა ხელ-ფეხი და არა მხოლოდ მრავალპარტიულობას როგორც ეგონათ. ამერიკელების მხრიდან ერაყში შეჭრამ ისლამურ სამყაროში დასავლეთის საერთაშორისო ავტორიტეტს ძალიან დიდი დაღი დაასვა. ფუნდამენტალისტებისათვის უკვე იმას კი აღარ აქვს მნიშვნელობა, რომ დაემხო მათი მბრძანებელი ჰუსეინი და ეს ფაქტი მიიჩნიეს, ისე ისე, რომ არამუსულმანებმა დაამხეს პანარაბისტი მუსულმანი მმართველი, რომელიც ამერიკელებსა და ებრაელებს ებრძოდა.

არსებული ვითარება მალევე შეიცვალა ქურთების სასარგებლოდ და ეს მოხდა მაშინ, როდესაც დაეცა სადამ ჰუსეინის რეჟიმი და ეს ხდებოდა 2003 წლიდან. სადამ ჰუსეინის მმართველობის დროს არ არსებობდა ავტონომია, ხშირად სდევნიდნენ ქურთ ხალხს, ძარცვავდენენ და უმიზეზოდ ხოცავდნენ. როგორც შემდგომ გაირკვა, ჰუსეინმა ქურთების მიმართ რამდენიმეჯერ გამოიყენა როგორც ბიოლოგიური, ისე ქიმიური იარაღი და ასევე ადგილი ჰქონდა ეთნიკური წმენდის შემთხვევებსაც.

ხელშეკრულება, რომელიც გაფრომდა 2003 წლის ბოლოს, ქურთული ავტონომიის ხელმძღვანელობასა და ერაყის ახალ ხელისუფლებას შორის, რეგიონისთვის ფართო ავტონომიის მინიჭებას ითვალისწინებდა, ამასთანავე, საკუთარი შეიარაღებული ძალების ყოლის უფლებასა და ერაყის შემადგენლობიდან გასვლის უფლებასაც, იმ შემთხვევაში, თუ ცენტრალური ხელისუფლება შეთანხმების პირობებს დაარღვევდა.

ძირითადი პრობლემას ცენტრისა და რეგიონის ურთიერთობებში წარმოადგენდა სადავო რაიონები. არსებობდა ზონა, რომელსაც აკონტროლებდა არაერთი სამხედრო შენაერთი და გარდა ამისა, იყო გარკვეული რაიონებიც, რომლებიც მის ფარგლებს გარეთ მდებარეობდა და რომლებზეც ქურთებს პრეტენზია ჰქონდათ. მთავარ „ნადავლს“ ამ შემთხვევაში წარმოადგენდა ნავთობი, რომლის მარაგი კირკუკის სიახლოვეს 40 მილიარდ ბარელს აჭარბებდა.

2007 წლის ბოლომდე, ერაყის ახალი კონსტიტუციის თანახმად, სადავო ტერიტორიების მომავალზე უნდა ჩატარებულიყო რეფერენდუმი, თუმცა ის არ ჩატარებულა. სწორედ ამიტომ 2009 წელს, ერაყის ქურთისტანის პარლამენტმა მიიღო ცალმხრივი დეკლარაცია, რომლის თანახმადაც კირკუკი ქურთისტანის შემადგელობაში შევიდა და 2014 წელს კი მასზე სრული კონტროლი მოიპოვა.

ამ გადაწყვეტილებამ, რომ ჩატარებულიყო რეფერენდუმი, გამოიწვია არა მხოლოდ ერაყის, არამედ თურქეთის, ირანისა და სირიის მთავრობების შეშფოთება, ვინაიდან ისინი შიშობდენ, რომ დამოუკიდებელი ქურთისტანის შექმნა მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქურთებს გამოყოფისკენ და “დიდი ქურთისტანისთვის” ბრძოლისკენ გაუკვალავდა გზას. ეს აქტუალურია განსაკუთრებით სირიის როჟავას რეგიონისთვის, რომელზე კონტროლიც დამყარებული აქვს ქურთებს და ერაყის ქურთისტანს ესაზღვრება. სიტუაციას ართულებს ისიც, რომ სხვადასხვა ქურთულ დაჯგუფებებს რადიკალურად განსხვავებული პოზიცია აქვთ და ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მათ სხვადასხვა მოკავშირეები ჰყავთ , რომელთაგან რამდენიმეს ვაშინგტონი ეხმარება, ზოგს თეირანი, ზოგს კი ანკარა. დაძაბულობა მათ შორის, არც მაშინ განელებულა,

როდესაც“ისლამურმა სახელმწიფომ” ქურთებს სასიკვდილო საშიშრობება შეუქმნა. ქურთები ძალიან ახლოს იყვნენ დამოუკიდებლობასთან. თუმცა, ამის მიუხედავად, მაინც ძალიან რთულად განსაჭვრეტია, ის თუ რა შეიძლება მოჰყვეს დამოუკიდებლობის გამოცხადებას მათი მხირდან. რა თქმა უნდა, ალბათობა იმისა, რომ ეს რეგიონში კიდევ ახალ კერას წარმომქნის, ვგულისხმობ დაპირისპირების კერას, არის ძალიან დიდი. ცხადია, რომ ქურთისტანის დამოუკიდებლობის რეფერენდუმი ძირეულად შეცვლის ახლო აღმოსავლეთში არსებულ ვითარებასა და მოვლენებს.

აბუ ბაქრ ალ ბაღდადი, რომელიც წარმოადგენდა „ერაყის ისლამური სახელმწიფოს“ ISIS ლიდერს 2010 წლიდან, ალ ზავაჰირისთან „ალ–ქაიდასთან“ შეთანხმებით, 2011 წელს სირიაში აგზავნის თავის წარმომადგენელს, რომელიც ჩვენთვის ცნობილია აბუ მოჰამედ ალ ჯულანის სახელით, იმ მიზნით, რომ ჩამოაყალიბოს Al Nusra Front-ი და გააფართოვოს თავისი მიმდინარეობა. 2013 წლამდე ISIS-მა და Al-Nusra-მ დაიწყო ერთობლივი მოქმედებების განხორციელება. თუმცა ალ ბაღდადი შექმნილი სიტუაციით კმაყოფილი არ იყო, ვინაიდან მას სურდა, რომ ის დაჯგუფებები, რომელიც იყო წარმოდგენილი სირიასა და ერაყში , ერთი ჭერქვეშ გააერთიანებინა, რა თქმა უნდა, კვლავ თავისივე ლიდერობით.

გამოივეთა რამდენიმე ძირითადი და მნიშვნელოვანი მოვლენა, თუ რამ შეუწყო ხელი ისლამური სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, აქედან აღსანიშნავია, ერაყიდან აშშ-ის შეიარაღებული ძალების სრული გამოსვლა, ასევე, ერაყის ხელისუფლების მართვის სექტარიანული მოდელის არსებობსა, სამოქალაქო ომი, რომელიც მიმდინარეობდა სირიაში. 2014 წელს, როდესაც ISIS-მა, როგორც ტერორისტულმა ორგანიზაციამ, ერაყისა და სირიის ტერიტორიების დიდი ნაწილი დაიკავა, იქ მალევე ხალიფატი გამოაცხადა.

მნიშვნელოვანი ქალაქების დაკავება ISIS–ს მიერ სწორედ რომ ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში გახდა შესაძლებელი. ახალი ადმინისტრაციული მმართველობის პირობებში, „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლის ტაქტიკა

და მანევრი კვლავ უცვლელი დარჩა, თუმცა მოხდა მისი გარკვეული მხრივ შესწორებაც. ამან კი თავის მხრივ ხელი შეუწყო ISIS–ის დამარცხებას მცირე დროში. პენტაგონმა იმ სამხედროებს, რომლებიც იმყოფებოდნენ ერაყსა და სირიაში, უფრო მეტი თავისუფლება მიანიჭა. მიუხედავად იმისა, რომ საჰაერო დარტყმების რაოდენობა არ გაზრდილა, შედეგი აშკარად გაუმჯობესდა. სავარაუდოდ, პენტაგონიდან მოვლენების სწორად წარმართვა მიზნის მიღწევის დონეს კიდევ უფრო მნიშვნელოვნად სწევდა წინ და პროგრესულ ხასიათს იძენდა.

მიუხედავად იმისა, რომ სირია და ერაყი წარმოადგენს მნიშვნელოვანწილად გაწმენდილ ტერიტორიებს ISIS–ის მებრძოლთაგან, ახლა მთავარი ფაზა, დანგრეული სახელმწიფოებრიობის კვლავ მშენებლობა უნდა იყოს გეგმაში. იმ შემთხვევაში, თუ ბაღდადმა და დამასკომ კვლავ დაიწყო სექტარიანიზმისა და ავტორიტარიზმის ჭრილიდან მოქმედება, მოსახლეობის იმედები, კვლავ რადიკალური იქნება, ეს კი თავის მხრივ, ახალ ტალღას წარმოშობს ისეთი ორგანიზაციების ჩამოყალიბების კუთხით, როგორიც არის მაგალითად "ისლამური სახელმწიფო".

ერაყის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდნენ საკმაოდ ახალგაზრდა და კვალიფიციური პოლიტიკოსები, მოქთადა ალ სადრისა და ამარ ალ ჰაქიმის სახით. რომლებიც დიდ როლს შესრულებენ ერაყის სწორი მიმართულებით სვლასა და განვითარებაში და არამარტო, არამედ რეგიონალური უსაფრთხოების განმტკიცებას შეუწყობს ხელს და საშუალებას მისცემს ამ რეგიონის ქვეყნებს უფრო ახლო სტრატეგიული პროექტების განვითარებაზე იზრუნონ.

2003 წლის შემდეგ ეპოქა, მართლაც რომ უფრო პროგრესული იყო, რაც გამოიხატა იმაში, რომ ბოლო წლებში კონსტიტუციაშიც განხორციელდა ბევრი შესწორება, თუმცა ამის მიუხედავად, აღნიშნული ცვლილებები ჯერჯერობით არ განხორციელებულა ისე, როგორც ეს უნდა წარმართულიყო. მაშინ როდესაც ამერიკელმა სამხედროებმა დაიწყეს გასვლა, კვლავ ახალი კერა წარმოიშვა დაპირისპირების და ეს ყველაფერი მოხდა რელიგიურ ფონზე. მოხდა

საზოგადოების გარკვეული ფენების რადიკალიზაციაც. ერაყის მთავრობა მიუხედავად იმისა, რომ არ იშურებდა ძალებს, სუნიტებთან და ქურთულ მოსახლეობასთან შეთანხმება მიეღწია, ეს ყველაფერი მისთვის ძალზედ მძიმე აღმოჩნდა. ერაყის მოსახლეობის ერთი ნაწილი გვევლინებოდა, როგორც სირიის მთავრობის მხარდამჭერი, ხოლო მეორე ნაწილი, რომელსაც წარმოადგენდნენ სუნიტი არაბები, სირიული ოპოზიციის მიმართ ძალიან პოზიტიურად განეწყო.

საბოლოოდ, აღნიშნული ამ ორი ქვეყნის თანამედროვეობა და არსებული პრობლემები მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს და მათგან აღსანიშნავია, ის შექმნილი კრიზისული ვითარება, სადაც მთავარი განმაპირობებელი ფაქტორები, პირდაპირ უკავშირდებოდა ექსტრემიზმის ზრდასა და აი-სი-სის როლის გაძლიერებას ერაყში.

3.3 თანამედროვე პერიოდში რეგიონული კრიზისისა და გარე ფაქტორების გავლენა ერაყის შიდაპოლიტიკურ ვითარებაზე

2011 წლიდან ერაყის მთავრობა მეტნაკლებად მართავს მთელ ერაყს, თუმცა სექტარული ტერორიზმი არ შეწყვეტილა. ქვეყანა არ დაიშალა, თუმცა ერაყის ქურთისტანში ჩამოყალიბდა ავტონომიური მთავრობა, საკუთარი არმიითა და პოლიციით.

ერაყის შიიტური რეჟიმი, ასევე შიიტური ირანის მიმართ საკმაოდ კეთილგანწყობილია.

ერაყში 2003-2011 წლებში დაიღუპა, დასახიჩრდა და დაიჭრა მეოთხედ მილიონზე მეტი ადამიანი. რამდენიმე მილიონი ადამიანი ქვეყნიდან გაიხიზნა (დიდი ნაწილი დაბრუნდა). სადამ ჰუსეინის რეჟიმი, რაოდენ ტირანულიც არ უნდა ყოფილიყო იგი, ასეთი რაოდენობის მსხვერპლს არ ითხოვდა, თანაც მანამდე ადამიანებს შიში მხოლოდ მთავრობის მიმართ ჰქონდათ, 2003 წლიდან კი საფრთხე ყველა მხრიდან გახდა მოსალოდნელი.

ერაყის ახალი მთავრობის შექმნა ძალიან გაჭირდა. საბოლოოდ, ის შეიქმნა ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის – შიიტი არაბების – დომინაციით. ახალი კონსტიტუცია მოსახლეობამ მოიწონა 2005 წლის 15 ოქტომბრის რეფერენდუმზე.

2008 წელს, ჯერ კიდევ პრეზიდენტ ბუშის დროს, აშშ და ერაყის ახალი ხელისუფლება, რომელიც შიიტი არაბებისა და ქურთების კოალიციას წარმოადგენდა, შეთანხმდნენ, რომ ამერიკის სამხედრო ნაწილები საბოლოოდ დატოვებენ ერაყს 2011 წლის 31 დეკემბრამდე. პრეზიდენტმა ობამამ ეს შეთანხმება შეასრულა.[37]

2011 წელს რეგიონში მოხდა მოვლენები, რომელთაც მსოფლიო მასმედიამ მალე გამოუნახა რომანტიკული სახელი – „არაბული გაზაფხული“, მოვლენები კი ასე დაიწყო:

2010 წლის 17 დეკემბერს თუნისის ერთ პროვინციულ ქალაქში ხილ-ბოსტნეულით მოვაჭრე ახალგაზრდის მიმართ გამოჩენილი პოლიციური უსამართლობა (რაც არაბულ ქვეყნებში ლამის ჩვეულებრივი ამბავია) ტრაგიკულად დამთავრდა: პროტესტის ნიშნად ქალაქის მერიის წინ ახალგაზრდამ თავი დაიწვა. ინციდენტმა უკვალოდ არ ჩაიარა. ის ცნობილი გახდა არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, რომელთაც მთელ თუნისში ააგორეს საპროტესტო ტალღა. ტელევიზიამ, მობილურმა ტელეფონმა, ინტერნეტის სოციალურმა ქსელებმა განაპირობეს პროტესტის მასობრივი ხასიათი. ხალხში წლების განმავლობაში გროვდებოდა რეჟიმით უკმაყოფილება. ახლა მან გამოსავალი იპოვა.

თუნისის რევოლუციის სწრაფმა წარმატებამ “დომინოს ეფექტით” ითამაშა საპროტესტო აფეთქების დეტონატორის როლი მრავალ არაბულ ქვეყანაში, ისევე როგორც ერაყში, სადაც ხალხი ასევე უკმაყოფილო იყო თავისი კორუმპირებული მთავრობით: «თუკი თუნისელებმა შეძლეს, ჩვენც შეგვიძლია მოვიშოროთ ჩვენი

[37] გაჩეჩილაძე რ. „ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური გეოგრაფია“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი 2011, გვ. 324-326

მტარვალები»! საყოველთაო ლოზუნგად იქცა “ხალხი მოითხოვს რეჟიმის დამხობას”.

2011 წლის იანვარშივე დაიწყო საპროტესტო გამოსვლები იორდანიაში, ომანში, იემენში, ეგვიპტეში, ბაჰრეინში, შემდეგ – სირიაში და ჩრდილოეთ აფრიკის არაბულ ქვეყნებში, ერაყში კი დემონსტრაციები იმართებოდა, რასაც შედეგად ერაყის კრიზისი მოჰყვა. დასავლეთის მასმედიამ 2011 წლის მოვლენებს სახელად “არაბული გაზაფხული” მიანიჭა, რადგან გაჩნდა იმედი, რომ “არაბმა ხალხებმა ზამთრის ძილისაგან გამოიღვიძეს, კორუფციას დაუპირის- პირდნენ, მალე დემოკრატიული გარდაქმნების მომსწრე გავხდებით!”.

“არაბული გაზაფხულის” თავდაპირველი წარმატებისათვის გადამწყვეტი აღმოჩნდა შიდა პრობ- ლემები. მათ შორისაა ის, რომ არაბულ ქვეყნებში ახალგაზრდა ასაკის ადამიანთა ძალიან სწრაფად მზარდი რაოდენობა ვერ პოულობს დასაქმებას; ურბანიზაციის შედეგად სოციალური კონტროლი შესუსტებულია, მოსახლეობის ინფორმირებულობა გაიზარდა, კულტურულმა მოთხოვნილებებმა მოიმატა, სოციალური მობილობის შეზღუდულობა უკმაყოფილებას იწვევს, ხელმძღვანელების უცვლელი მმართველობა ელიტარული კორუფციის საფუძველია, არჩევნები გაყალბებით ტარდება (თუ საერთოდ ტარდება!), ელიტებს დაუოკებელი მომხვეჭელობა ახასიათებთ და ა.შ.

ეს სავსებით საკმარისი ფაქტორებია დიდი სოციალური ძვრებისათვის.

გარდა ამისა, არაბული ქვეყნების განათლებულმა ნაწილმა “უკეთესი ცხოვრება” საზღვარგარეთ ყოფნისას ან ინტერნეტით ნახა.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუაში ფრანგი პოლიტოლოგი ალექსის დე ტოკვილი სავსებით სამართლიანად წერდა,

“რევოლუციები იმის გამო კი არ ხდება, რომ ადამიანები ცუდად ცხოვრობენ, არამედ იმიტომ, რომ მათ უკეთ ცხოვ¬რება უნდათ”.

დასავლეთელი სპეციალისტებისათვის “არაბული გაზაფხული” სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა. მათ მიაჩნდათ, რომ ვაშინგტონის მოკავშირე ავტორიტარული არაბი ლიდერები სტაბილურობის საიმედო გარანტები არიან.

სამწუხარო რეალობაა, რომ თუნისის გარდა, რეალური შედეგი არსად გვაძლევს “არაბული გაზაფხულის” საბოლოო წარმატებაზე საუბრის უფლებას.

მდიდარი არაბული მონარქიების უმეტესობას “არაბულმა გაზაფხულმა” გვერდით ჩაუარა, რადგან ადგილობრივი მოქალაქეები არ იყვნენ დაინტერესებული შეერყიათ პოლიტიკური სისტემა, რომელიც მათ მატერიალურ კეთილდღეობას ასე თუ ისე უზრუნველყოფს. იმავე ქვეყნებში მყოფი, მრავალ ენაზე მეტყველი, უცხოელი მუშები და მომსახურე პერსონალი კი, ზოგან მოსახლეობის დიდ უმრავლესობას რომ შეადგენენ, პროტესტის ორგანიზებას ვერც შეძლებდნენ.

უფრო უარყოფითი, ვიდრე დადებითი პასუხი უნდა გაეცეს კითხვას – იყო თუ არა არაბული რევოლუციები ინსპირირებული რეგიონის გარედან (იგულისხმება – “დასავლეთიდან”)?.

“წინასწარ დაგეგმილი შეთქმულების” კვალი არ ჩანს. დასავლეთის ქვეყნების დედაქალაქებში იყო პრიმიტიულ უვიცობაზე დაფუძნებული იმპულსური გადაწყვეტილებები, რაც სამწუხაროდ, დემოკრატიული ქვეყნების საგარეო პოლიტიკაშიც ხდება ხოლმე.

ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობის (პრეზიდენტი მაშინ ბარაკ ობამა იყო) რეაქცია ორაზროვანი იყო. ობამამ თავიდან პოზიტიური განწყობა გამოამჟღავნა ეგვიპტეში ცვლილებების მიმართ, თუმცა მუბარაქი პროამერიკული ლიდერი იყო. მაგრამ აშშ-სა და ისრაელისათვის არაბული ავტორიტარული რეჟიმები “შეჩვეული ჭირი” იყო.

ქაოტური ვითარება ახლომდებარე ჩრდილოეთ აფრიკაში და ახლო აღმოსავლეთში დღემდე ქმნის სერიოზულ პრობლემებს ევროპული კავშირისათვის.

არაბული ავტოკრატიული რეჟიმების მდგრადობა განპირობებული იყო დასავლეთის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესებით. ეს ინტერესები დღის წესრიგში რჩება.

“არაბული გაზაფხულის” წარმატება მხოლოდ არაბული ქვეყნების ლიბერალური ინტელიგენციის რომანტიკულ ოცნებებში დარჩა.

“არაბული გაზაფხულის” სტიქიურად დაწყებისას რელიგიური მომენტი ზედაპირზე არ ჩანდა. ბაჰრეინშიც კი, უკმაყოფილო შიიტური უმრავლესობა, რომელიც სუნიტური ელიტის მხრიდან ჩაგვრას უჩიოდა, რელიგიურ მომენტს მაქსიმალურად უვლიდა გვერდს.

2014 წელს ერაყის ტერიტორიაზე გაჩნდა ”დაიშ”-ი (”ისლამური სახელმწიფო”., რომელმაც მალე დაიპყრო ერაყის ტერიტორიის საგრძნობი ნაწილი და სახიფათო მანძილზე მიუახლოვდა ბაღდადს. მის წინააღმდეგ ბრძოლაში ერაყს ძალიან დაეხმარა სწორედ ირანი.

„დაიშ“_ის ლიდერები, რომლებიც უკლებლივ განეკუთვნებოდნენ ისლამის სუნიტურ მიმართულებას, თავის საბოლოო მიზნად სახავდნენ ათასი წლის წინათ არსებული არაბული სახალიფოს აღდგენას, ცენტრით ბაღდადში და სახელმწიფოს მართვას შუა საუკენეების დროინდელი წესებით. ამ მიზნის მისაღწევად “დაიშ”-ი მიმართავდა ნებისმიერი მეთოდის გამოყენებით ბრძოლას “ურწმუნოებთან” (ქაფირებთან/გიაურებთან, ანუ არა-მუსლიმებთან) და “მწვალებლებთან” (იგულისხმებოდნენ შიიტი მუსლიმები).

ეჭვგარეშეა, რომ მზადება “ისლამური სახელმწიფოს” შესაქმნელად წინასწარ დაიწყო. საკმაოდ მალე გაირკვა, რომ სამხედრო მომზადებასა და დაზვერვაში მას ეხმარებოდნენ სადამ ჰუსეინის დროინდელი ერაყის არმიის ოფიცრები, რომლების 2003 წელს შემოსულმა ამერიკის სამხედრო ადმინისტრაციამ და ადგილობრივმა ხელისუფლებამ უმუშევრად დატოვა.

დაიშ”-ის მხარეს თავი მოიყარა უამრავმა ფანატიკოსმა მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან, მათ შორის ჩრდილოეთ აფრიკიდან, რუსეთიდან (განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიიდან და ვოლგისპირეთიდან) ცენტრალური აზიიდან და ჩინეთის სინძიანიდანაც კი. დასავლეთ ევროპიდან მას შეუერთდნენ ძირითადად ადგილობრივი მუსლიმები და ზოგიერთი, ისლამზე გადასული ევროპელიც. მათ ადვილად შეაღწიეს ერაყში

ჩრდილოეთიდან – თურქეთის და სირიის გავლით, ან სამხრეთიდან – იორდანიის გავლით.

მოულოდნელობის ეფექტი ძალიან დიდი იყო. ორმილიონიანი ქალაქი მოსული, ჩრდილოეთ ერაყში, "დაიშ"- მა უსწრაფესად დაიკავა, თანაც ისე, რომ ხელში ჩაუვარდა იქ განლაგებული ერაყის არმიის სამხედრო ტექნიკა და შეიარაღება და ბანკებში შენახული ასობით მილიონი ადგილობრივი და ამერიკული ვალუტა. ერაყის არმიის ოფიცრები და ჯარისკაცები უბრალოდ გაიქცნენ მოსულიდან ან ადგილობრივ მოსახლეობას შეერიენ. მოსული "დაიშ"-ის "დროებით დედაქალაქად" იქცა "ბაღდადის დაპყრობამდე", რომელსაც ისლამისტები ძალიან მალე მიუახლოვდნენ. მაგრამ აქ მათ დახვდათ ბრძოლისუნარიანი არმიის ნაწილები, რომელთაც, დახმარება აღმოუჩინა ამერიკულმა ავიაციამაც.

ადგილობრივი სუნიტური მოსახლეობა ახალ სახალიფოს ძალიან პასიურ წინააღმდეგობას უწევდა, იქ მცხოვრები ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები კი (შიიტები, იეზიდები, ასირიელი და სხვა ქრისტიანები) კი უმძიმეს მდგომარეობაში, ფაქტობრივი გენოციდის წინაშე აღმოჩნდნენ. ფანატიკოსებმა როგორც „წარმართული" მოსპეს უძველესი ცივილიზაციების უამრავი ფასდაუ- დებელი ძეგლი, რომლებიც წინა ორი საუკუნის განმავლობაში აღმოაჩინეს და კაცობრიობას შემოუნახეს არქეოლოგებმა და სხვა მეცნიერებმა. მაგალითად, „დაიშ"-მა მიზანმიმართულად გაანადგურა ძველი ასირიის დედაქალაქი ნინევია, ანტიკური ქალაქი პალმირა, ქ. მოსულის შესანიშნავი მუზეუმის ექსპონატები.

შეიქმნა ტერიტორიულად გიგანტური ტერორისტული წარმონაქმნი, რომელიც თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს იყენებდა მომხრეების მოსაზიდად და სხვადასხვა ქვეყანაში ტერორისტული აქტების ჩასადენად. გარკვეული თვალსაზრისით, „დაიშ"-მა შექმნა

„ინტერნეტისა და მობილური ტელეფონის მქონე შუა საუკუნეები". ათასწლეულების წინანდელი.

ველური წესების გამოყენებით (ქვით ჩაქოლვა, თავის და კიდურების მოკვეთა, მონად წაყვანა)

„დაიშ”-ი ებრძოდა არა-მუსლიმებს და არა-სუნიტებს.

მის მიერ დაპყრობილი ტერიტორია მიჰყვებოდა მთავარ საკომუნიკაციო ხაზებს და დასახლებულ ადგილებს, სადაც ჯამში 10 მილიონამდე მცხოვრები იყო. მხედველობაშია მისაღები, რომ სირიისა და ერაყის დიდი ნაწილი დაუსახლებელ უდაბნოს უჭირავს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს მუსლიმების (მათ შორის სუნიტების) დიდი უმრავლესობა „დაიშ”-სა და მისი მოქმედების მეთოდებს მხარს არ უჭერდა. ამიტომაც მისი გაიგივება ყველა მუსლიმთან დიდი შეცდომაა. თუმცა ნამდვილად არსებობს ფანატიკურად განწყობილი უმცირესობა.

ბევრ ექსპერტს მიაჩნია, რომ ამ დიდი ტერორისტული წარმონაქმნის წარმოშობა და თავდაპირველი თავბრუდამხვევი წარმატებები განაპირობა XXI საუკუნის პირველ ათწლეულში დასავლური კოალიციის მიერ ერაყში დაშვებულმა სტრატეგიულმა შეცდომებმა. ამ ექსპერტების აზრით, სადამ ჰუსეინის არმიის დაშლამ გააჩინა ბევრი უმუშევრად დარჩენილი, გაბოროტებული ოფიცერი და სამხედრო სპეციალისტი, რომლებიც დაეხმარნენ ფანატიკოს ისლამისტებს. ამრიგად, XXI საუკუნის დასაწყისში ახლო აღმოსავლეთში დაშვებული შეცდომები აისახა მსოფლიოს თანამედროვე პოლიტიკურ ვითარებაზე.

„დაიშ”-ს ებრძვიან სირიის და ერაყის არმიები, ქურთების გასამხედროებული ნაწილები ერაყსა და სირიაში და, აგრეთვე, 2015 წლიდან, რუსეთისა და თურქეთის სამხედრო ნაწილები. დასავლური კოალიცია აშშ-ის ხელმძღვანელობით, ძირითადად ახორციელებს საავიაციო დარტყმებს დაიშ-ის ბაზებზე და ადგილზე წვრთნის ერაყის არმიას. მაგრამ თურქეთის არმია თავის მტრად მიიჩნევს და ებრძვის აგრეთვე სირიელი ქურთების „დემოკრატიული გაერთიანების პარტიის” შეიარაღებულ ნაწილებს, რომელთაც ამერიკა უმაგრებს ზურგს და აიარაღებს.

სამხედრო თვალსაზრისით, “დაიში”, პრაქტიკულად დამარცხებულია, მაგრამ მისი გავლენა საერთაშორისო ტერორიზმზე კიდევ დიდხანს საგრძნობი იქნება.

2017 წელს ერაყის სამთავრობო ჯარებმა შეძლეს მოსულის, ქვეყნის მეორე ქალაქის, ”დაიშ”_ისაგან განთავისუფლება მხოლოდ ამერიკის და ზოგიერთი სხვა ქვეყნის ავიაციისა და ირანის არმიის დახმარებით (თუმცა ამას მოჰყვა თითქმის მთელი ქალაქის ნანგრევებად ქცევა).

შეუძლია თუ არა ქვეყნის მთავრობას, რომელიც 2018 წლის არჩევნების შემდეგ რამდენიმე თვე იქმნებოდა, მოუტანოს მეტი ერთიანობა ქვეყანას? შეამციროს დაპირისპირება ქურთებსა და არაბებს, შიიტებსა და სუნიტებს შორის? ჩაატაროს ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარებისათვის საჭირო რეფორმები? ებრძოლოს კორუფციას? მოუტანოს უსაფრთხოება ხალხს? საერთოდ, აღადგინოს დანგრეული ქვეყანა?.[38]

[38] გაჩეჩილაძე რ. „ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური გეოგრაფია“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი 2011, გვ. 332-338

დასკვნა

ერაყმა დამოუკიდებლობის მოპოვების რთული ეტაპი გაიარა. ის ახლო აღმოსავლეთის იმ რეგიონული ქვეყნების რიგშია, სადაც ეთნოკონფესნიური პრობლემები, საკმაოდ მწვავე ფორმებით არის წარმოდგენილი. განსაკუთრებით, ეთნოკონფენსიური დაპირისპირება გამოკვეთილია სუნიტ და შიიტ არაბებს შორის, რომელიც წითელ ზონად გასდევს ამ ქვეყნის პოლიტიკური განვითარების ყველა ეტაპს.

ერაყის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისთანავე კონფენსიური დაპირისპირების შედეგად ხელისუფლებაში სუნიტები მოვიდნენ, რომლებიც საკმაოდ მძიმე პირობებში ამყოფებდნენ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობაში მყოფ შიიტებს. შიიტები იმდენად შევიწროებულნი იყვნენ ამ ქვეყანაში, რომ ერაყის მონარქიული რეჟიმის დასრულების შემდეგაც კი ვერ მოახერხეს მათ მმართველობის სადავეების ხელში აღება და ამ ქვეყნის მართვის სადავეები კვლავ სუნიტების ხელში აღმოჩნდა, რამაც ერაყელი შიიტების უფლებრივ მდგომარეობაზე კვლავ რთული ასახვა ჰპოვა.

ზოგადად, ავტორიტარიზმი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების სერიოზულ პრობლემად იქცა. მათ შორის იყო ერაყიც. ავტორიტარიზმმა აქაც საკმაოდ მწვავე ფორმებით იჩინა თავი, განსაკუთრებით ერაყში ავტორიტარიზმი მძიმედ შიიტ მოსახლეობაზე აისახა. ერაყული სუნიტური ავტორიტარული რეჟიმები სერიოზულად ახშობდნენ შიიტების ნებისმიერ აქტივობას. ასე რომ, ავტორიტარიზმმა შიიტებზე საკმაოდ უარყოფითი ასახვა ჰპოვა.

ერაყის სუნიტური ხელისუფლება თავის „მდგომარეობის“ შენარჩუნებას არამარტო საკუთრივ ერაყში ცდილობდა, არამედ მათი მიზანი რეგიონში არსებულ კონფლიქტებში სუნიტების ინტერესების დაცვა წარმოადგენდა. ნებისმიერ რეგიონში არსებულ ქვეყნებს შორის კონფლიქტში თუ ცალკეულ ქვეყნებში ეთნოკონფენსიურ დაპირისპირებებში, ერაყის სუნიტი ხელისუფლება

შესაბამისად სუნიტების მხარეს იყო, რომლის მიზანსაც შიიტური აქტივობების სერიოზული დასუსტება წარმოადგენდა.

შიიტური ირანის ისლამურმა რევოლიციამ სერიოზული იმედი გაუჩინა ერაყელ შიიტებს, რათა გააქტიურებულიყვნენ და ხელში აეღოთ ძალაუფლება. ისლამური რევოლუციის შემდგომ, ირანის ხელისუფლებაში მოსული შიიტური სამღვდელოებაც სერიოზულად ფიქრობდა ისლამური რევოლუციის ექსპორტი მოეხდინა ერაყში. მიუხედავად ამისა აღნიშნული მცდელობები წარუმატებელი აღმოჩნდა, როგორც ერაყელი ისე ირანელი შიიტებისათვის. უფრო მეტიც შიიტების გააქტიურება რომ დღის წესრიგიდან გამოერიცხა, სადამ ჰუსეინის რეჟიმმა ახალგაზრდა ირანის ისლამურ სახელმწიფოსთან ომიც კი გააჩაღა.

დიდი შანსი შიიტ ერაყელებს ქვეყნის მართვის სადავეების ხელში აღებისათვის მისცა აშშ-ს ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული კოალიციის მიერ ერაყში სადამ ჰუსეინის რეჟიმის დემონტაჟმა. ამით საბოლოოდ დღემდე დასრულდა სუნიტების ყოფნა ერაყის ხელისუფლებაში. აშშ-ს ამ ქმედებამ სერიოზულად გაუხსნა გზა შიიტებს ერაყში. რათა მოსულიყვნენ ხელისუფლებაში.

სადამ ჰუსეინის რეჟიმის დემონტაჟის შემდგომ სუნიტებმა მარტივად არ დათმეს 70 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მათ ხელში არსებული მმართველობა ერაყში. მიუხედავად იმისა, რომ შიიტებს გზა გაეხსნათ ქვეყანაში ძალაუფლების ხელში ასაღებად, სუნიტები კვლავ ცდილობენ განაგრძონ ბრძოლა ქვეყანაში დაკარგული ძალაუფებისათვის თუმც დღემდე უშედეგოდ.

რეგიონში არსებული პოლიტიკური კრიზისი ასევე აისახა ერაყის შიდა პოლიტიკურ პრობლემებზეც ანუ კვლავ მიმდინარეობს დაპირისპირებები ერაყში სუნიტებსა და შიიტებს შორის. ქვეყანაში განვითარებულ ამ პროცესებს ხელს გარე აქტორების ჩარევაც სერიოზულად უწყობს და ეთნოკონფენსიურ წინააღმდეგობებს აღრმავებს კიდეც. მიუხედავად აღნიშნული ვითარებისა ქვეყანაში უკვე ხელისუფლება საკმაოდ მყარად აიღეს ხელში შიიტებმა.

შიიტებისა და სუნიტების დაპირისპირების საგარეო ფაქტორებს რაც შეეხება აქ აღსანიშნავია აშშ-სთან ერთად საერთაშორისო ორგანიზაციების როლი, რომელიც შესაძლოა იბრძოდნენ არსებული კონფლიქტის გაუმჯობესებიათვის, მაგრამ არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც გარე აქტორის ჩარევის შედეგად არსებული მწვავე მდგომარეობა კიდევ უფრო უარესდება. გარდა ამისა ISSI-იც საკმაოდ ნეგატიურად მოქმედებს ერაყში, რაც გამოიხატება მათ მიერ ერაყელი სუნიტების გატაცებაში.

ISIS-ის მიერ ჩადენილი საშინელი ქმედებების გამო, ერაყელ შიიტებს და სუნიტ ქურთებს, მიაჩნიათ, რომ ყველა არაბი სუნიტი ჯიჰადისტი ექსტრემისტია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) შ. კიკალიშვილი აშშ–ის პოლიტიკა ერაყის მიმართ სპარსეთის ყურის მეორე ომის შემდეგ (დისერტაცია), თბილისი, 2015
2) გაჩეჩილაძე რ. „ახლო აღმოსავლეთი“ ტომი II, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი 2019.
3) სანიკიძე გ. ალასანია. გ. გელოვანი. ნ. ახლო აღმოსავლეთის ისტორია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2011
4) სვანიძე. მ. „თურქეთის ისტორია“, გამომცემლობა არტანუჯი, თბილისი 2007
5) გელოვანი ნ. „თანამედროვე არაბული ქვეყნები“, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2008
6) გაჩეჩილაძე რ. „ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური გეოგრაფია“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი 2011
7) გელოვანი ნანა, შიიზმი და ეთნოკონფესიური კონფლიქტი ერაყში. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბილისი 2009
8) სილაგაძე ბ. ჯაფარიძე გ. „ქართველი მამლუქები ეგვიპტეში და ერაყში“, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი 1967
9) Cordesman,Anthony H.The Iran-Iraq war and Western Security 1984-87:Strategic Implications and Policy Options.London:Royal United Services Institute, 1987
10) Hiltermann,Joost R. A Poisonous Affair:America, Iraq and the Gassing of Halabja.Cambridge, UK,and New York:Cambridge University Press, 2007
11) Baram, Amatzia Culture, History and Ideology in the Formation of Ba'thist Iraq,1968-89 .New York:St. Martin’s Press , 1991
12) Baram, Amatzia.The Rulling Political Elite in Bathi Iraq, 1968-1986.The Changing Features of a Collective Profile.
13) IJMES, 1989, Vol.21, No 4
14) Iraq and the Politics of Oil: An Insider's Perspective Hardcover – November 9, 2017
15) Chikot report :key points from Iraq Inquiry.The Guardian , July 6, 2016
16) Cordesman, Anthony H.The uncertain Iraqi election and the need for a new U.S strategy.Centre for Strategic and International Studies.June 7 2018
17) Feldman,Shai & Yiftah Shapiir (eds.) The Middle East Military Balance 2000-2001 Jaffee Center for Strategic Studies, Tel Aviv University.Cambridge, Mass& London The MIT press , 2001

18) Galbraith, Peter W.The end of Iraq :How American incompentence created a war without end.London :Simon & Schuster,2006
19) The Sunni-Shia Conflict in Iraq .Domenic Marbaniang (2014)
20) SHIA-CENTRIC STATE-BUILDING AND SUNNI REJECTION IN POST 2003 IRAQ -Carnegie Endowment for International Peace- Jan. 1, 2016
21) Sadams War an Iraqi Military Perspective of the Iran-Iraq War, Kevin M. Woods, Williamson Murray, and Thomas Holaday with Mounir Elkhamri- Institute for National Strategic Studies National Defense University Washington, D.C. 2009
22) The Fractured Shia of Iraq Understanding the tensions within Iraq's majority .Matthew Duss and Peter Juul January 2009
23) Majid Khadduri, Warand Peace in thc" Luw o17s1am (Baltimore : Johns Hopkins University Press, 1955)
24) Galbraith, Peter W. (2007). The End of Iraq: How American Incompetence Created a War Without End. Simon & Schuster.
25) The War in Iraq Isn't Done. Commanders Explain Why and What's Next. Defense One (22 March 2018).
26) ISIL sleeper cells in Iraq are a warning sign the extremist group is already reforming. The National (28 March 2018).
27) Israel Ministery of Foreign Affairs. (2002). Iraqi Support for and Encouragement of Palestinian Terrorism. Israel Ministery of Foreign Affairs.
28) CIA. (2002). Iraq's Weapons of Mass Destruction Programs. CIA.
29) NIE. (2002). Iraq's Contuinuing Programs for Weapons of Mass Destruction
30) Declaration of Principles for a Long-Term Relationship of Cooperation and Friendship Between the Republic of Iraq and the United States of America.
31) Minority Rights Group International, World Directory of Minorities and Indigenous Peoples – Iraq, November 2017
32) William L. A History of The Modern Middle East, Cleveland, 2009
33) Charles T. A History Of Iraq, Cambrige University Press 2007
34) Outline of Anglo-Iraq Treaty, 1927
35) Liam A. & Gareth S. The Future of Iraq, New York, 2004
36) William V. The Iraq Treaty, London 1931
37) Dawisha A. Iraq. A Political History from Independence of Occupation, Princeton University Perss, 2009
38) Uriel D. Iraq Under Qassem, New York 1969
39) Kamrava M. The Modern Middle East, Georgetown University 2005
40) Role of Kuwaiti Armed Forces in the Persian Gulf War. 1993
41) Saudi Arabia – Persian Gulf War, 1991
42) The Role of the United Arab Emirates in the Iran-Iraq War and the Persian Gulf War. 1993